საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 ოქტომბერი პარასკევი 2013

№240 (14 156) ფასი 80 თეთრი




## მიდის თუ რჩება?

3

# სირცხვილის დღე



## 0:6 ფეხბურთი აღარ არის

2

ჯანო ანანიძე და მისი თანაგუნდელები მხოლოდ პირველ ტაიმში ჩანდნენ

ფრიდონ გეგეშიძის ფოტო

## სკანდალური კაცის დაბრუნება



**ზაზა ჯანაშია საქართველოში მწვრთნელობას აპირებს** *ინტერვიუ*

3

გუშინ სპლიტში. ჰაიდუკი-ბეშიქთაში 1:2



3

## ილურიძემ ბეშიქთაშთან ითამაშა

იქნება შოტლანდიასთან?





12

ქართული ჯახი უკრაინაში

**ფაცაცია: იმაზე უკეთ, ვიდრე ველოდით**

# შესარჩევი მატჩები გადამწყვეტ ფაზაში

6-7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2015. U 21. შესარჩევი ეტაპი. III ჯგუფი

10.10. თბილისი. მ. მესხი. 4000 მაყურებელი

საქართველო **0**

ჰოლანდია **6**

0:1 ბუტიუსი (14), 0:2 კასტაინიოსი (45), 0:3 კასტაინიოსი (49), 0:4 პრომესი (67), 0:5 პრომესი (70), 0:6 კასტაინიოსი (79)

| საქართველო 4-3-3 | ჰოლანდია 4-3-3 |
|---|---|
| ნადირაძე | ჰანი |
| ტვილდიანი | ბრენეტი |
| კვეკვესკირი | დენსვილი |
| მ. კობახიძე | ვან დერ ჰოორნი |
| უბილავა | აკე |
| პაპავა | ებესილიო |
| პარუნაშვილი | ვილენა |
| ყაზაიშვილი | პრომესი |
| ჭანტურია | მაჰერი |
| ანანიძე | ბუტიუსი |
| სხირტლაძე | კასტაინიოსი |
| მწვრთნელი ა. ჩივაძე | მწვრთნელი ა. სტაიფენბერგი |

**საქართველო**

46. სხირტლაძე - **ფანცულაია**
62. ყაზაიშვილი - **ჯიღაური**
67. ჭანტურია - **კვერკველია**

*სათადარიგო:* მეშველიანი, შულაია, ქვილითაია, თ.გრიგალაშვილი

**ჰოლანდია**

66. ბუტიუსი - **ჰუპერტსი**
74. დენსვილი - **ლეტჩერი**
80. კასტაინიოსი - **კლაასენი**

*სათადარიგო:* ვენ დერ ჰარტი, ვან ბეეკი, ბრუნსი, დე სა

*გაფრთხილება:* დენსვილი (53), პარუნაშვილი (74)

*გაძევება:* კვეკვესკირი (65)

*არბიტრი:* პ. რაჩკოვსკი (პოლონეთი)

**გუშინ**

შოტლანდია-სლოვაკეთი 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 11-0 | 9 |
| 2. შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 3. სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-3 | 6 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| 5. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-14 | 0 |

**მომდევნო მატჩები**

**14 ოქტომბერი**

საქართველო-შოტლანდია
სლოვაკეთი-ლუქსემბურგი

# სწავლა მოსწავლეთა

## მფრინავი ჰოლანდია, უსუსური საქართველო



ჰოლანდიელები ხარიხამ იხსნა — ფრიდონ გეგეშიძის ფოტო

არანაირი 50/50, ეს თამაში უნდა მოვიგოთ! - თამაშის წინა დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისგან ასეთი რამეც მოვისმინეთ.

ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება, ისეთებიც მომხდარა, საქართველოს ნაკრებზე ძლიერ გუნდსაც წაუგია დიდი ანგარიშით. ისიც გახსოვთ, ალბათ, **ვლადიმერ გუცაევის** განვრთნილმა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა იტალიასთან სტუმრად 0:6 რომ წააგო, მაგრამ იმავე შესარჩევში შინ 2:0 დაამარცხა ახალგაზრდული „სკუადრა აძურა“.

0:6-ს მერე ძალიან ადვილია კრიტიკა, ოღონდაც, უკვე ისე შევეჩვიეთ საერთაშორისო სარბიელზე ქართული გუნდების მარცხს, საკრიტიკოდ ფანტაზიის მოკრება არ არის იოლი საქმე.

ჰოლანდიელ ახალგაზრდებს სულ სხვა სკოლა აქვთ გავლილი, ისინი სულ სხვანაირად არიან მომზადებულები. რაც უფრო მატულობს ასაკი ახალგაზრდულ ფეხბურთში, მით უფრო ძნელია საქართველოს ნაკრებისთვის წარმატების მიღწევა. ფეხბურთელის დაოსტატების ფაზას კარგი პროფესიული კლუბი სჭირდება, სადაც არის კარგი პირობები, გარემო, კარგი მწვრთნელი და არიან გამოცდილი, უკვე ზრდასრული ფეხბურთელები. ამ ყველაფერში სხვაობა დიდია ჩვენსა და ჰოლანდიას შორის, თუმცა მხოლოდ ამით არ შეიძლება მარცხის და, მით უმეტეს, ასეთი მარცხის გამართლება.

ჰოლანდიელი ახალგაზრდები თითქოს სკოლაში ნასწავლ გაკვეთილს ჰყვებოდნენ ვაკეში. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, სწორი თამაში, პრესინგი, ბურთის ამოტანა, მოედნის ბურთიან მონაკვეთში რიცხობრივი უპირატესობის შექმნა - საქართველოს ნაკრები ჰოლანდიას ამაში ვერ აჯობებდა, თუმცა ჩვენ სულ სხვა კოზირი უნდა გვქონოდა - ინდივიდუალური ოსტატობა, ფანტაზიის უნარი... ანუ ის თამაში, რაც ქართველებს სისხლში გვაქვს. **გიორგი ჭანტურია, ვაკო ყაზაიშვილი, ჯანო ანანიძე** - ეს ყველაფერი ამათ უნდა ეტვირთათ, თანაგუნდელებიც უნდა აეყოლიებინათ და იქნებ რეტიც დაგვესხა ჰოლანდიისთვის - გუშინდელი თამაშის შემხედვარე, ამ ყველაფრის წაკითხვა ძალიან ადვილი გამოდგა.

ჰოლანდიელთაგან ცენტრფორვარდი **ლუკ კასტაინიოსი** გამოირჩა. ის „ტვენტეს“ ფეხბურთელია. ეს გუნდი ამ დროისთვის ერედივიზიონის ლიდერია, კასტაინიოსმა კი მიმდინარე სეზონში 4 გოლი გაიტანა. გახსნა, აგრესიული თამაში, ბურთის მიღება, სწორი გადაწყვეტილების უნარი - კასტაინიოსი უკვე შემდგარი ფეხბურთელია და მისი ამოკეტვა ჩვენებს ძალიან გაუჭირდათ.

პირველ წუთებზე მას ორი საგოლე შანსი ჰქონდა - ჯერ **გიორგი ნადირაძის** ხელებს შეაწყვიტა ბურთი, მერე კი მასთან პირისპირ გავიდა და ქართველ მეკარეს ვერ აჯობა.

ჩვენმა ახალგაზრდებმა ჰოლანდიელთა ორ ჩხვლეტას **ყაზაიშვილის** მიერ წამოწყებული იერიშით და **ანანიძის** არაზუსტი დარტყმით უპასუხეს - ამ ეპიზოდიდან გოლის გამოდნობა შეიძლებოდა.

კასტაინიოსმა კი მესამე ჯერზე უკვე პირწმინდად მოარღვია ჩვენი ახალგაზრდების დაცვა - ჯერ **ნიკა კვეკვესკირს** აჯობა, მერე **არჩილ ტვილდიანს** და **ჟან-პოლ ბუტიუსს** ისე დაუგორა ბურთი, რომ ამ უკანასკნელმა ახლოდან გადაგზავნა კარში.

გოლმა მასპინძლები ვერ გატეხა. მარჯვენა გარემარბი ჭანტურია აქტიურობდა და რამდენჯერმე გვარიანად აანერვიულა კიდეც ჰოლანდიური დაცვა. ერთხელ **დავით სხირტლაძემ** და ანანიძემაც მოახერხეს კარგი იერიშის განხორციელება, სხირტლაძე რთული მდგომარეობიდან ურტყამდა და სტუმრთა მეკარემ ფეხით მოიგერია ბურთი.

ამის შემდეგ ჭანტურიამ ერთხელაც გაიბრწყინა ინდივიდუალური თამაშით, მას ანანიძეც მიეხმარა, ჭანტურიამ მეკარეს ხვეული დარტყმით გადაავლო ბურთი, რომელიც ხარიხამ აისხლიტა. ჭანტურიამ ამის შემდეგ კიდევ გაახერხა რეიდი, ფლანგიდან შუისკენ შეიწია და ოციოდე მეტრიდან ააცილა კარს.

ერთი სიტყვით, იყო იმის იმედიც და შანსიც, რომ ჩვენი ახალგაზრდები ანგარიშს გაათანაბრებდნენ, თუმცა ტაიმის მიწურულს აქეთ გაუშვეს ბურთი - **დავით უბილავამ** ცუდად დაუგორა ბურთი მეკარეს, ნადირაძემაც კარიდან გამოსვლა დაახანა, ბურთი კასტაინიოსმა ჩაჭრა და - 0:2.

ჩვენი განაპირა მცველები შეტევაში ფაქტობრივად ვერ ერთვებოდნენ და დაცვით ფაზაშიც ვერ გამოირჩეოდნენ - ამანაც მნიშვნელოვნად განაპირობა თამაშის პერიპეტიები. შესვენების შემდეგ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ისევ მონდომებული ჩანდა, თუმცა ისევ კურიოზული გოლი გაუშვა - კასტაინიოსმა ისეთი წერტილიდან დაარტყა, საიდანაც ფლანგურ ჩაწოდებას აკეთებენ, ბურთი უცნაური ტრაექტორიით გაფრინდა და კარში ჩაეშვა - რა თქმა უნდა, **ნადირაძე** ვალდებულიყო იყო, ასეთი დარტყმა მოეგერიებინა.

სამბურთიანი ჩამორჩენა, ისიც ჰოლანდიასთან - თამაშის შემოტრიალება უკვე შეუძლებელი იყო, თუმცა ჩვენები არ ცხრებოდნენ, ისეთი იერიშიც მიიტანეს მეტოქეზე, რომ რამდენიმე წამის განმავლობაში ორი საგოლე მომენტი შექმნეს - **უორნერ ჰანმა** ჯერ ყაზაიშვილის დარტყმა მოიგერია, მერე **ლაშა პაურნაშვილს** არ დაანება კარი.

ყველაფერი მაშინ დამთავრდა, როცა **კვეკვესკირი** ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს. ჰოლანდიამ გაილაღა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კი ძალიან უსუსური იყო.

**მატჩის შემდეგ**

***ალბერტ სტაიფენბერგი*** *(ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):* **„პირველი ტაიმი რთული გამოდგა. მეორე ტაიმში ველოდით, რომ ქართველები ისევ მონდომებით ითამაშებდნენ. როცა მეტოქეს ფეხბურთელი გაუძევეს, უფრო მეტი გოლის საშუალება მოგვეცა. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს კარგი ფეხბურთელები ჰყავს, ორი მათგანი ჰოლანდიაში თამაშობს და დღევანდელი ანგარიში არ ასახავს ძალთა რეალურ თანაფარდობას“.**

***ალექსანდრე ჩივაძე*** *(საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):* **„ალბათ ხვდებით, რა მდგომარეობაშიც ვარ. შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ შევხვდეთ და ყველაფერზე ვილაპარაკოთ“.**

დავით **თავართქილაძე**



დავით სხირტლაძეს ამ ეპიზოდში გატანა მართებდა — ფრიდონ გეგეშიძის ფოტო

მუნდიალი 2014. ესპანეთი-საქართველო

# ქართველები ინიესტას სახელობის ბაზაზე



საქართველოს ნაკრები ალბასეტეში ემზადება

მართალია, ესპანეთის ნაკრებს ჯერ ბელარუსებთან მატჩი ელით და მხოლოდ შემდეგ, 15 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებთან თამაში, მაგრამ ესპანურ მედიას უყურადღებოდ არც **თემურ ქეცბაიას** გუნდი რჩება, რომელიც უკვე კასტილია- ლა მანჩას მხარეში, ქალაქ ალბასეტეში ვარჯიშობს. "მუნდო დეპორტივო" საქართველოს ნაკრების შეკრებაზე მცირე სტატიას აქვეყნებს.

*„სამშაბათს „კარლოს ბელმონტეს“ სტადიონზე საქართველოს ნაკრები ბრაზილია 2014-ის ბოლო შეხვედრას გამართავს ესპანეთის ნაკრებთან. საქართველოს ნაკრებმა უკვე დაასრულა ვარჯიშის ერთი სესია ანდრეს ინიესტას სახელობის ბაზაზე. უკვე მეორე დღეა, საქართველოს ნაკრები ლა მანჩაშია. გუშინ ქართველებს არც დაუსვენიათ. ისე გავიდნენ სალამოს სავარჯიშოდ. დღეს გუნდი 18:30 წუთზე ისევ შეიკრიბება. როგორც სააგენტო ეფე-მ ადგილობრივი წყაროსგან შეიტყო, „ალბასეტეს“ ხელმძღვანელობამ ქართველებს ამხანაგური მატჩის გამართვა შესთავაზა, თუმცა მათ თავი შეიკავეს - მიზეზი კი ტრავმების მიღების შიშია. საქართველოს ნაკრებს სამშაბათამდე თამაში არ უწევს, მაშინ, როცა ესპანეთის ნაკრები მალიორკაში „იბეროსტარზე“ პარასკევს ითამაშებს“, - წერს „მუნდო დეპორტივო“.*

ამასობაში, **ვისენტე დელ ბოსკემ** განაცხადა, რომ რა შედეგსაც არ უნდა მიაღწიოს მისმა ნაკრებმა პარასკევს, გადამწყვეტი საქართველოსთან მატჩი იქნება. საქმე ისაა, რომ ბელარუსთან მოგების შემთხვევაშიც კი ესპანელები ვერ დაიბევებენ მუნდიალის საგზურს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება


ზაზა ჯანაშია

# ზაზა ჯანაშია საქართველოში ჩამოვიდა...

## ...და მწვრთნელობისთვის ემზადება

**ბოლო 20 წლის ერთ-ერთი საუკეთესო და სკანდალური ფორვარდი ზაზა ჯანაშია საქართველოში დაბრუნდა და, შესაძლოა, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში იმუშაოს. ჯანაშიას საქართველოსა და ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრის შემდეგ დაველაპარაკეთ...**

**- რას უნდა მივაწეროთ საქართველოში თქვენი დაბრუნება?**

- ათი დღეა, რაც ჩამოვედი და არსადაც აღარ მივდივარ!

**- ...და თბილისში დაბინავდებით?**

- დიახ, საბოლოო გადაწყვეტილება ასეთია. თავიდან, მოსკოვში ცხოვრება და მუშაობა მართლაც მსურდა, საფეხბურთო სკოლაშიც ვმუშაობდი, მაგრამ შენი ქვეყანა მაინც სულ სხვაა, მენატრებოდა საქართველო, სულ აქეთ მომიწევდა გული და ჩამოსვლაც ამიტომ გადავწყვიტე. აქ ვაპირებ კიდეც მუშაობას. თუ ვინმე სამუშაოს შემომთავაზებს, რატომაც არა? - სიამოვნებით დავთანხმდები. მაგრამ ეს ნაბიჯი მხოლოდ სამსახურის გამო როდი გადავდგი - ბავშვების გულისთვის გავაკეთე. ჯობია, ისინი საქართველოში, ჩვენს ტრადიციებსა და ღირებულებებზე გაიზარდონ.

**- ბოლოს სად საქმიანობდით?**

- მოსკოვის „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაში. მაგრამ მიზეზთა გამო, იქ გაჩერება აღარ მსურდა.

**- არადა, მიიჩნევენ, რომ ფეხბურთისთვის რუსეთი დღეს ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა...**

- ჩემთვის მხოლოდ საქართველო იყო და არის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ახლა აქ გაჭირვებაა და გასაკვირი არ არის, რომ ქართულ ფეხბურთსაც უჭირს. რაც უნდა კარგად ცხოვრობდე უცხოეთში, შენი ქვეყნის ტკივილი მაინც ვერ მოგასვენებს. მეც ძალიან განვიცდიდი, ბოლო წლებში ჩვენი ფეხბურთის დონე ძალიან რომ დაეცა... სხვათა შორის, ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, თითქოს ფეხბურთელები არ გვყავს. მე კი მგონია, რომ მათ შესაძლებლობებს კარგად ვერ ვიყენებთ, თორემ ბევრი საინტერესო, პერსპექტიული მოთამაშეა და ასეთ კატასტროფულ სიტუაციაში არ უნდა ვიყოთ. მაგალითად, რუსთავის „მეტალურგში" ჩემი ახლობლები მუშაობენ, „ვიტ ჯორჯიასთან" მათი მატჩი ვნახე და ბევრი რუსთაველი ახალგაზრდა მომეწონა...

**- ისე ლაპარაკობთ, ეჭვი ჩნდება - საქართველოში კონკრეტული წინადადების გამოც ხომ დაბრუნდით?**

- შესაძლოა, მართლაც ვიმუშაო უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდში, მაგრამ ჯერ ვერაფერს გეტყვით. „მეტალურგი" რომ ვახსენე, ამან დაგაეჭვათ? უბრალოდ, ამ გუნდის თამაშს ინტერესის გამო დავესწარი... მოკლედ, მალე უმაღლეს ლიგაში მუშაობისთვის საჭირო A-ლიცენზიას მივიღებ და კონკრეტულად მერე ვილაპარაკოთ.

**- ბევრი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში არ გსურდათ. უცნობი მიზეზების გამო, ეროვნულ გუნდზე გული აგიცრუვდათ. რა მოხდა ასეთი?**

- მე რომ ნაკრებში თამაში ყველაზე მეტად მიხაროდა, ეს ნაღდია. არადა, ეროვნულ გუნდში ძალიან ცოტა, სულ 9 შეხვედრა ჩავატარე. რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი შემეძლო და ამაზე გული მტკივა, მაგრამ... ახლა წარსულის გახსენების დრო არ არის. იმიტომაც ჩამოვედი, რომ სიტუაციის გამოსწორებას ხელი მეც შევუწყო. თუმცა, რომ ვუყურებ, ახლაც ბევრი რამ ადრინდელივით ხდება. ასე არ შეიძლება! ეს კიდევ უფრო მიძლიერებს სურვილს, რომ საქართველოში ვიმუშაო და ჩვენი ფეხბურთის აღორძინებაში მეც დავდო ერთი აგური. სამი ბიჭი მეზრდება და არ მინდა, ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, სადაც ფეხბურთი ასეთ მძიმე დღეშია.

**- საქართველოსა და ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრაზე რას იტყვით?**

- იცით, ჩემს დროს უფრო მოტივირებული თაობა იყო. თამაშს ვეტერან ფეხბურთელებთან ერთად ვუყურებდი და ყველა ამბობდა - ჩვენები უსისხლოდ, ჟინის გარეშე თამაშობენო. არ მინდა ბიჭებს გული ვატკინო, მაგრამ ამ თამაშიდან სხვაგვარი დასკვნის გამოტანა მეც გამიჭირდება. არადა, პირველ ტაიმში რამდენი რეალური საგოლე მომენტი გვქონდა...

**- საერთოდ, სამწუხაროა, რომ მუდმივი წარუმატებლობა მენტალიტეტში გაგვიჯდა...**

- მერე? მწვრთნელები იმისთვის არიან, რომ ფეხბურთელებს თავდაჯერება შემატონ. მე ასე მასწავლიდნენ და ამიტომ იყო, ქუთაისის „ტორპედოს" ვეთამაშებოდი, „ლაციოს" თუ „ინტერს", ყველას ერთნაირი შემართებით ვუტევდი, შიში არ მქონდა. ეს ჩემი კი არა, იმ მწვრთნელების დამსახურებაა, ვინც გამზარდა და თავში ბრძოლის ჟინი ჩამინერგა. გასაგებია, რომ ჰოლანდია ძალიან ძლიერი საფეხბურთო ქვეყანაა, მაგრამ სისხლი ხომ უნდა გიდუღდეს და ცოტა საფეხბურთო თავხედობა მაინც გაგაჩნდეს?! მეტოქის თუ შეგეშინდა, წააგებ, აბა, რა იქნება?! ჰოლანდიელებმა სათამაშო დისციპლინით, ორგანიზებითა და სიმშვიდითაც გვაჯობეს. არადა, ჩვენებს ნამდვილად მეტი შეეძლოთ. გადახედეთ ფეხბურთელებს - უმრავლესობა საკმაოდ დიდი პოტენციალის მოთამაშეა და რა მოუვიდათ?! სხვათა შორის, ახლა ვფიქრობდი - სად გაქრნენ ჩვენი „ათი ნომრები", რომლებიც ქართულ გუნდებს განუმეორებლობას სძენდნენ?! გიორგი ქინქლაძის დონის ფეხბურთელს არ ვგულისხმობ, ის მართლა განუმეორებელია და მიმაჩნია, რომ არც ერთ დღევანდელ ვარსკვლავზე ნაკლები არ იყო. საქართველოს ჩემპიონატშიც ბევრი საინტერესო ფეხბურთელი გვყავდა, რომლებიც თამაშს ამწვავებდნენ და სასწაულ პასებს აკეთებდნენ. ჩვენი ერთ-ერთი პრობლემა სწორედ მოედნის ცენტრშია, საიდანაც თამაშს ვერ ვამწვავებთ. ამ ბიჭებში კი ასეთი უნარის მქონე ფეხბურთელები ნამდვილად არიან და ვერ ვხვდები, რატომ ვერ იღებენ საკუთარ თავზე თამაშს?!

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ილურიძემ ბეშიქთაშთან ითამაშა

გუშინ სპლიტში „ჰაიდუკისა" და თურქული „ბეშიქთაშის" ამხანაგური მატჩი გაიმართა. შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით 2:1 დასრულდა. მოგეხსენებათ, სტამბოლური გრანდის მწვრთნელი ხორვატი **სლავენ ბილიჩია** და ასეთი სპარინგის გამართვა, როცა გაგანია სანაკრებო პაუზაა, პრობლემა არ იქნებოდა...

ჩვენთვის კი აქ მთავარი **გიორგი ილურიძეა**, რომლის გარშემოც ბოლო დღეებში ბევრი მითქმა-მოთქმა იყო. ერთი ვერსიით, „ჰაიდუკის" ქართველი შემტევი ნაკრებში ჩამოსვლას ტრავმის გამო უარობდა (თუმცა კი 5 ოქტომბერს „სპლიტთან" დერბიში ითამაშა), მერე კი ითქვა, რომ „დილას" ყოფილ ფეხბურთელს სავიზო პრობლემა ჰქონდა, რომლის მოგვარების შემდეგაც ახალგაზრდულ ნაკრებს შოტლანდიასთან 14 ოქტომბრის შეხვედრაში უნდა დაეხმაროს...

ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, ილურიძეს რომ ტრავმა არ აქვს, ეს გუშინაც დადასტურდა, როცა 21 წლის ქართველმა „ბეშიქთაშთან" ამხანაგური მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და პირველ ტაიმში საგოლე მომენტებიც ჰქონდა. იმედია, ილურიძე პრობლემებს მოაგვარებს და ახალგაზრდულ ნაკრებს შეეშველება.

**გიორგი ბელაშვილი**

დილა

# დევდარიანს წასვლა უნდა, მაგრამ არ უშვებენო...

გუშინ გავრცელდა ხმები, თითქოს გორის „დილიდან" მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** წავიდა. ევროთასების შემდეგ გუნდი აირია - ბოლო ტურშიც, ქობულეთში, გორელებმა ლანჩხუთის „გურიასთან" 0:2 წააგეს. „დილა" ისეთი დამაჯერებელი ველარ არის, როგორიც ზაფხულში იყო, როცა დანიური „ოლბორგი" და ხორვატული „ჰაიდუკი" გააგდო ევროპალიგიდან...

ინფორმაციის გადამოწმება თავად დევდარიანთან ვცადეთ, მაგრამ მან ზარს არ უპასუხა. გუნდში კი პრივატულად გვითხრეს - მწვრთნელს გადადგომის სურვილი კი ჰქონდა, მაგრამ დარჩენას სთხოვენ და ჯერ მისი წასვლა გადაწყვეტილი არ არისო...

რატომ სურს დევდარიანს „დილიდან" წასვლა, მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. მხოლოდ იმას ვიტყვით, რაც გარედან ჩანს - სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ „დილაში" ბევრი რამ გაურკვეველია - რა იქნება ხვალ, რა შემადგენლობა დარჩება და ასე შემდეგ. ამ პირობებში მუშაობაზე კი მწვრთნელმა (ვინც უნდა იყოს) უარი რომ თქვას, რა გასაკვირია? აკი თქვა კიდეც დევდარიანმა სეზონის დაწყებამდე - ევროპალიგაზე ამ შემადგენლობით ვითამაშებთ, მერე კი ახალი გუნდის გაკეთება მომიწევსო...

მართლაც, ევროპალიგიდან გავარდნის შემდეგ „დილა" ლიდერებმა - **ლაშა გვალიამ** და **გიორგი ილურიძემ** დატოვეს და გუნდის თამაში გაუფერულდა. გუნდში დარჩენილ მოთამაშეებს კი კლუბთან მხოლოდ ნახევარწლიანი კონტრაქტები აკავშირებთ, რაც არასტაბილურობის უმთავრესი წინაპირობაა.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი დევდარიანი

პრობლემა

# ხიზანი მასპინძლების გასაჭირი და იმედები

**კურიოზი** თუ გინდა, ესაა: **საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში გამართულ ექვს შეხვედრაში საკუთარ ქალაქში არც ერთ გუნდს არ უმასპინძლია! საჩხერეს „ჩიხურამ" ცხინვალის „სპარტაკი" ქუთაისში მიიღო, ლანჩხუთის „გურიამ" გორის „დილა" - ქობულეთში, „ზუგდიდმა" „ზესტაფონი" - განმუხურში, თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" რუსთავის „მეტალურგი" - „მცხეთა-პარკზე", მარტვილის „მერანმა" ქუთაისის „ტორპედო" - სამტრედიაში, ხოლო ბოლნისის „სიონმა" თბილისის „დინამო" - რუსთავში...**

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" სიტუაცია გასაგებია - მას მცხეთაში აქვს სტადიონი. „ზუგდიდსაც", სტადიონის დანგრევის შემდეგ, არენა განმუხურში მოუწყვეს. მაგრამ საკუთარ ქალაქში თამაშს ხომ მაინც სხვა ხიბლი აქვს და ორი აზრი არ არის - ნებისმიერი გუნდი საკუთარი მაყურებლის წინაშე შესაძლებლობებს გაცილებით უკეთ ავლენს, ვიდრე სხვაგან.

შესაძლოა, მაგალითად არ გამოდგეს „გურია", რომელმაც ოთხივე საშინაო


ლანჩხუთი სტადიონზე რეკონსტრუქცია მთავრდება

შეხვედრა ქობულეთში მოიგო და თანაც, ყველა - ძლიერ მეტოქეებთან: 1:0 „მერანთან", 2:1 „დინამოსთან", 3:1 „მეტალურგთან" და ბოლოს 2:0 „დილასთან". მაგრამ მატჩის შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელი **რომან პოკორა** და ფეხბურთელები მაინც ერთხმად ამბობდნენ - საკუთარ სტადიონზე თამაში გვირჩევნიაო.

*„ქობულეთის სტადიონი ძალიან კარგად დაგვებედა, აქ ოთხიდან ოთხი მატჩი მოვიგეთ, მაგრამ როგორც ყველა ადამიანს ყველაზე კომფორტულ სასტუმროს საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრება ურჩევნია, ისევ ვართ ჩვენც. ლანჩხუთელი გულშემატკივარი დიდი ძალაა და იმედია, ამ პრობლემას მალე მოევლება"*, - ამბობს „გურიას" მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე**.

ლანჩხუთის ევგრაფ შევარდნაძის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქცია 2012 წლის დასაწყისიდან მიმდინარეობს და იმედი ჰქონდათ, რომ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „გურიას" თამაში განახლებულ სარბიელზე მოუწევდა. შეგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მთავარ არენას ბოლოს რეკონსტრუქცია ზუსტად 27 წლის წინ, 1986 წელს ჩაუტარდა, როცა „გურია" საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გადავიდა.

ახლა სტადიონზე მინდვრის საფარი, სადრენაჟე და სარწყავი სისტემები თანამედროვე მოწყობილობებით შეცვალეს. ჩრდილოეთის ტრიბუნა სრულად მოშალეს, რადგან ამორტიზირებული იყო, დასავლეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებზე კი 7 000-მდე ინდივიდუალური სკამი დაამონტაჟეს. თუმცა ახალი გასახდელებისა და მსაჯთა ოთახების მშენებლობა-რემონტი გაიწელა. სწორედ ამიტომ, ფეხბურთის ფედერაციამ ლანჩხუთელებს შინ მატჩების ჩატარების უფლება არ მისცა.

*„ლანჩხუთის სტადიონის რეკონსტრუქცია დაგეგმილზე დიდხანს გრძელდება. უამინდობამ შეგვიშალა ხელი, თორემ სამუშაოები აქამდეც უნდა დასრულებულიყო. სავარაუდოდ, ყველაფერს ოქტომბერში მოვრჩებით და სტუმარ გუნდებს 3 ნოემბრიდან ვუმასპინძლებთ"*, - გვითხრა ლანჩხუთის მინიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ**.

ლანჩხუთელთა მდგომარეობა „მერანისთვის" სანატრელია - გუნდს მარტვილში მასპინძლობის უფლება არ აქვს და ჯერ არ იციან, როდის დაადგება საშველი სტადიონის რეკონსტრუქციას. ჰქონდათ იმედი, რომ ფეხბურთის ფედერაცია 2013 წლის გეგმაში მარტვილის სტადიონის საფარის შეცვლასაც შეიტანდა, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შემცირების გამო, ფედერაციამ ახალი მშენებლობები ვერ წამოიწყო.

ბოლნისშიც წლეულს სტადიონის გარემონტებისა და „სიონის" მშობლიურ არენაზე დაბრუნების შანსი მიზერულია, რადგან კლუბის ბიუჯეტი უკვე ამოწურულია, საფარისა და სადრენაჟო სისტემის შეცვლას კი გვარიანი თანხები (მინიმუმ 450 ათასი ლარი) სჭირდება. ჯერჯერობით, სიახლე არც საჩხერეშია და „ჩიხურაც" საშინაო თამაშებს კვლავ ნეიტრალურ მოედანზე გამართავს.

არადა, ჩვენს ჩემპიონატს ისედაც არ ჰყავს მაყურებელი და როცა გუნდები საკუთარი ქალაქებიდან გადიან, მათ მიმართ ინტერესი კიდევ უფრო მცირდება. ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში კი ფეხბურთელისთვის სასიამოვნო ნამდვილად არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**

ფეხბურთი რეგიონებში

# უცხოელ ინვესტორს ქობულეთშიც ელიან

## ასლან ბალაძე: უმაღლეს ლიგას ვუმიზნებთ

წლეულს პირველ ლიგაში აჭარის ხუთი წარმომადგენელი გამოდის - ბათუმის „დინამო“, ქობულეთის „შუქურა“, ხელვაჩაურის „მაჭახელა“, ქედის „ბეთლემი“ და ბათუმის „ადელი“. მათ შორის, ყველაზე დიდი ამბიცია ბათუმის დინამოელებსა და „შუქურას“ აქვთ. ისინი ტრადიციული კლუბებიც არიან...



შუქურას მთავარი მწვრთნელი ასლან ბალაძე

2012 წელი ქობულეთის „შუქურასთვის“ მნიშვნელოვანი გამოდგა: განაახლეს სტადიონი, ხელოვნურსაფარიანი მოედანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დააგო, მოაწყვეს 4300-ადგილიანი ტრიბუნები და ცნობილი ფეხბურთელის, **რევაზ ჩელებაძის** საპატივსაცემოდ, „ჩელე არენა“ უწოდეს (მას ხომ გულშემატკივრები სწორედ ასე ეძახდნენ). სტადიონის მთლიანი რეკონსტრუქციაც თითქმის დასრულებულია, გასახდელები მონესრიგდა, დასამთავრებელია პრესლოჟა...

შარშანვე, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, გუნდი პირველ ლიგას დაუბრუნდა. ამჟამად, კლუბის პრეზიდენტი **რევაზ ჩელებაძეა**, მთავარი მწვრთნელი - **ასლან ბალაძე**. დღეს „ჩელე არენა“ იმდენად კომფორტული და კეთილმოწყობილია, უმაღლესი ლიგის ბევრ სტადიონს სჯობია. ამიტომაც არის, საკუთარი სტადიონის რეკონსტრუქციამდე, ლანჩხუთის „გურია“ ქობულეთს რომ სტუმრობს...

თუმცა ქობულეთელები იმედოვნებენ, რომ მალე „ჩელე არენაზე“ უმაღლესი ლიგის გუნდებს თავად უმასპინძლებენ. მართალია, პირველი ლიგის A ზონაში ქობულეთის „შუქურა“ ჯერ მხოლოდ მე-6 ადგილზეა, მაგრამ დაწინაურების იმედი არ დაუკარგავს და, რაც მთავარია, შემადგენლობითა და ლონიერი ბიუჯეტით, უდავო ფავორიტებს შორისაა.

„შუქურას“ მთავარი მწვრთნელი ასლან ბალაძე ამბობს: *„ქობულეთში ფეხბურთი უყვართ, საკმაოდ კარგი სკოლაა და „შუქურაც“ ტრადიციული გუნდია. ჩვენთან ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გაზრდილა. მაგრამ გასულ რვა წელიწადში, ფაქტობრივად, ქობულეთში ფეხბურთი ჩამკვდარი იყო. წარმოშობით ქობულეთელები ვართ მეც და ჩელებაძეც. „შუქურა“ შარშან ზაფხულში ჩავიბარეთ. ახლა კლუბის აღორძინებას ერთობლივად ვცდილობთ. საკმაოდ კარგი შემადგენლობა შევკრიბეთ. მაგალითად, მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა მიხეილ კაკალაძე, რომელსაც უმაღლეს ლიგასა და ევროთასებზე ასპარეზობის დიდი გამოცდილება აქვს. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები - გიორგი ჩელებაძე, ავთანდილ ბრაჭული, ლევან ელიზბარაშვილი, მინდია ფუტკარაძე, აჩიკო ბაჯელიძე, ზურაბ მალანია, ნოდარ მაჭავარიანი... თითოეულ მათგანს ასაკობრივ ნაკრებებში უთამაშია. ჩელებაძე რუსეთის პირველი ლიგის ვორონეჟის „ფაკელში“ თამაშობდა, ყაზანის „რუბინი 2-დან“ მოვიდა ახალგაზრდული ნაკრების წევრობის კანდიდატი ავთანდილ ბრაჭული; ჩვენთან აგრძელებს კარიერას რუსეთში ნათამაშები ვლადიმერ შეროზია, რომელსაც არმავირის „ტორპედოსა“ და სმოლენსკის „დნეპრში“ უასპარეზია“.*

ქობულეთელთა მთავარი მწვრთნელის თქმით, გუნდს საკმაოდ კარგად აფინანსებენ: *„ადგილობრივი მუნიციპალიტეტი კლუბს კარგად აფინანსებს. წლის დასაწყისში ჩვენი ბიუჯეტი 500 ათასი ლარი იყო, ახლა კიდევ 300 ათასს გვპირდებიან. პირველი ლიგის გუნდისთვის ეს მშვენიერი ბიუჯეტია. გუნდს აქვს გამართული ინფრასტრუქტურა - სტადიონის რეკონსტრუქცია მალე დასრულდება. გეგმაშია ტრიბუნების გადახურვა და 900-ლუქსიანი განათების სისტემის დამონტაჟება. რეალურია ბობოყვათში ბაზის მშენებლობაც. გარდა ამისა, ქობულეთში ორი საფეხბურთო სკოლა ფუნქციონირებს, მოედანი არის დაბა ოჩხამურშიც, სადაც ბავშვები იზრდებიან... გუნდის წარმატებისთვის აუცილებელი ეს სამი წინაპირობა ძალიან გვაიმედებს. „შუქურა“ ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლა და საფეხბურთო ელიტაში დამკვიდრებაა. მიმაჩნია, რომ ჩვენი ქალაქის პოტენციალის კარგად ათვისებით, უმაღლეს ლიგაში აჭარის ორი გუნდით წარდგენა სავსებით რეალურია“.*

ბალაძემ გაგვიმხილა, რომ კერძო ინვესტიციების მოზიდვაზეც მუშაობენ: *„ფინანსების მოზიდვაზე კარგად მუშაობს ჩვენი კლუბის პრეზიდენტი რევაზ ჩელებაძე. სერიოზული იმედი გვაქვს, რომ მალე „შუქურას“ პარტნიორი ძლიერი უცხოელი ბიზნესმენი გახდება“.*

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი



# დნიპრო კობახიძეს კარპატიში უშვებს?

UKRAINEFOOTBALL.NET-ის ინფორმაციით, **ალექსანდრე კობახიძე** მალე დატოვებს „დნიპროს“ რიგებს და ლვოვის „კარპატიში“ გადავა. 26 წლის ქართველით „კარპატის“ მწვრთნელი **ალექსანდრ სევიდოვი** დაინტერესდა და უკრაინული წყაროს მტკიცებით, არც „დნიპროს“ ხელმძღვანელობაა უარზე - კობახიძეს 6-თვიანი იჯარა ელის დასავლეთუკრაინულ კლუბში.

კობახიძეს კონტრაქტი „დნიპროსთან“ 2017 წლამდე აკავშირებს. სატრანსფერო ფანჯარა ზამთარში გაიხსნება.

შეგახსენებთ, რომ „დნიპროს“ რიგები ახლახან დატოვა **უჩა ლობჟანიძემ**, რომელიც დროებით არსად თამაშობს, ხოლო გუნდის ერთ-ერთი ლიდერია **ჯაბა კანკავა**. სანდრო კობახიძე 2008 წელს გადავიდა თბილისის „დინამოდან“ „დნიპროში“. მან ორჯერ ითამაშა იჯარით უკრაინის კლუბებში, ჯერ „კრივბასში“, შემდეგ კიევის „არსენალში“. თუ ეს მოხდა, დნეპროპეტროვსკელები ქართველ ლეგიონერს მესამედ გაანათხოვრებენ

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სასარგებლო კონტაქტები

# საბურთალო ვიარეჯოს ტურნირზე მიიწვიეს

შეხსენებით დავიწყებთ - წლეულს, აპრილში, საქართველოს იტალიელი მენეჯერი, „ბოლონიისა“ და იტალიის 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მეკარე **რიკარდო ჩერველატი** სტუმრობდა. მას თბილისში დაბადებული და ამჟამად იტალიაში მოსაქმე, პროგრამა „ვაისკაუტის“ მენეჯერი **ანდრეი ლასიუკი** ახლდა. თავის მხრივ, ჩერველატიმ შარშან იტალიაში „საბურთალოს“ გენერალურ დირექტორ **კახა ჭუმბურიძეს** უმასპინძლა, „ბოლონიისა“ და „იუვენტუსის“ წარმომადგენლები გააცნო და იმდენად კარგი შეხვედრები მოუწყო, ქართულმა მხარემ მას იტალიაში „საბურთალოს“ წარმომადგენლობა შესთავაზა.

თანამშრომლობა დაიწყო და იტალიელმა თავისი კავშირები ქართველების სასარგებლოდ აამუშავა. სწორედ მისი დამსახურებაა, „საბურთალოს“ 1996 წელს დაბადებულთა გუნდი ვიარეჯოს ტრადიციულ, პრესტიჟულ ტურნირზე რომ მიიწვიეს, სადაც „იუვენტუსი“, მოსკოვის „სპარტაკი“ და ბევრი პოპულარული კლუბის ახალგაზრდული გუნდი ითამაშებს. იქ სასელექციოდ ევროპული გრანდები ჩადიან და, ცხადია, ასეთ კომპანიაში „საბურთალოს“ მოხვედრა დიდი პატივია.

ამის შესახებ ჩერველატიმ ერთ-ერთ იტალიურ რეგიონულ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა: *„გაზაფხულზე საქართველოში საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ მიწვევით ვიმყოფებოდი. იმ დროს, როცა ქართველ ფეხბურთელებს ევროპაში გასვლა უჭირთ, „საბურთალოს“ სამი წარმომადგენელი ძლიერ ევროპულ ლიგაში გადავიდა: ჭანტურია და ყაზაიშვილი - ჰოლანდიის ერედივიზიონის კლუბ „ვიტესში“, ხოლო არაბული - ესპანეთის სეგუნდა დივიზიონში მოასპარეზე „ალკორონში“. ამ ქვეყნის ნაკრებები ზედიზედ ორჯერ ევროპის 17 და 19-წლამდელთა ჩემპიონატზე გავიდნენ. ორი ფეხბურთელი - კაკაბაძე და ენდელაძე ამ ჩემპიონატების სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელეს. წლეულს, ამსტერდამის „აიაქსში“ 17 წლის ქართველი ზარანდია მიიწვიეს. საქართველოში ბევრი მსგავსი ფაქტი შევიტყვე და დავინტერესდი. მიკვირს, აქამდე რატომ ვერავინ შენიშნა მათი ეროვნული ნაკრების მეკარე ლორია, რომელიც ბევრ ცნობილ ევროპელ მეკარეზე ნაკლები დონის არ გახლავთ. დავინახე, რომ საქართველოში ბავშვებთან საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ ევროპასთან ხიდი აკლიათ და ამიტომაც ვფიქრობ, რომ იტალიელმა სელექციონერებმა კავკასიის ამ ქვეყნისკენაც უნდა გაიხედონ. მაშინ თბილისში დაუგეგმავად ჩავედი, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გვქონდა და „საბურთალოსთან“ პარტნიორობაზე შევთანხმდით. სასიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩა. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ბევრი ნიჭიერი ბავშვი ჰყავთ. ამიტომაც ვურჩიე ვიარეჯოს ტურნირის ორგანიზატორებს, მიეწვიათ „საბურთალო“. ისინი ბევრ საინტერესო მოთამაშეს აღმოაჩენენ“.*

*„საერთოდ, ტურნირი 1995-96 წლებში დაბადებულებს შორის ტარდება, ჩვენ კი 1996-97- წლიანებით წავალთ“*, - გვითხრა „საბურთალოს“ გენერალურმა დირექტორმა კახა ჭუმბურიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა. VI ტური

### A ზონა

**დინამო 2–კოლხეთი (ფ) 0:1**

05.10. თბილისი. დინამოს აკადემია. 150 მაყურებელი

0:1 ზ. ქანთარია (23)

დინამო 2: თ. ზარქუა, ლ. შერგელაშვილი, გ. სამხარაძე, ბ. მახარობლიძე, ზ. თევზაძე, ი. ლექვთაძე, ჭ. ჭეჭელაშვილი (62. ბ. მუმლაძე), ო. კაკაბაძე, ს. ლობჟანიძე (46. ბ. რუხაძე), თ. კიტოვანი, ლ. შინდაგორიძე.

სათადარიგოები: ა. სარიშვილი, ნ. დიასამიძე, ვ. ბაჩიაშვილი, ვ. მატიაშვილი, ტ. ხაინდრავა

კოლხეთი (ფ): ლ. ძაგანია, გ. კილასონია, პ. ცხვიტარია, გ. ჩადუნელი, ლ. კაკულია, ლ. კუკავა (46. ა. ქორჩილავა), ო. გოგონაია, დ. სიჭინავა (80. კ. ბარამიძე), გ. ლემონჯავა, გ. ჭედია, ზ. ქანთარია (72. ლ. გულუა).

სათადარიგოები: ა. ჯანელიძე, ა. სარსანია, ი. მალრაძე, მ. ლორია

მწვრთნელი: ზ. ინიაშვილი

გაფრთხილება: დ. სიჭინავა, გ. ჭედია

არბიტრი: ზ. ნინუა

**გაგრა–სქური 4:1**

07.10. თბილისი. მერანი

1:0 ა. ოვონიკოკო (29), 2:0 ა. ოვონიკოკო (31), 3:0 ა. ოვონიკოკო (42), 4:0 რ. კაკუბავა (49), 4:1 დ. რაფავა (55)

გაგრა: გ. ბეგაშვილი, ც. ხარაბაძე, ლ. კალანდაძე, გ. ფალავანდიშვილი (46. თ. მოსიაშვილი), რ. კაკუბავა, ნ. ჭკუასელი, თ. ჟიშკარიანი, ვ. ჭაბუკიანი, რ. ცაცკრიალაშვილი (62. ზ. ქარდავა), ა. ოვონიკოკო (60. თ. ფერცელიძე), ზ. ქარდავა.

სათადარიგოები: გ. გადრანი, ა. მუსელიანი, გ. დობორჯგინიძე, ნ. მაგრაქველიძე

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

სქური: ნ. ჯოლოგუა, დ. რაფავა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ლ. მორგოშია (57. გ. კვირკვია), ა. კალანდია, თ. ფურთუხია (68. მ. მაჭუტაძე), ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, ბ. ხოჯანაშვილი.

სათადარიგოები: დ. შონია, გ. ჭკუასელი, ი. ქარდავა, ზ. ლარიბაშვილი, ტ. ხარჩილავა

მწვრთნელი: გ. ციკოლია

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

**შუქურა–ალგეთი 3:0**

07.10. ქობულეთი. ჩელე-არენა. 200 მაყურებელი

1:0 ზ. ტულუში (24), 2:0 ა. ბაჯელიძე (63), 3:0 ზ. ტულუში (90)

შუქურა: თ. კაკალაძე, ა. ბრაჭული, ვ. შეროზია, ლ. ელიზბარაშვილი, ა. ბაჯელიძე (77. რ. ლობე), ზ. ტულუში, გ. ჩელებაძე, ნ. მაჭავარიანი (83. რ. კვესიეშვილი), ზ. მალანია, მ. კაკალაძე, ი. ტაკიძე.

სათადარიგოები: დ. გაბელია, ლ. მახარაძე, მ. ქათამაძე, მ. კოპალიანი, მ. ფუტკარაძე

მწვრთნელი: ვ. ჩხარტიშვილი

ალგეთი: მ. ძიძიგური, რ. კიკალიშვილი, ი. ალასანია (46. მ. კობერიძე), გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, ე. ანიგბო, ვ. ნემსაძე, თ. მოსიაშვილი, ი. ჯოჯიშვილი, ზ. ტიელიძე (46. ი. სვანიძე), ა. ონუაკალუსი (89. ზ. ლაბუჩიძე).

სათადარიგოები: გ. ჩიქოვანი, ლ. ეზიეშვილი, მ. მახათაძე, თ. ბახტურიძე

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

გაფრთხილება: ა. ბაჯელიძე, გ. ჩელებაძე, ნ. მაჭავარიანი; გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, ე. ანიგბო, ა. ონუაკლუსი

არბიტრი: მ. ურუშაძე

**ადელი–კახეთი 1:2**

07.10. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

1:0 ლ. ცხადაძე (25), 1:1 გ. ტყეშელაშვილი (29), 1:2 გ. ნონიაშვილი (73)

ადელი: გ. თურმანიძე, ნ. წულუკიძე, გ. ცაბუტაშვილი, გ. ზოიძე, ლ. ცხადაძე, დ. ჯალაღანია (46. ვ. ივანიაძე), დ. ქურიძე (61. თ. გიორგაძე), ლ. ბერუაშვილი, მ. სირაბიძე, ზ. მჟავანაძე, ლ. კარაკულიანი (60. ფ. მოროტეი).

სათადარიგოები: დ. რუხაია, ნ. ნაროზაშვილი, ზ. კონცელიძე, ბ. ხურციძე

მწვრთნელი: ს. ნასუაშვილი

კახეთი: გ. აბულაშვილი (46. ხ. დავითაშვილი), ზ. ვარდუაშვილი, გ. ლომიძე, გ. მურველაშვილი, ლ. მაჭარაშვილი, თ. ვარდუაშვილი, ვ. მურადაშვილი. გ. ნონიაშვილი (75. ს. ბინკინაშვილი), ამ. ნატროშვილი (84. კ. ბაგალიშვილი), გ. ჩიტალაძე, გ. ტყეშელაშვილი.

სათადარიგოები: ი. ხუციშვილი, ჯ. ცისკარაული, ზ. პოპიაშვილი

მწვრთნელი: რ. თორლაშვილი

გაფრთხილება: ავ. ივანიაძე, გ. ზოიძე, გ. ცაბუტაშვილი; ვ. მურადაშვილი, ს. ბინკინაშვილი

გაძევება: გ. ზოიძე

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**ჩხერიმელა–საპოვნელა 0:5**

07.10. ხარაგაული. სოსო აბაშიძე. 300 მაყურებელი

0:1 ლ. შავგულიძე (7), 0:2 ლ. შავგულიძე (22), 0:3 ვ. ჭრელაშვილი (59), 0:4 იაკობ დეისაძე (76), 0:5 კ. უკუბილე (90-საკ. კარში)

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, თ. ლურსმანაშვილი (83. კ. ოკონკვო), გ. მეტრეველი, ლ. მჭედლიშვილი, გ. ჯიმშელეიშვილი (46. გ. ზაქარაშვილი), კ. უკუბილე, დ. კოსტავა, ი. ჩუბინიძე, გ. კიკნაძე, ზ. ჭურღობაძე, ბ. შარვაძე (67. ს. სვანიძე).

სათადარიგოები: ბ. ოკრიბელაშვილი, გ. ნიქაბაძე, ი. გვეტაძე

მწვრთნელი: ვ. ჯიმშელეიშვილი

საპოვნელა: ა. გიორგაძე, დ. ჩხიკვაძე, დ. ბაქრაძე, ზ. ენდელაძე, ლ. შავგულიძე, ა. ბუცხრიკიძე (68. ს. ცქიფურიშვილი), ს შუღლაძე (81. დ. არეშიძე), იაგო დეისაძე, ვ, ჭრელაშვილი (78. რ. რობაქიძე), ნ. სირაძე, იაკობ დეისაძე.

სათადარიგოები: კ. ხუჯაძე, კ. კუბლაშვილი, ვ. კახეთელიძე, ზ. აბულაძე

მწვრთნელი: მ. გენაძე

გაფრთხილება: კ. უკუბილე; ლ. შავგულიძე, ს. შუღლაძე, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**იმერეთი–მერცხალი 1:1**

07.10. ხონი. ცენტრალური

1:0 ა. ტყეშელაშვილი (5), 1:1 ვ. ჯაყელი (72-პენ)

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, ა. ტყეშელაშვილი, დ. კუხალაშვილი (74. დ. სულაბერიძე), ჯ. კილაძე (77. ს. ჯალაღანია), ბ. ჩხეტიანი, ნ. ჩიხლაძე, მ. აშვეთია (61. თ. ვაშაკიძე), გ. მანაგაძე.

სათადარიგოები: დ. გოდერიძე, დ. ხაბურძანია, გ. ბერძენაძე, ზ. სადილიანი

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

მერცხალი: ი. მურუსიძე, ს. გ. ჩიგოგიძე, გ. მექვაბიშვილი, ჯ. პაპავა, დ. სურგულაძე, ლ. ათუაშვილი (35. გ. გოგუაძე), გ. მალაზონია (46. თ. ჩხატარაშვილი), ლ. კოტრიკაძე, გ. ქარჩილაძე, ლ. ჩხაიძე, ვ. ჯაყელი (90. ი. ღლონტი).

სათადარიგოები: ლ. ესაძე, ლ. კალაჯიშვილი

მწვრთნელი: მ. ვანიძე

გაფრთხილება: დ. კუხალაშვილი, ა. ტყეშელაშვილი, ს. ჯალაღანია; გ. ქარჩილაძე, ჯ. პაპავა

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 5 | 5 | 0 | 0 | 12-1 | 15 |
| 2. მეშახტე | 5 | 4 | 1 | 0 | 13-3 | 13 |
| 3. საპოვნელა | 5 | 4 | 0 | 1 | 10-1 | 12 |
| 4. ალგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-3 | 12 |
| 5. გაგრა | 6 | 3 | 3 | 0 | 14-6 | 12 |
| 6. შუქურა | 5 | 3 | 1 | 1 | 14-6 | 10 |
| 7. ჩხერიმელა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-11 | 7 |
| 8. სქური | 6 | 2 | 0 | 4 | 6-11 | 6 |
| 9. კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-9 | 6 |
| 10. იმერეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-10 | 5 |
| 11. დინამო 2 (თბ) | 6 | 1 | 1 | 4 | 5-9 | 4 |
| 12. მერცხალი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-15 | 1 |
| 13. ადელი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-19 | 0 |

**მომდევნო ტური**

**12 ოქტომბერი**

საპოვნელა-გაგრა
ალგეთი-ჩხერიმელა
კოლხეთი (ფ)-შუქურა
მეშახტე-დინამო 2 (თბ)
მერცხალი-ადელი
სქური-იმერეთი

### B ზონა

**კოლხეთი (ხ)–მაჭახელა 0:2**

08.10. ხობი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

0:1 ა. ლორია (78), 0:2 ი. კუტალია (90)

კოლხეთი: ზ. გოგენია, ო. ფიფია, დ. ჭითანავა, ლ. გოგენია, ლ. ვართაგავა, ც. ბუკია, პ. გაბრავა, ლ. მეფიშვილი, გ. პაჭკორია, თ. ღლონტი, ი. გერგაია.

სათადარიგო: გ. გოგენია

მწვრთნელი: ლ. ნოდია

მაჭახელა: შ. მამინაშვილი, დ. ბერუაშვილი, ლ. რამიშვილი, გ. ფალავანდიშვილი, ლ. ხოხონიშვილი, ა. ლაბაძე (70. ლ. კალანდაძე), ნ. შონია, ა. ლორია (79. ზ. ანანიძე), გ. ჩხიკვიშვილი, ი. კუტალია, დ. დოლიძე (65. მ. დავითაძე).

სათადარიგოები: კ. აკმელი, გ. გოგიტიძე, გ. ქოქოლაძე, ს. დუმბაძე

მწვრთნელი: ა. გოგიტიძე

გაფრთხილება: ლ. ხოხონიშვილი, ა. ლორია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**სტუ–სამგურალი 3:5**

08.10. თბილისი. შატილი. 100 მაყურებელი

0:1 ი. ხვადაგიანი (7), 1:1 გ. ბააკაშვილი (45-პენ), 1:2 გ. თევდორაძე (17), 2:2 ლ. ჯიქიძე (45-პენ), 2:3 გ. ბუხაიძე (45), 2:4 გ. ბუხაიძე (62), 3:4 ლ. ჯიქიძე (81), 3:5 მ. ჩხარტიშვილი (87-პენ)

სტუ: ა. ბილიხოძე, ნ. მაღრაძე (548 კ. კახაბრიშვილი), ლ. საბაძე, ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, გ. ვაშაკიძე (69. გ. თვალავაძე), ო. გაგნიძე, გ. ბააკაშვილი (63. გ. ჩიკვაძე), ი. გოგატიშვილი, ლ. ჯიქიძე.

სათადარიგოები: გ. არახამია, მ. გოგატიშვილი, ნ. გოგიშვილი, რ. მამფორია

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

სამგურალი: ი. კუჭუხიძე (49. ლ. გორდეზიანი), ბ. ბიბილაშვილი, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. სალინაძე (57. უ. ბანძელაძე), ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, გ. ამბროლაძე, ლ. ყიფიანი, გ. ბუხაიძე (79. მ. ჩხარტიშვილი), ა. ფანცხავა, გ. თევდორაძე.

სათადარიგოები: გ. ხარაბაძე, ხ. უგრეხელიძე, თ. ბრეგვაძე, ზ. ჩხეტიანი

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: ლ. საბაძე, ნ. ბინკინაშვილი, ო. გაგნიძე; გ. ამბროლაძე, ა. ფანცხავა

გაძევება: გ. ამბროლაძე

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**სულორი–ბეთლემი 1:0**

08.10. ვანი. გ. ნიკოლეიშვილი. 500 მაყურებელი

1:0 გ. ბრეგვაძე (44)

სულორი: დ. ხურციძე, ბ. ბელექანია, ლ. გაბუნია, ა. როხვაძე, დ. გაგნიძე, თ. ძაგნიძე (76. გ. ბალდავაძე), გ. ბრეგვაძე, მ. ნაფეტვარიძე, დ. ივანიაძე, თ. მაღლაკელიძე (67. მ. სულაბერიძე), გ. ფირანაშვილი (90. თ. მატარაძე).

სათადარიგოები: ა. მაღლაკელიძე, გ. ნიკოლეიშვილი, გ. თევზაძე, ნიკა გიორგაძე

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

ბეთლემი: ა. მაქაცარია, გ. ნათენაძე, რ. ქობულაძე (46. ლ. ნინიკაშვილი), ა. ფარტენაძე, ი. ნაჭყებია, ლ. ქანთარია, თ. ჩადუნელი, ბ. ჯუგაშვილი (46. ბ. კახიძე), გ. კახიანი, გ. ქობალია, ი. ბოლქვაძე (58. ე. ერქომაიშვილი).

სათადარიგოები: გ. შაველიძე, მ. ბერიძე, ი. ბარამიძე

მწვრთნელი: ე. იმნაძე

გაფრთხილება: ბ. სულაბერიძე, ლ. გაბუნია

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**ლოკომოტივი–სასკო 2:1**

08.10. საბურამოს საფეხბურთო სპორტკომპლექსი. 100 მაყურებელი

1:0 გ. არაბიძე (18), 1:1 ბ. ზაქრაძე (26), 2:1 გ. არაბიძე (65)

ლოკომოტივი: გ. თებიძე, გ. გურეშიძე, გ. მაკასარაშვილი, ლ. რეხვიაშვილი, დ. ცნობილაძე, დ მიქავა, გ. ბაქრაძე (63. გ. თედიაშვილი), გ. ნიკვაშვილი, გ. ლუკავა (76. ნ. ნივნივაძე), ც. მესხი (90. გ. ლვინიაშვილი), გ. არაბიძე.

სათადარიგოები: გ. ვარაზაშვილი, ს. ჩაჩანიძე, ზ. ჯალაღანია, ა. არდაზიშვილი

მწვრთნელი: გ. ცეცაძე

სასკო: ა. ნონოსი, გ. ბერიშვილი, გ. მაჩაიძე, ს. მიქაუტაძე (76. რ. ჯიქია), შ. ფირუზაშვილი, ო. ჩაფიძე, ე. ეგიაზარიანი (65. გ. არახამია), ბ. ზაქრაძე, ი. ქავთარაძე, გ. კვარაცხელია (64. თ. ქორჩილავა), გ არველაძე.

სათადარიგოები: გ. პაპუნაშვილი, ლ. ბრაჭული, თ. მოგელაძე, გ. რეხვიაშვილი

მწვრთნელი: თ. კაცია

გაფრთხილება: გ. ბაქრაძე; ი. ქავთარაძე, ო. ჩაფიძე

გაძევება: ო. ჩაფიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**დილა 2–ბახმარო 1:1**

08.10. გორი. ქართლი. 50 მაყურებელი

0:1 ლ. ნაკაშიძე (24), 1:1 ნ. გაბელია (90)

დილა 2: ლ. ნოზაძე, გ. ყურმაშვილი (57. თ. ჩიკვილაძე), ს. ცაბუტაშვილი, კ. ლალანიძე, თ, ქებურია (76. ნ. გაბელია), მ. აფხაზავა, ლ. ქოჩლაძე (66. ი. ბერიძე), გ. კაშია, გ. კვარაცხელია, კ. მელაშვილი, გ. გაფრინდაშვილი.

სათადარიგო: დ. გაბიჩვაძე

მწვრთნელი: გ. დოლიძე

ბახმარო: გ. კუქავა, დ. ჩაჩუა, ჯ. ლოლუა, პ. ანტვეე, დ. სიხარულიძე, გ. შათირიშვილი (44. მ. ახობაძე), გ. ჟღენტი, ა. შონია (69. ს. გიორგაძე), ლ. ნაკაიძე, მ. გიორგაძე, ხ. დიდია (86. ჯ. ადობე).

სათადარიგოები: გ. ფალავა, კ. კალანდაძე, ლ. ძნელაძე, ლ. თენაძე

მწვრთნელი: ზ. გიორგაძე

გაფრთხილება: თ. ქებურია; გ. ჟღენტი, მ. გიორგაძე, გ. ჟღენტი

გაძევება: გ. ჟღენტი

არბიტრი: ჯ. ხორავა

სამტრედია-ჭიათურა 4:1
საბურთალო-დინამო (ბთ) გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 5 | 4 | 1 | 0 | 6-1 | 13 |
| 2. მაჭახელა | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| 3. ჭიათურა | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 4. დინამო (ბთ) | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| 5. საბურთალო | 5 | 3 | 0 | 1 | 9-7 | 9 |
| 6. სტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 10-7 | 7 |
| 7. სამგურალი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 8. ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 10. ბეთლემი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 11. სასკო | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 12. დილა 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 5-13 | 4 |
| 13. ბახმარო | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |
| 14. სულორი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-11 | 1 |

**მომდევნო ტური**

**13 ოქტომბერი**

სამგურალი-ლოკომოტივი
დინამო (ბთ)-სტუ
ბეთლემი-საბურთალო
მაჭახელა-სულორი
ბახმარო-კოლხეთი (ხ)
ჭიათურა-დილა 2
სასკო-სამტრედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# რუნი ალაპარაკდა




უეინ რუნი „იუნაიტედში" ყოფნით ისევ ბედნიერია

„მანჩესტერ იუნაიტედის" 27 წლის თავდამსხმელი **უეინ რუნი** პირველად ალაპარაკდა მიზეზებზე, რამაც მას ამ ზაფხულს კლუბიდან წასვლა გადააწყვეტინა. ფეხბურთელი **დევიდ მოიესს** „ემმაკების" თავკაცად დანიშვნის შემდეგ პირისპირ შეხვდა და, როგორც ჩანს, შოტლანდიელისგან გარანტია მიილო, რომ მას უკმაყოფილების საფუძველი არ ექნებოდა. „იუნაიტედის" ახლად დანიშნულმა თავკაცმა რუნის ტრანსფერს ვეტო დაადო. მას შემდეგ სულ რაღაც ორი თვე გავიდა და ფეხბურთელი ამბობს, რომ „ოლდ ტრეფორდზე" თამაში მას ძველებურად განუზომელ სიამოვნებას ჰგვრის.

- ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია, რომ კარგად ვთამაშობ და ფეხბურთს ჩემთვის ისევ მოაქვს ბედნიერება. მოიესის დანიშვნის შემდეგ ისევ დავუბრუნდი თავდასხმას, რაც შეუძლებელია, რომ არ მახარებდეს. ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, როცა სხვა პოზიციაზე მიწევს თამაში, მაგრამ თავდამსხმელი ვარ და ვგრძნობდი, რომ სწორედ შეტევაში თამაშის შანსს ვიმსახურებდი. როცა ამის დრო არა და არ მოვიდა, იმედგაცრუებამ შემიპყრო. ჩემი განწყობა შარშანდელ სეზონში რამდენიმე თამაშზე შეიძლება აისახა კიდეც, თუნდაც იმიტომ, რომ საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი.

„იუნაიტედში" ყველამ იცოდა, რაც მაწუხებდა. არ გამოვრიცხავ, წლების შემდეგ, როცა სისწრაფე მომაკლდება, ისევ დავუბრუნდე მოედნის ცენტრს, მაგრამ ამ ეტაპზე ამის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ნამდვილად არ ვიქნები იმის წინააღმდეგი, თუკი თამაშის ბოლო წუთებში ანგარიშის შესანარჩუნებლად ჩემი უკანდახევა გახდება საჭირო. გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მეტზეც ვარ წამსვლელი, თუმცა შარშან ყველაფერი სხვანაირად იყო. ვითარება იმ კონდიციამდე გამწვავდა, რომ აუცილებელი იყო ეგოიზმის გამოვლენა საკუთარი კარიერის გადასარჩენად. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ზაფხულს საბოლოოდ არსადაც არ წავიდოდი. ამის შესახებ კლუბის ფუნქციონერებს ვესაუბრე კიდეც. ჩვენ ვიცოდით, რასაც ვაკეთებდით. ნამდვილად აღარ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი. მინდოდა წასვლას, არ მინდოდა... ახლა მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, რომ ფეხბურთზე კონცენტრაცია მოვახერხო.

მოსაზრება

# არის თუ არა ნატურალიზაცია გამოსავალი?

დღეს ინგლისის ნაკრებს ჩერნოგორიასთან „უემბლიზე" მოუწევს დაპირისპირება, 15 ოქტომბერს კი ამავე არენაზე ის უკვე პოლონეთს უმასპინძლებს. ვიმედოვნებთ, რომ „სამი ლომი" მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს აუცილებლად მოიპოვებს. მას გარანტირებული ნამდვილად არაფერი აქვს, რადგან სხვაობა უახლოეს კონკურენტებთან უმნიშვნელოა. ის ჩერნოგორიასა და უკრაინას თითო ქულით უსწრებს, პოლონეთს - სამით. **როი ჰოჯსონის** გუნდის თამაშს ვერაფრით დავარქმევთ შთამბეჭდავს. პირიქით, გამოცემები 65 წლის სპეციალისტის სანაკრებო მომავალს ეჭვქვეშ აყენებენ. საფეხბურთო ასოციაციის პირველი პირი **გრეგ ვან დაიკი** საზოგადოებას საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანებას სთავაზობს და სთხოვს, რომ ამ ეტაპზე აღნიშნულ თემას ნუ შეეხებიან. ბატონი პრეზიდენტი ამას გარდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან თემას შეეხო. მაგალითად, ფეხბურთელთა ნატურალიზაციას. ვან დაიკმა პოლიტიკური ტექნოლოგიების სპეციალისტთა ილეთი გამოიყენა და პირადად არც დაადასტურა და არც უარყო, რომ მისი ორგანიზაცია უკვე მუშაობს, „მანჩესტერ იუნაიტედის" 18 წლის ნახევარმცველის **ადნან იანუზაის** ინგლისის ნაკრებში მისაწვევად.

- არ ვარ დარწმუნებული, რომ ახლა ნაკრების მთავარ მწვრთნელის მომავალზე მსჯელობის დროა. გუნდს წინ ორი უმნიშვნელოვანესი თამაში ელის და რაც მთავარია, მას უკვე ჰყავს დამრიგებელი. თამაშებმა ჩაიაროს და დრო თავზე საყრელად გვექნება. ამ წუთას მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მე მომწონს ჰოჯსონის მუშაობა. ასოციაციის წესებს უნდა გადავხედოთ, რათა უხეშად არ დავარღვიოთ არსებული ბალანსი. ამასთან, უცხო ქვეყნებში მოქმედი პრაქტიკაც უნდა გავითვალისწინოთ, რათა არნახული კონკურენციის პირობებში წამგებიან მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ. პირდაპირ ნამდვილად არ ვიწონებ, თუმცა არც უარვყოფ იანუზაის ინგლისის ნაკრებში თამაშის იდეას. მიმაჩნია, რომ თუკი ასეთი პრაქტიკა ერთხელ დამკვიდრდა, სხვა დროსაც განმეორდება. მთავარია, ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდა გარკვეული სისტემის ქვეშ მოექცეს.



როი ჰოჯსონს (მარცხნივ) საფეხბურთო ასოციაციაში გავლენიანი დამცველი, პრეზიდენტი გრეგ ვან დაიკი ჰყავს

პრემიერლიგა




ალან შირერის თქმით, ლეგიონერთა სიმრავლე ინგლისური ფეხბურთის პრობლემათაგან მხოლოდ ნაწილია

# მთავარი საფრთხეები ინგლისური ფეხბურთისთვის

გუშინდელმა BBC-მ ოპტასპორტსის სტატისტიკაზე დაყრდნობით ინგლისური ფეხბურთის გულშემატკივარს საზარელი სურათი დაუხატა. თუკი მხოლოდ ციფრებს ვენდობით, გამოდის, რომ პრემიერლიგას, წლებთან ერთად, სულ უფრო ნაკლები უფლება რჩება, რომ ინგლისური ვუწოდოთ. სხვა თუ არაფერი, ბედის ირონიაა, რომ პროცენტულად ყველაზე მეტი ინგლისელი უელსური „კარდიფ სიტის" რიგებში თამაშობს.

2007/08 წლების სეზონში ინგლისელთა წილად საერთო სათამაშო დროის 35.25% მოდიოდა. მიმდინარე სეზონში კი ეს რიცხვი 31.8-მდე ჩამოვიდა. გამოდის, რომ ჩემპიონატი, რომლითაც ინგლისელები ასე ამაყობენ, 2/3-ზე მეტით უკვე უცხოური პროდუქტია. 31.8 ძალიან ცოტაა თუნდაც იმიტომ, რომ ევროპის ტოპლიგებში (მაგალითად იტალიასა და გერმანიაში) ეს რიცხვი 50-ს ოდნავ არის ჩამოცილებული, ესპანეთში კი ის სულაც 59%-ს აღწევს. პრემიერლიგაში მცირდება არა მხოლოდ ინგლისელების, არამედ, ზოგადად ბრიტანელთა რაოდენობაც. შოტლანდიელები, უელსელები და ჩრდილოირლანდიელები ერთად პრემიერლიგაში უფრო ცოტანი დარჩნენ (7.17), ვიდრე ფრანგები (7.98), რაოდენობრივად საკმაოდ ბევრნი არიან ჩემპიონატში ესპანელებიც (6.18) და ჰოლანდიელებიც (3.94). პარადოქსია, რომ უელსელთა რაოდენობა კლებულობს მაშინ, როცა ლიგაში ორი უელსური კლუბი თამაშობს. პრემიერლიგიდან განდევნილი ინგლისელები და სხვა ბრიტანელები თავს ინგლისის ჩემპიონშიპის ან შოტლანდიის ლიგის გუნდებს აფარებენ.

**ალან შირერი** (ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი):

- ინგლისური ფეხბურთისთვის რთული დრო დადგა. უკვე ცხადი ხდება, რომ ის იმდენად ჯანსაღი ნამდვილად არ არის, როგორც შორიდან შეიძლება ჩანდეს. ვშიშობ, რომ სიტუაციის გამოსასწორებლად იმაზე მეტი დრო იქნება საჭირო, ვიდრე წარმოგვიდგენია. ცხადია, ეს ყოველივე ეროვნულ ნაკრებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის. მეორე მხრივ იმის გახსენებაც შეიძლება, რომ ინგლისმა 1994 წელს მაშინაც კი ვერ შეძლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა, როცა პრემიერლიგაში აბსოლუტურ უმრავლესობას ჩვენი ფეხბურთელები წარმოადგენდნენ. ასე რომ, პრობლემა მხოლოდ ლეგიონერთა სიმრავლეში არ უნდა იყოს, რომლებიც ახალგაზრდა ინგლისელებს ცხოვრებას ნამდვილად ურთულებენ. უცხოელი ფეხბურთელების მოყვანა ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ინგლისელის აღზრდა. გუნდების მთავარ მწვრთნელებს დრო არ რჩებათ ექსპერიმენტებისთვის. მათ მიზნების მისაღწევად მზა ფეხბურთელები სჭირდებათ.

**არსენ ვენგერი** („არსენალის" მთავარი მწვრთნელი): - ორად ორი გამოსავალი არსებობს. პირველი, თუკი მოვიწვევთ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს და ადგილობრივ მოთამაშეებს მათ მაგალითზე გავზრდით. მეორე გზა კი ასეთია, მაქსიმალურად დავიცვათ ინგლისელები და მხოლოდ მათ მივცეთ თამაშის შესაძლებლობა. მიმაჩნია, რომ გლობალიზმის ეპოქაში რეალური გზა განვითარებისა ისედაც ცხადი უნდა იყოს. უმთავრესი შემდეგ შეკითხვაზე პასუხის მიღებაა, შეუძლია კი მხოლოდ ინგლისურ ფეხბურთს იმდენი მაღალი დონის ფეხბურთელის გაზრდა ყოველწლიურად, რამდენიც პრემიერლიგის კლუბებს სჭირდებათ.

ამბები

## ბეშიქთაშის სასჯელი

Goal.com-ის ინფორმაციით, 22 სექტემბერს „გალათასარაისთან" შეხვედრისას „ბეშიქთაშის" გულშემატკივრების მიერ მოწყობილი არეულობების გამო უკანასკნელი მომდევნო ოთხ შეხვედრას ტრიბუნებზე სრულწლოვანი მამაკაცი გულშემატკივრების გარეშე ჩაატარებს. თამაშებზე დასწრებას მხოლოდ ქალბატონები და 18 წლამდე ასაკის ფანები (ორივე სქესის) შეძლებენ. ამას გარდა ფეხბურთის ფედერაციამ „ბეშიქთაში" 21 ათასი ევროთი დააჯარიმა. არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო მკაცრად დაისაჯა გუნდის თავკაცი **სლავენ ბილიჩიც**. 45 წლის ხორვატი გუნდს სამ თამაშში ვერ უხელმძღვანელებს.

## აგუერო წასვლას არ გამორიცხავს




„მანჩესტერ სიტის" 25 წლის თავდამსხმელი **სერხიო აგუერო** გამოტყდა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ „ინდეპენდიენტეში" უნდა დაბრუნება, გუნდში, რომლის ღირსებასაც ის 2003 წლის აპრილიდან 2006 წლის ივლისამდე იცავდა. ერთია, თუ რას გეგმავს „ალბისელესტეს" ფეხბურთელი და მეორეა, რომ უსახსრობით წელში გაწყვეტილი და არგენტინის მეორე ლიგაში გავარდნილი კლუბი ფეხბურთელის საკომპენსაციო თანხის გადახდას ვერ მოახერხებს. აგუეროსა და „სიტის" შორის მოქმედი კონტრაქტი 2017 წლის ივლისამდეა ძალაში. ასე რომ, მას კიდევ დიდხანს მოუწევს მოცდა. სხვათა შორის, იმის გახსენებაც შეიძლება, რომ „სათამაშოდ სამშობლოში დაბრუნების სურვილით შეპყრობილმა" **კარლოს ტევესმა** საბოლოოდ არა რომელიმე არგენტინულ კლუბზე, არამედ „იუვენტუსზე" შეაჩერა არჩევანი. შესაძლოა, აგუეროსთვისაც ეს ერთგვარი პრელუდია იყოს იმისთვის, რომ როგორმე სხვაგან წავიდეს სათამაშოდ. მაგალითად, „რეალში".

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

პენსია




დენი მერფის საუკეთესო წლები „ლივერპულს" უკავშირდება

# დენი მერფი ფეხბურთიდან წავიდა

ინგლისის ნაკრების (9 თამაში, 1 გოლი), „ქრიუს" (1993/97) „ლივერპულის" (1997/2004), „ჩარლტონის" (2004/06), „ტოტენჰემის" (2006/07), „ფულჰემისა" (2007/12) და „ბლექბერნის" (2012/13) ყოფილმა ნახევარმცველმა, 36 წლის **დენი მერფიმ** მოულოდნელად ფეხბურთიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება. ზაფხულზე „ივუდ პარკიდან" წასვლის შემდეგ ის ისედაც უგუნდოდ იყო. ფეხბურთელმა კარიერის განმავლობაში ყველა ტურნირზე და ყველა ლიგაში ერთად აღებული 600-მდე თამაში ჩაატარა და 80-მდე გოლი გაიტანა. „გადაწყვეტილება ერთი თვის წინ მივიღე, უბრალოდ, აქამდე ამას ხმამაღლა არ ვამბობდი. ასე რომ, დღეიდან უკვე პენსიაზე ვარ. დიდ ფეხბურთში თითქმის 20 წელიწადი გავატარე. შესანიშნავი კარიერა მქონდა და ნამდვილად ამაყად შემიძლია უკან მიხედვა," - განაცხადა ფეხბურთელმა. კარიერის დასრულების შემდეგ ის სამწვრთნელო ლიცენზიის მოპოვებას გეგმავს.

მერფის კარიერის განმავლობაში მოუგია: ასოციაციის თასი (2001), ლიგის თასი (2001, 2003), ინგლისის სუპერთასი (2001), უეფას თასი (2001), ევროპის სუპერთასი (2001). ორჯერ 2001 წლის ნოემბერსა და 2005 წლის სექტემბერში კი ის პრემიერლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.

# ევროპა გადამწყვეტი მატჩების წინ

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ფინიშის სწორზე გავიდა. ევროპაში გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. დღევანდელი სათამაშო დღის შემდეგ, შესაძლოა, ბევრ ჯგუფში ყველაფერი გაირკვეს, ან პირიქით, სიტუაცია კიდევ უფრო ჩაიხლართოს და დაიძაბოს...**

## მთავარი მატჩი ზაგრებში და ბელამის გამოსათხოვარი

ევროპის მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მატჩი ზაგრებში გაიმართება, სადაც ხორვატიის ნაკრები ბელგიას უმასპინძლებს. ხორვატები მეტოქეს ხუთი ქულით ჩამორჩებიან და იმისთვის, რომ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი შეინარჩუნონ, დღეს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ. ბელგიის ნაკრებს კი მუნდიალის საგზურის მისაღებად ფრეც ჰყოფნის.

სტუმრები ამ შეხვედრას სერიოზული დანაკლისით ხვდებიან - ტრავმირებულნი არიან: **ვენსან კომპანი, კრისტიან ბენტეკე, მუსა დემბელე** და **მარუან ფელაინი.** პირველი ორი ნამდვილად ვერ ითამაშებს, დემბელეს და ფელაინის ასპარეზობის შანსი კი არის, თუმცა საკმაოდ მცირე. მიუხედავად ამისა, **მარკ ვილმოტსს** მაინც ძალიან ძლიერი შემადგენლობის გამოყვანა შეუძლია, შესაბამისად, ბელგიას ნამდვილად ვერ ჩამოვწერთ. დანაკლისი აქვს ხორვატიასაც, თუმცა გაცილებით მცირე - სერბეთთან შეხვედრაში გაძევებული **იოსიპ შიმუნიჩი** დისკვალიფიცირებულია.

ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა, რომელიც ბელგიაში გაიმართა, ფრედ, 1:1 დასრულდა. ამ შედეგის გამეორების შემთხვევაში, ბელგიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ერთი ტურით ადრე გაინაღდებს, ხოლო თუ დამარცხდა, ვილმოტსის გუნდს, ბოლო ტურში უელსთან ქულის აღება მაინც არ უნდა გაუჭირდეს.

აქვე გეტყვით, რომ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ გუნდს, ვისაც უკეთესი ბურთების სხვაობა ექნება.

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ხორვატია (4-2-3-1):** *პლეტიკოშა - სრნა, ჩორლუკა, ლოვრენი, სტრინიჩი - ვუკოიევიჩი, მოდრიჩი - ედუარდო, რაკიტიჩი, ოლიჩი - მანჯუკიჩი*

**ბელგია (4-3-2-1):** *კურტუა - ალდერვეირელდი, ვან ბუიტენი, ვერტონგენი, ლომბერტსი - ვიტსელი, ფელაინი, დეფური - აზარი, მერტენსი - ლუკაკუ*

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ბოლო ადგილზე მყოფი უელსი მაკედონიას შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში მეოთხე პოზიციაზე გადავა. იმის გათვალისწინებით, რომ ბრიტანელები ბოლო ტურში ბელგიაში ითამაშებენ, ეს მატჩი მათთვის ბოლო პოზიციისთვის თავის დაღწევის უკანასკნელი შანსია. ამ შეხვედრაში ითამაშებს **კრეიგ ბელამი**, რომელიც თანამემამულეების წინაშე, უელსის ნაკრების მაისურით ბოლოჯერ გაირჯება, ბელგიასთან მატჩის შემდეგ კი სანაკრებო კარიერას დაასრულებს.

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ხორვატია-ბელგია | 20:00 |
| უელსი-მაკედონია | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 8 | 7 | 1 | 0 | 15-2 | 22 |
| 2. ხორვატია | 8 | 5 | 2 | 1 | 11-5 | 17 |
| 3. სერბეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 13-10 | 11 |
| 4. შოტლანდია | 9 | 2 | 2 | 5 | 6-12 | 8 |
| 5. მაკედონია | 8 | 2 | 1 | 5 | 6-10 | 7 |
| 6. უელსი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-19 | 6 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **სერბეთი-მაკედონია, ბელგია-უელსი, შოტლანდია-ხორვატია**

## იტალიელები პარკენზე

იტალიას მუნდიალის საგზური უკვე მოპოვებული აქვს და ამ ჯგუფში მთავარი ბრძოლა მეორე ადგილისთვის მიდის. არის შანსი, რომ ბოლოსწინა ტურის შემდეგ, ყველაფერი გარკვეული იყოს. ამისთვის საჭიროა, რომ ბულგარეთმა სომხეთში იმარჯვოს, ხოლო იტალიამ დანიასთან არ წააგოს. ამ შემთხვევაში, ჩეხეთი, რომელიც მალტას, რა თქმა უნდა, მოუგებს, ყველანაირ შანსს დაკარგავს, დანიას კი მხოლოდ თეორიული შანსი შერჩება, ხოლო თუ დანია დამარცხდა, მაშინ ბულგარეთი მეორე ადგილს ერთი ტურით ადრე გაინაღდებს.

თეორიული შანსი აქვს სომხეთსაც - **ვარდან მინასიანის** შეგირდებმა ორივე მატჩი უნდა მოიგონ, თუმცა, თუ ბულგარეთთან ეს შესაძლებელია, ბოლო ტურში, იტალიაში გამარჯვება ფანტასტიკის სფერო უფროა, ვიდრე რეალობა. მიუხედავად ამისა, მასპინძლები ერევანში ბოლომდე იბრძოლებენ და ბულგარეთს იოლი მატჩი ნამდვილად არ ელის.

ჯგუფის მთავარი შეხვედრა კი კოპენჰაგენში გაიმართება, სადაც „პარკენის“ სტადიონზე სათამაშოდ იტალიის ნაკრები ჩავა. ეს არენა „სკუადრა აძურას“ ბევრი ფეხბურთელისთვის ნაცნობი და არცთუ ისე სასიამოვნოდ მოსაგონარია - „იუვენტუსის“ ფეხბურთელებმა აქ წელსაც ითამაშეს („კოპენჰაგენთან“) და შარშანაც („ნორდსიელანდთან“), თუმცა გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლეს.

მასპინძლებს დანაკლისი არ აქვთ - ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც **მორტენ ოლსენმა** გამოიძახა, მწყობრშია. დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა **ჩეზარე პრანდელის** გუნდის ბანაკშიც, უბრალოდ, მცირე ტრავმის გამო, თითქმის გამოირიცხა **მარიო ბალოტელის** თამაში.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დანია (4-3-3):** *ანდერსენი - ზიმლინგი, კიაერი, აგერი, ბოილესენი - ერიკსენი, კვისტი, კრონ-დელი - ფიშერი, ბენდტნერი, ბრაიტვეიტი*

**იტალია (3-4-1-2):** *ბუფონი - ასტორი, ბონუჩი, კიელინი - კანდრევა, პირლო, მონტოლივო, ჯაკერინი - დიამანტი - ჯ. როსი, ოსვალდო*

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| სომხეთი-ბულგარეთი | 19:00 |
| მალტა-ჩეხეთი | 21:30 |
| დანია-იტალია | 22:15 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 2 | 0 | 15-5 | 20 |
| 2. ბულგარეთი | 8 | 3 | 4 | 1 | 13-6 | 13 |
| 3. დანია | 8 | 3 | 3 | 2 | 9-10 | 12 |
| 4. ჩეხეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-8 | 9 |
| 5. სომხეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 8-10 | 9 |
| 6. მალტა | 8 | 1 | 0 | 7 | 4-18 | 3 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **ბულგარეთი-ჩეხეთი, დანია-მალტა, იტალია-სომხეთი**

## არც ერთია შვედი და არც მეორე ავსტრიელი

გერმანიას პირველი ადგილი ჯერ არ გაუნაღდებია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, **იოახიმ ლიოვის** შეგირდებმა ზედიზედ ორი მატჩი წააგონ და მუნდიალის საგზური შვედეთს დაუთმონ. ამ ტურში ალემანები ირლანდიას მასპინძლობენ და დიდი ალბათობით, პირველ ადგილსაც სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გაინაღდებენ - ამისთვის ბუნდესგუნდს ქულაც ეყოფა.

ირლანდიელები **ჯოვანი ტრაპატონის** გადადგომის შემდეგ პირველ შეხვედრას ჩაატარებენ. გუნდს დროებითი მთავარი მწვრთნელი, ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი **ნოელ კინგი** გაუძღვება, რომელმაც შემადგენლობა დიდად არ შეცვალა და შეკრებაზე იმ ფეხბურთელებს უხმო, ვისაც იტალიელი მაესტრო ენდობოდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც დუბლინში გაიმართა, მასპინძლების შერცხვენით და განადგურებით დასრულდა - ირლანდიამ 1:6 წააგო.

სოლნაში კი ერთმანეთს შვედეთი და ავსტრია ხვდებიან. გამარჯვების შემთხვევაში **ერიკ ჰამრენის** შეგირდები მეორე ადგილს გაინაღდებენ, ხოლო თუ სასწაული მოხდა და გერმანიამ წააგო, პირველი ადგილის დაკავების შანსსაც შეინარჩუნებენ, რადგან ბოლო ტურში შვედეთი სწორედ ლიოვის სამწყსოს მასპინძლობს.

გამარჯვებისთვის ითამაშებს ავსტრია, რომელიც ბოლო ტურში ფარერებს უნდა ესტუმროს, საიდანაც სამ ქულას აუცილებლად წამოიღებს. გუნდები შეხვედრას დანაკლისის გარეშე ხვდებიან, ასე რომ, წინ საკმაოდ დაძაბული და საინტერესო მატჩი გველის. ცალკე აღნიშვნის ღირსია **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** და „პატარა იბრას“, **მარკო არნაუტოვიჩის** დაპირისპირება. როგორც იტყვიან: არც ერთია შვედი და არც მეორე ავსტრიელი - ორივე ბედკრული ბოსნიის შვილები იყვნენ...

### C ჯგუფი

| | |
|---|---|
| ფარერები-ყაზახეთი | 21:00 |
| გერმანია-ირლანდია | 22:45 |
| შვედეთი-ავსტრია | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 28-7 | 22 |
| 2. შვედეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-8 | 17 |
| 3. ავსტრია | 8 | 4 | 2 | 2 | 16-8 | 14 |
| 4. ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 5. ყაზახეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-17 | 4 |
| 6. ფარერები | 8 | 0 | 0 | 8 | 3-25 | 0 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **ირლანდია-ყაზახეთი, შვედეთი-გერმანია, ფარერები-ავსტრია**

## ჰოლანდია როგორც მოისურვებს

ამ ჯგუფში ბევრი რამ უკვე მუნდიალის საგზურის მქონე ჰოლანდიის ნაკრების განწყობაზე და სურვილზეა დამოკიდებული. „ორანიე“ დღეს უნგრეთს ხვდება, ბოლო ტურში კი მადიარების კონკურენტს, თურქეთს სტუმრობს. ამ ყველაფრის გამო, თუ ჰოლანდიამ მეტოქეებს ქულები დააკარგვინა, მეორე ადგილის დაკავების საუკეთესო შანსს რუმინეთი მიიღებს, ვისაც შედარებით იოლი მატჩები ელის - დღეს ანდორასთან, 15-ში კი შინ ესტონეთთან.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდს სატურნირო მოტივაცია აღარ აქვს, **ლუის ვან გაალმა** მაინც საბრძოლო შემადგენლობას უხმო და უნდა ვივარაუდოთ, რომ უნგრეთთან და თურქეთთან ჰოლანდიელები თავს არ დაზოგავენ.

ზოგადად, ყველაფერი უნგრეთის ხელშია - **შანდრო ეგერვარის** შეგირდებმა ორივე მატჩი უნდა მოიგონ. ამ შემთხვევაში, უნგრეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე 1986 წლის შემდეგ პირველად ითამაშებს. თუ დღეს მადიარებმა ქულები დაკარგეს (რაც მოსალოდნელია) ბრაზილიაში გამგზავრების შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლი გახდება.

იოლი მატჩი არც თურქეთს ელის - ესტონეთმა სექტემბერში ქულები ჰოლანდიას დააკარგვინა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ ქულის და ანდორასთან მოგებული ორი მატჩის გარდა, ესტონელებმა ყველა შეხვედრა წააგეს.

### D ჯგუფი

| | |
|---|---|
| ანდორა-რუმინეთი | 22:30 |
| ესტონეთი-თურქეთი | 22:30 |
| ჰოლანდია-უნგრეთი | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 8 | 7 | 1 | 0 | 24-4 | 22 |
| 2. უნგრეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 18-12 | 14 |
| 3. თურქეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 14-7 | 13 |
| 4. რუმინეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-12 | 13 |
| 5. ესტონეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-16 | 7 |
| 6. ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 0-24 | 0 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **უნგრეთი-ანდორა, რუმინეთი-ესტონეთი, თურქეთი-ჰოლანდია**

## ისლანდიის ისტორიული შანსი

შვეიცარია ცალი ფეხით ბრაზილიაშია, აი, მეორე ადგილისთვის კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა მოსალოდნელი. **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდები ალბანეთს ხვდებიან, რომელიც მეხუთე ადგილზე კი არის, მაგრამ ისლანდიას მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

თავის მხრივ, კუნძულელები მეორე კუნძულოვანი სახელმწიფოს წარმომადგენელს, კვიპროსს მასპინძლობენ და ფავორიტებადაც ითვლებიან. შვედეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ **ლარს ლაგერბეკს** ყველა ლიდერი მწყობრში ჰყავს - **გილფი სიგურდსონი, კოლბეინ სიგტორსონი, ალფრედ ფინბოგასონი, ეიდურ გუდიონსენი, იოჰან გუდმუნდსონი, არონ გუნარსონი** - ყველა ეს ფეხბურთელი მწვრთნელის განკარგულებაშია და ისლანდიის საფეხბურთო ისტორიაში ახალი ფურცლის ჩასაწერად ემზადება. შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის ნაკრებს მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არასდროს უთამაშია.

მეორე ადგილის დაკავების კარგი შანსი აქვს ნორვეგიასაც - ორი მოგების შემთხვევაში, სკანდინაველები მიზანს ნამდვილად მიაღწევენ, რადგან ბოლო ტურში სწორედ ისლანდიას მასპინძლობენ.

მოკლედ, ამ ჯგუფში აბსოლუტური თანაფარდობაა და ყველაფერი 15 ოქტომბერს გაირკვევა, ოღონდ, თუ დღეს ისლანდიამ მოიგო, ალბანეთმა ვერ იმარჯვა, ხოლო ნორვეგია-სლოვენია ფრედ დასრულდა, ისლანდიას, მეორე ადგილის დასაკავებლად, ბოლო ტურში უმოტივაციო ნორვეგიასთან ქულაც ეყოფა.

### E ჯგუფი

| | |
|---|---|
| ალბანეთი-შვეიცარია | 22:30 |
| სლოვენია-ნორვეგია | 22:45 |
| ისლანდია-კვიპროსი | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 5 | 3 | 0 | 14-5 | 18 |
| 2. ისლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 14-14 | 13 |
| 3. სლოვენია | 8 | 4 | 0 | 4 | 11-10 | 12 |
| 4. ნორვეგია | 8 | 3 | 2 | 3 | 9-9 | 11 |
| 5. ალბანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-9 | 10 |
| 6. კვიპროსი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-13 | 4 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **კვიპროსი-ალბანეთი, ნორვეგია-ისლანდია, შვეიცარია-სლოვენია**

## რუსეთის პოულ-პოზიცია

პორტუგალიამ რუსეთის ნაკრებს იმდენი საჩუქარი გაუკეთა, რომ მიუხედავად ორი მარცხისა, **ფაბიო კაპელოს** გუნდი მაინც პირველ ადგილზეა და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სლავები ამ პოზიციას არც დათმობენ, რადგან წინ ორი საკმაოდ იოლი მატჩი ელით - დღეს ლუქსემბურგთან და 15-ში აზერბაიჯანთან. მართალია, ორივე მატჩს კაპელოს შეგირდები სტუმრად გამართავენ, მაგრამ ეს სიტუაციას დიდად არ უნდა ცვლიდეს.

პორტუგალია იმ ისრაელს ხვდება, რომელსაც მეორე ადგილის დაკავების თეორიული შანსი აქვს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო ტურში პირენეელები ლუქსემბურგს მასპინძლობენ, მივხვდებით, რომ ისრაელის შანსი მართლაც თეორიულია.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ამ ჯგუფში პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყვეტილია - პორტუგალიას პლეი ოფს მხოლოდ სასწაული თუ აარიდებს.

### F ჯგუფი

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ჩრდ. ირლანდია | 20:00 |
| ლუქსემბურგი-რუსეთი | 22:30 |
| პორტუგალია-ისრაელი | 23:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 15-4 | 18 |
| 2. პორტუგალია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-8 | 17 |
| 3. ისრაელი | 8 | 3 | 3 | 2 | 17-12 | 12 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 8 | 1 | 3 | 4 | 8-14 | 6 |
| 5. ლუქსემბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-19 | 6 |
| 6. აზერბაიჯანი | 8 | 0 | 5 | 3 | 4-10 | 5 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **აზერბაიჯანი-რუსეთი, ისრაელი-ჩრდ. ირლანდია, პორტუგალია-ლუქსემბურგი**

## ორი ბედაურის დოღი

აქაც წინა ჯგუფის მსგავსი სიტუაციაა - ბოსნია ფავორიტია, საბერძნეთი კი მდევარი, რომელიც იმედოვნებს, რომ კონკურენტი ორიდან ერთ მატჩს ვერ მოიგებს. დღეს ეს გამორიცხულია, რადგან ბოსნია ლიხტენშტაინს მასპინძლობს. შედარებით რთული შეხვედრა **საფეტ სუშიჩის** შეგირდებს ბოლო ტურში, ლიტვაში ელით.

ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან, მუნდიალზე გასვლის საუკეთესო შანსი სწორედ ბოსნიას აქვს და საეჭვოა, მათ ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვან, მით უმეტეს, რომ ყველა ლიდერი მწყობრშია - **ედინ ჯეკო, ვედად იბიშევიჩი, ზვეზდან მისიმოვიჩი, მირალემ პიანიჩი, სეად სალიჰოვიჩი** და სხვები - ეს ფეხბურთელები მთელი ციკლის განმავლობაში შესანიშნავად თამაშობდნენ და ნამდვილად მოულოდნელი იქნება, თუ ეს გუნდი ბრაზილია 2014-ის საგზურს ვერ მიიღებს.

ბერძნებს დასაკარგავი არაფერი აქვთ. **ფერნანდო სანტუშის** შეგირდებმა ორივე მატჩი უნდა მოიგონ და 15-ში ლიტვას უქომაგონ.



კრიშტიანო რონალდო: ჯგუფს პირველ ადგილზე დავასრულებთ

### G ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლიტვა-ლატვია | 19:30 |
| ბოსნია-ლიხტენშტაინი | 22:00 |
| საბერძნეთი-სლოვაკეთი | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 8 | 6 | 1 | 1 | 25-5 | 19 |
| 2. საბერძნეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 9-4 | 19 |
| 3. სლოვაკეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| 4. ლიტვა | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 5. ლატვია | 8 | 2 | 1 | 5 | 8-16 | 7 |
| 6. ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 2 | 6 | 3-19 | 2 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **საბერძნეთი-ლიხტენშტაინი, ლიტვა-ბოსნია, ლატვია-სლოვაკეთი**



ინგლისელებს შესანიშნავ ფორმაში მყოფი დანიელ სტარიჯის იმედი აქვთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უშველის ფეხბურთის სამშობლოს საკუთარი კედლები?

ინგლისის ნაკრებს რთული მეტოქეები კი ჰყავს, მაგრამ ბრიტანელები ორივე მატჩს საკუთარ მოედანზე ატარებენ. ჩერნოგორიის შემდეგ, **როი ჰოჯსონის** შეგირდები პოლონეთს მასპინძლობენ და თუ ორივე შეხვედრაში იმარჯვეს, მათ პირველ ადგილში ვერავინ შეეცილება.

ჩერნოგორიამ შესარჩევი ეტაპი ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო პერიოდში გუნდმა აშკარად მოუკლო და მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ინგლისთან მატჩის წინ **ბრანკო ბრნოვიჩს** საფიქრალი მოემატა - გუნდის ლიდერებს, **მირკო ვუჩინიჩს, მარკო ბაშას** და **მლადენ ბოჟოვიჩს** ტრავმები აწუხებთ და მათი თამაში საეჭვოა. ამ მხრივ, ყველაფერი რიგზეა ინგლისის ნაკრებში, რომელსაც მხოლოდ **ეშლი კოული** და **გლენ ჯონსონი** არ ეყოლება, თუმცა მათ შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ლეიტონ ბეინსი** და **კაილ უოკერი** შეცვლიან.

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ინგლისი (4-2-3-1):** *ჰარტი - უოკერი, კეჰილი, იაგიელკა, ბეინსი - ჯერარდი, უილშირი - მილნერი, რუნი, უელბეკი - სტარიჯი*

**ჩერნოგორია (4-4-2):** *პოლეკსიჩი - მ. იოვანოვიჩი, ჯუდოვიჩი, სავიჩი, ვოლკოვი - ზვეროტიჩი, დრინჩიჩი, კრკოტიჩი, ბოშკოვიჩი - ბეჩირაი, იოვეტიჩი*

აქვე დავამატოთ, რომ ამ გუნდებს ერთმანეთში სულ სამი მატჩი აქვთ გამართული და სამივე შეხვედრა ფრედ დასრულდა.

ჯგუფის კიდევ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მატჩი ხარკოვში გაიმართება - უკრაინა პოლონეთს უმასპინძლებს. ლანჩხუთის „გურიას“ ყოფილი მწვრთნელის, **მიხაილ ფომენკოს** შეგირდები საკმაოდ კარგ მდგომარეობაში არიან - უკრაინა მეორე ადგილის დაკავების შანსს წაგების შემთხვევაშიც კი შეინარჩუნებს, რადგან ბოლო ტურში სან მარინოს მასპინძლობს, პოლონეთმა კი ინგლისში უნდა ითამაშოს.

თუ დღეს ინგლისმა და უკრაინამ იმარჯვეს, გასარკვევი მხოლოდ პირველადგილოსნის ვინაობა იქნება.

### H ჯგუფი

| | |
|---|---|
| მოლდოვა-სან მარინო | 20:00 |
| უკრაინა-პოლონეთი | 22:00 |
| ინგლისი-ჩერნოგორია | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 4 | 4 | 0 | 25-3 | 16 |
| 2. უკრაინა | 8 | 4 | 3 | 1 | 19-4 | 15 |
| 3. ჩერნოგორია | 8 | 4 | 3 | 1 | 15-8 | 15 |
| 4. პოლონეთი | 8 | 3 | 4 | 1 | 18-9 | 13 |
| 5. მოლდოვა | 8 | 1 | 2 | 5 | 4-15 | 5 |
| 6. სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1-43 | 0 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **სან მარინო-უკრაინა, ჩერნოგორია-მოლდოვა, ინგლისი-პოლონეთი**

## საქართველომდე

ჩვენს ჯგუფში დღეს მხოლოდ ერთი შეხვედრა უნდა გაიმართოს. ესპანეთი ბელარუსს მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში მუნდიალისკენ გიგანტურ ნაბიჯს გადადგამს - პირველი ადგილის დასაკავებლად, ბოლო ტურში საქართველოსთან ქულაც ეყოფა.

საინტერესოა, ითამაშებენ თუ არა **მიჩუ** და **ალბერტო მორენო** - „სუონსის“ შემტევი და „სევილიას“ ახალგაზრდა მცველი **ვისენტე დელ ბოსკემ** პირველად გამოიძახა. სპეციალისტების აზრით, მათ პოზიციებზე, ძირითად შემადგენლობაში **ალვარო ნეგრედო** და **ნაჩო მონრეალი** უნდა იყვნენ. კარი კი **იკერ კასილიასმა** უნდა დაიცვას და ეს მიუხედავად იმისა, რომ „რეალში“ მას სათამაშო პრაქტიკა აკლია. დონ ვისენტეს არაერთხელ უთქვამს, რომ ის იკერს ბოლომდე ენდობა და იმ შემთხვევაშიც გამოიძახებს, თუ „სამეფო კლუბში“ ზედიზედ 10-ჯერ სათადარიგოთა სკამზე დარჩება.

### I ჯგუფი

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ბელარუსი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-2 | 14 |
| 2. საფრანგეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-6 | 14 |
| 3. ფინეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-6 | 9 |
| 4. საქართველო | 7 | 1 | 2 | 4 | 3-8 | 5 |
| 5. ბელარუსი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-14 | 4 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **საფრანგეთი-ფინეთი, ესპანეთი-საქართველო**

**ბომბარდირები:** 8 - ჯეკო (ბოსნია), ვან პერსი (ჰოლანდია); 6 - ჰემედი (ისრაელი), იბიშევიჩი (ბოსნია), იოზილი (გერმანია); 5 - იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი), კინი (ირლანდია), ელდერ პოშტიგა (პორტუგალია), ალაბა (ავსტრია), როისი (გერმანია), რუნი (ინგლისი)





სუარესი და ფორლანი გადამწყვეტი მატჩებისთვის ემზადებიან

# შანსი ვენესუელასაც აქვს

**ბოლო ტურების შეხვედრები გაიმართება სამხრეთ ამერიკაშიც, სადაც ერთი საგზურის მფლობელი უკვე ცნობილია - როგორც მოსალოდნელი იყო, არგენტინამ ბრაზილიაში გამგზავრების უფლება ნაადრევად გაინაღდა. დღეს, კიდევ ერთი საგზური უნდა გათამაშდეს, თუმცა არის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ბრაზილია 2014-ის ბილეთს ერთბაშად ორი გუნდი მიიღებს...**

ოთხი მატჩიდან სამი ერთდროულად იწყება, ვინაიდან იმ შეხვედრებში კონკურენტები თამაშობენ. კოლუმბია, ქულის აღების შემთხვევაში, მინიმუმ მეოთხე ადგილს და შესაბამისად, მუნდიალზე თამაშის უფლებას გაინაღდებს, ხოლო თუ მატჩი ჩილემ მოიგო, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას სწორედ **ხორხე სამპაოლის** შეგირდები დაიწყებენ, მაგრამ, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, არსებობს ვარიანტი, რომლის მიხედვითაც საგზური შეიძლება ორივემ დაიმსახუროს. ამისთვის საჭიროა, რომ ურთიერთშეხვედრაში ჩილემ იმარჯვოს, ეკვადორის და ურუგვაის მატჩი კი ფრედ არ დასრულდეს.

მუნდიალზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებს ვენესუელაც, რომელსაც კიტოში გასამართავი მატჩის ფრედ დასრულება ასევე არ აწყობს. ვენესუელა მეხუთე ადგილს იმ შემთხვევაში დაიკავებს, თუ თავად დიდი ანგარიშით მოიგებს, ურუგვაი კი ჯერ ეკვადორთან დამარცხდება, ბოლო ტურში კი არგენტინასთან წააგებს. რატომ ურუგვაი და არა ეკვადორი? იმიტომ, რომ „სელესტეს“ ბურთების უარესი სხვაობა აქვს და ამ კომპონენტში ვენესუელა მას უფრო აჯობებს, ვიდრე ეკვადორს.

ვენესუელა-პარაგვაიზე რა მოგახსენოთ, მაგრამ დარჩენილი ორი მატჩი მართლაც დიდ ინტერესს იწვევს. გუნდებს დანაკლისი პრაქტიკულად არ აქვთ. კოლუმბიას მხოლოდ **კამილო სუნიგა** არ ეყოლება, ჩილეს კი უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანა შეუძლია. ხორხე სამპაოლიმ ისევ გამოიძახა **დავიდ პისარო** და **ხორხე ვალდივია**, რომლებმაც ნაკრების წინა შეხვედრებში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

ურუგვაის **მარტინ კასერესის** სახით გამორჩეული ფეხბურთელი კი აკლია, მაგრამ „იუვენტუსის“ მცველი უკვე დიდი ხანია, ტრავმირებულია და **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესს** მისი შეცვლა არ უნდა გაუჭირდეს. აქვე აღვნიშნოთ, რომ ეკვადორს ურუგვაი ძალიან დიდი ხანია არ დაუმარცხებია, სულ კი 42 მატჩიდან მხოლოდ 3 აქვს მოგებული, 29 შეხვედრა კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა.

ტურის ბოლო შეხვედრა კი „მონუმენტალზე“ გაიმართება. არგენტინა პერუს უმასპინძლებს და ეცდება დიდი დერბის წინ ხასიათი გაიუმჯობესოს. წესით, უნდა ითამაშოს **მაურო იკარდიმ**, რომელსაც „ალბისელესტეს“ რიგებში დებიუტი ექნება. **ალეხანდრო საბელიამ** შეკრებაზე არგენტინის ჩემპიონატის რამდენიმე ფეხბურთელიც გამოიძახა. ესენი არიან: **სებასტიან დომინგესი, როდრიგო ბრანია, გაბრიელ მერკადო** და **ლეანდრო სომოსა.** მერკადო და სომოსა კიდევ გასაგებია, მაგრამ ნაცნობობის გარდა, სხვა რა დამსახურებისთვის მოხვდნენ ნაკრებში ვეტერანები სება დომინგესი და როდრიგო ბრანია, რომლებიც საკმაოდ ცუდ ფორმაში არიან, გაუგებარია. საბელიას მსგავს საკადრო პოლიტიკას ჯერ პატიობენ, მაგრამ საკმარისია გუნდმა მუნდიალზე ცუდად ითამაშოს, რომ მას ყველა საეჭვო გადაწყვეტილებას ერთიანად გაუხსენებენ.

### XVII ტური

| | |
|---|---|
| ეკვადორი-ურუგვაი | 01:00 |
| კოლუმბია-ჩილე | 01:00 |
| ვენესუელა-პარაგვაი | 01:00 |
| არგენტინა-პერუ | 03:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 14 | 8 | 5 | 1 | 30-11 | 29 |
| 2. კოლუმბია | 14 | 8 | 2 | 4 | 22-9 | 26 |
| 3. ჩილე | 14 | 8 | 0 | 6 | 24-21 | 24 |
| 4. ეკვადორი | 14 | 6 | 4 | 4 | 18-14 | 22 |
| 5. ურუგვაი | 14 | 6 | 4 | 4 | 22-22 | 22 |
| 6. ვენესუელა | 15 | 5 | 4 | 6 | 13-19 | 19 |
| 7. პერუ | 14 | 4 | 2 | 8 | 15-22 | 14 |
| 8. ბოლივია | 15 | 2 | 5 | 8 | 16-29 | 11 |
| 9. პარაგვაი | 14 | 3 | 2 | 9 | 15-28 | 11 |

**ბომბარდირები:** 10 - მესი (არგენტინა), სუარესი (ურუგვაი); 9 - იგუაინი (არგენტინა); 7 - ფალკაო (კოლუმბია); 6 - ფ. კაისედო (ეკვადორი)

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **ურუგვაი-არგენტინა, პარაგვაი-კოლუმბია, ჩილე-ეკვადორი, პერუ-ბოლივია.**

### კონკაკაფი

**IX ტური. 12 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| ჰონდურასი-კოსტა რიკა | 01:00 |
| აშშ-იამაიკა | 02:30 |
| მექსიკა-პანამა | 05:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 8 | 5 | 1 | 2 | 10-6 | 16 |
| 2. კოსტა რიკა | 8 | 4 | 3 | 1 | 11-5 | 15 |
| 3. ჰონდურასი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-10 | 11 |
| 4. პანამა | 8 | 1 | 5 | 2 | 7-9 | 8 |
| 5. მექსიკა | 8 | 1 | 5 | 2 | 4-6 | 8 |
| 6. იამაიკა | 8 | 0 | 4 | 4 | 3-9 | 4 |

**ბოლო ტური**

15 ოქტომბერი: **იამაიკა-ჰონდურასი, პანამა-აშშ, კოსტა რიკა-მექსიკა**

გვერდები მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. მანუელ ნოიერი

# არ ვიცოდი, თუ პეპს გერმანიის ნაკრების მწვრთნელობა უნდოდა

## 7 მძიმე კითხვა ბაიერნის მეკარეს

**ირლანდიასთან მატჩის წინ, გერმანიის ნაკრების მეკარე მანუელ ნოიერს დუელი გაზეთ „ბილდის" ჟურნალისტმა გაუმართა. ბუნდესგუნდისა და „ბაიერნის" 27 წლის გოლკიპერს 7 მძაფრ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა. ნოიერს 11 წუთი ჰქონდა იმისათვის, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგის „დარტყმები მოეგერიებინა".**

**- ჰერ ნოიერ, გერმანიის ნაკრების დაცვის ხაზი არ გაშინებთ?**

- არანაირად! ვინც ფიქრობს, რომ ბუნდესგუნდის დაცვა შესუსტდა, ძალიან ცდება. ბოლო დროს სწორედ დაცვაში ვთამაშობთ ძალიან კარგად და იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ასე იქნება.

**- ამბობენ, ნოიერი „შალკეში" უკეთესი მეკარე იყოო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- არა! უბრალოდ, „შალკეში" ასპარეზობისას უფრო მეტი საქმე მქონდა და მუდმივად წნეხის ქვეშ ვიყავი. შესაბამისად, გაცილებით მეტი დარტყმის მოგერიება მიწევდა და ამიტომაც გახლდით ყურადღების ცენტრში. „ბაიერნში" ასე აღარაა, რადგან აქ ნაკლებად გვიტევენ, თორემ ისე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მიუნხენურ კლუბში უდიდესი პროგრესი განვიცადე.

**- გვარდიოლამ თქვა, გერმანიის ნაკრების მწვრთნელობა მინდოდაო. როგორ ფიქრობთ, აჯობებდა პეპი იოახიმ ლიოვს?**

- ჰმ... არა მგონია. გვარდიოლა ახლა „ბაიერნის" მწვრთნელია და რეკორდმაისტერს მთელი გულით ემსახურება. არც ვიცოდი, თუ მას გერმანიის ნაკრების გაწვრთნა სურდა. სხვათა შორის, პეპს ყოველდღიური შრომა ძალიან უყვარს. იოახიმ ლიოვი იდეალური ბუნდესმწვრთნელია - ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ გერმანიის ნაკრები უმაღლეს დონეზე თამაშობს. იოგიმ ჩვენი ნაკრები მსოფლიო დონის გუნდად აქცია, თანამედროვე მწვრთნელია და ცდილობს, ყველას ინტერესი გაითვალისწინოს.

**- „ბაიერნი" თქვენთვის ზედმეტად კარგი გუნდი ხომ არ არის? საქმე ხომ ფაქტობრივად არ გაქვთ...**

- სხვათა შორის, ამ სეზონში ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, შარშანდელისგან განსხვავებით, ახლა ისეთი სტილით ვთამაშობთ, რომ მატჩში ჩართვა ხშირად მინდვრის მოთამაშის, ბოლო მცველის რანგში მიწევს. ხშირად სწორედ მე ვიწყებ შეტევებს და 20 ან 30-წუთიანი პაუზები აღარ მაქვს.

**- „ბაიერნთან" ერთად ჰეთ-თრიკი შეასრულეთ. გერმანიის ნაკრებთან ერთად ბრაზილიაში მხოლოდ ტურისტის რანგში მიდიხართ?**

- ბრაზილიაში იმისთვის მივდივართ, რომ იქ რამეს მივაღწიოთ. ბოლო წლებში გერმანიის ნაკრები დიდ ტურნირებზე ყოველთვის შორს გადიოდა, ფინალის მოგება კი ვერა და ვერ შევძელით. ვიცით, რომ ჩვენგან მთელი საფეხბურთო გერმანია ტიტულს ელოდება. მსოფლიოს ჩემპიონობაზე ჩვენც ვოცნებობთ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ტიტულის მოგება ძალიან ძნელი იქნება. მთავარ ფავორიტად ბრაზილიის ნაკრები მიმაჩნია, რადგან „სელესაო" საკუთარ კედლებში ითამაშებს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობა ისეთი ტიტულია, რომელიც გარანტირებული ვერასდროს ვერავის ექნება.

**- ფილიპ ლამი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ბასტიან შვაინშტაიგერს სჯობია?**

- არა, უბრალოდ, ლამი სხვანაირად თამაშობს. შვაინშტაიგერი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე 10 წელია თამაშობს და ნახევარდაცვის ცენტრში ყოველთვის შესანიშნავად ასპარეზობდა. მოკლედ, ორივე ბრწყინვალე ფეხბურთელია და ექვს ნომერზე თამაშში ორივეს ძალიან კარგად გამოსდის. გვარდიოლამაც და ლიოვმაც კარგად იციან, რა შეუძლია ლამს როგორც საყრდენის, ისე ფლანგის მცველის პოზიციაზე.

**- დორტმუნდის „ბორუსიას" მეკარე რომან ვაიდენფელერს მხარდამჭერები მოუმრავლდა. ამბობენ, ნოიერზე უკეთესიაო...**

- რომანი მართლა ძალიან მაგარი მეკარეა, რომელსაც „დორტმუნდისთვის" უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ზოგადად, ყველას თავისი სტილი აქვს და მე მირჩევნია, საკუთარ თავზე ვისაუბრო. სხვების და მით უმეტეს კონკურენტების შეფასება კი არ მინდა. მარტო იმიტომ, რომ ჩემი შესაძლებლობები უკეთ გამოჩნდეს, ნამდვილად არ მომინდება ის, რომ ჩვენს კართან ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნას. მირჩევნია ვიგებდეთ, მე კი საერთოდ არ ვჩანდე.



ბაიერნი

# მარტინესის დაბრუნება გადაიდო

## სამაგიეროდ, ალკანტარა მალე ბრუნდება

**ხავი მარტინესის** უიღბლობას ბოლო არ უჩანს. 25 წლის ესპანელ ნახევარმცველს, რომელშიც „ბაიერნმა" შარშან 40 მილიონი ევრო გადაიხადა, წესით, ვარჯიში ამ კვირაში უნდა განეახლებინა, მაგრამ რეაბილიტაციის დაწყებისას ისევ დაშავდა და შესაბამისად, მინდორზე მისი დაბრუნება კიდევ ერთხელ გადაიდო. „ბილდის" ინფორმაციით, ხავიმ ისევ მუხლის ტრავმა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ხავი მარტინესმა ზაფხულში, კონფედერაციის თასის შემდეგ, სეზონის სტარტზე ორჯერ ითამაშა და მოედანზე ორჯერვე მცირე დრო დაჰყო. აგვისტოს შუა რიცხვებში ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი ესპანეთის ნაკრებიდან დაბრუნდა ტრავმირებული და ბუნდესლიგაში ორი მატჩი გამოტოვა. მარტინესი ხეირიანად ევროპის სუპერთასზე დაბრუნდა და „ჩელსისთან" (2:2, 7:6 დ.დ.) გოლიც გაიტანა, მაგრამ იმავდროულად მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და ოპერაცია დასჭირდა. მომდევნო რეაბილიტაცია კბილის ოპერაციამ შეაფერხა, ახლა კი კიდევ ერთხელ დაიზიანა მუხლი.

თუმცა „ბაიერნის" ქომაგებისთვის სასიამოვნო ინფორმაციაც გვაქვს: ხავი მარტინესის თანამემამულე **ტიაგო ალკანტარა** რეაბილიტაციას იწყებს და ფეხბურთის თამაშს ახლო მომავალში განაახლებს. შეგახსენებთ, რომ 22 წლის ალკანტარა თვენახევრის წინ დაშავდა.



მოსალოდნელი ტრანსფერები



მირკო სლომკას (მარცხნივ) იულიან შიბერის გადაბირება სურს

# დორტმუნდის 5-მილიონიანი გაუგებრობა

დორტმუნდის „ბორუსიამ" 24 წლის თავდამსხმელი **იულიან შიბერი** შარშან „შტუტგარტიდან" 5 მილიონ ევროდ შეიძინა, მაგრამ შიბერმა იმედები ვერ გაამართლა. თუკი წინა სეზონში შეცვლაზე მაინც ათამაშებდნენ, ამ სეზონში იურგენ კლოპი მას თითქმის საერთოდ აღარ ენდობა და მუდმივად სათადარიგოთა „სკამს ახეხინებს". მეტიც: შიბერი ხანდახან განაცხადშიც ველარ ხვდება. ამ სეზონში ბუნდესლიგამ უკვე 8 ტური მოილია და შიბერს მოედანზე ერთი წუთიც კი არ გაუტარებია. თუ შეცვლაა, კლოპს მოედანზე 19 წლის **მარვინ დუკში** შეჰყავს ხოლმე...

„ბილდის" ინფორმაციით, შიბერით, რომელსაც „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული, „ჰანოვერის" მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** დაინტერესდა. ამას „წითლების" მენეჯერი **დირკ დუფნერიც** ადასტურებს და შესაბამისად, დიდი შანსია, რომ შიბერი „ჰანოვერში" ზამთარშივე გადავიდეს.

*„დორტმუნდელებმა შარშან შიბერში 5 მილიონი გადაიხადეს და იმედია, ჩვენც ამდენს არ მოგვთხოვენ. მას მერე იულიანს ფასი მნიშვნელოვნად დააკლდა,"* - ეს დუფნერის სიტყვებია და როგორც ხედავთ, ვაჭრობა უკვე დაიწყო...

## ლევანდოვსკი ზამთარში რეალში გადავა?

ესპანური სპორტული გაზეთის, AS-ის ცნობით, მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** დორტმუნდის „ბორუსიადან" პოლონელი თავდამსხმელის, **რობერტ ლევანდოვსკის** გადაბირების იდეით აღფრთოვანებული არაა. ჩვენი ესპანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ პეპს ლევანდოვსკი მაინცდამაინც არ მოსწონს, რაც იმას ნიშნავს, რომ მადრიდის „რეალს" პოლონელი გოლეადორის ხელში ჩაგდების რეალური შანსი გაუჩნდა.



რობერტ ლევანდოვსკი

შეგახსენებთ, რომ ლევანდოვსკის „დორტმუნდთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ზაფხულში „ბორუსიადან" წასვლა უფასოდ შეეძლება. თუმცა „რეალი" მზადაა, ზაფხულამდე არ ითმინოს და ზამთარში „დორტმუნდს" 12-13 მილიონი ევრო გადაუხადოს. ცხადია, „ბორუსიასთვის" ეს აბსოლუტურად მისაღები ვარიანტი იქნებოდა...

ამბები

## შნაიდერი: მიზანი ევროსარბიელია!

„შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელი **თომას შნაიდერი**, რომელმაც შვაბური კლუბი 26 აგვისტოს ჩაიბარა და ამ თანამდებობაზე გათავისუფლებული **ბრუნო ლაბადია** შეცვალა, მოღვაწეობის მცირე პერიოდს დადებითად აფასებს.

*„გუნდი მომყვება და შედეგიც გვაქვს. იმედი მაქვს, პროგრესს განვაგრძობთ. ფაქტია, რომ სწორ გზას ვადგავართ. „შტუტგარტი" ყოველთვის შემტევ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ გუნდმა ჩემს ხელშიც მიმზიდველი ფეხბურთი ითამაშოს. ჩვენი მიზანი ევროსარბიელზე მოხვედრა და ყოველ წელს ევროტურნირებზე თამაშია,"* - აცხადებს 40 წლის სპეციალისტი „ველტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ როცა ლაბადია გაათავისუფლეს, „შტუტგარტი" ბუნდესლიგაში მე-17 ადგილზე იყო, ახლა კი შვაბები მე-7 პოზიციაზე არიან.

## გვარდიოლა შოლის შვილს ავარჯიშებს

სანაკრებო პაუზის დროს „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **ხოსეპ გვარდიოლამ** პირველ გუნდში სავარჯიშოდ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს უხმო. მათ შორისაა ლეგენდარული ბაიერნელის, **მეჰმეთ შოლის** შვილი **ლუკასიც**, რომელიც 17 წლისაა და „ბაიერნის" 19-წლამდელთა გუნდში თამაშობს. *„პეპის ხელმძღვანელობით ვარჯიში მართლაც განსაკუთრებული მოვლენა ყოფილა,"* - უთხრა უმცროსმა შოლმა „მიუნხენერ აბენდცაიტუნგს" პირველი ვარჯიშის შემდეგ.

ლუკას შოლმა ამ სეზონში „ბაიერნის" A-იუნიორებში 4 მატჩი, ხოლო ახლახან დაარსებულ ახალგაზრდების ჩემპიონთა ლიგაში ორჯერ ითამაშა.



გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰო თუ არა?


















უნდა წავიდეს თუ არა საქართველოს დელეგაცია სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე? - ეს კითხვა ქართულმა ტელეარხებმა ერთბაშად აიტაცეს. ამ თემაზე პოლიტიკურ წრეებშიც გაუთავებელი პოლემიკა მიმდინარეობს... მოკლედ, მოცლილი თუ მოუცლელი სოჭში ქართველი სპორტსმენების გამოსვლის მიზანშეწონილობაზე ლაპარაკობს.

■ ■ ■

ყველაფერი საქართველო-რუსეთის ომით დაიწყო და ამასწინათ ოლიმპიური ჩირაღდნით გაგრძელდა. ეს წმინდა ცეცხლი 2008 წელს სამაჩაბლოს ომის რუს „გმირსაც" გადაეცა (გვარი და სახელი არ მაინტერესებს), რომლის თვითმფრინავის ბომბებს, ვინ იცის, რამდენი ქართველის სიცოცხლე ემსხვერპლა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობამ ეს განგებ საქართველოს დამცირებისთვის გააკეთა. სწორედ ამიტომ გამოიწვია ჩვენში დიდი ვნებათაღელვა. იმასაც ამბობენ, მაინც თითზე ჩამოსათვლელი სპორტსმენი გვყავს და ბოიკოტით ჩვენ რუსეთზე მეტი რა დაგვაკლდებაო?!

ვერ დავეთანხმები: ერთი სპორტსმენიც რომ გვყავდეს ოლიმპიადაზე, მის პროფესიონალიზმს პატივი უნდა ვცეთ. ის ხომ ოლიმპიადისთვის წლების განმავლობაში ემზადება და არავინ იცის, კიდევ როდის მოუწევს ასეთი დონის შეჯიბრებაში მონაწილეობა.

მაგალითსაც გეტყვით. ვეტერან კალათბურთელ ნიკოლოზ დერიუგინს რომ ვკითხე, კარიერაში ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული-მეთქი, მიპასუხა: საბჭოეთმა ლოს ანჯელესის ოლიმპიადას ბოიკოტი რომ გამოუცხადა, ძალიან კარგ ფორმაში ვიყავით და მჯერა, მედლებსაც მოვიპოვებდით... ახლაც კარადაში მაქვს ლოს ანჯელესში წასასვლელად გუნდისთვის შეკერილი შარვალ-კოსტიუმიო. შეგახსენებთ, რომ მას მერე 30 წელი გავიდა და ამ ფაქტს ბატონი ნიკოლოზი დღესაც დანანებით იხსენებს.

■ ■ ■

საქმეს სხვა კუთხით მივუდგეთ: თუ ბოიკოტს ვაცხადებთ, მხოლოდ ოლიმპიელები რატომ უნდა გამოაკლდნენ asპარეზობას? მხოლოდ მფრინავისთვის ოლიმპიური ჩირაღდნის გადაცემას კი არ ვაპროტესტებთ, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. ჰოდა, არც ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ რუსეთის წინააღმდეგ, არც კალათბურთელებმა და არც მორაგბეებმა...

სამ წერტილთან უნდა შევჩერდეთ და დავფიქრდეთ: რას გვაძლევს რაგბში რუსეთთან არშეხვედრა? არაფერს! პირიქით, არ მოგვეცემა შანსი იმის დამტკიცებისა, რომ ვაჟკაცურ სპორტში 15 ქართველი 15 რუსზე ძლიერია. თუმცა მოედნის მიღმა ქართველი და რუსი სპორტსმენები ამხანაგები არიან. ვერ წარმოიდგენთ, 2011 წელს ლიტვაში რუს ანდრეი კირილენკოს რომ შევხვდი, როგორი სითბოთი ილაპარაკა ქართველებზე. ზაზა ფაჩულია მისი მეგობარია.

ჰოდა, ბოიკოტით პროტესტის პარალელურად საკუთარ თავს ვაქცევთ იზოლაციაში, ხოლო თუ მეტ რუსს დავუახლოვდებით მოედანსა თუ მის მიღმა, მეტი შანსი მოგვეცემა იმის თქმისა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა, მეტი პატივისცემა უნდა მოვიპოვოთ, თანამოაზრეებად გადავაქციოთ და მივახვედროთ, რომ საქართველოში აგრესორები კი არა, საკუთარი ქვეყნის ერთიანობაზე მზრუნველი ხალხი ცხოვრობს.

■ ■ ■

დავუბრუნდეთ სოჭის ოლიმპიადას. კიდევ გავიმეორებ, ბევრი შეიძლება არ დამეთანხმოს, მაგრამ მიმაჩნია, ჩვენი დელეგაცია რუსეთში უნდა წავიდეს და მოხერხებულად, შესაფერის დროს გაუგზავნოს გზავნილი მსოფლიოს რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. ოლიმპიურ ქარტიაში მკაცრად იმიჯნება სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან, მაგრამ სიტყვა „მოხერხება" შემთხვევით როდი ვახსენე.

აგერ ბატონო, „იბერია სტარის" ფეხბურთელებმა (ფუტსალი) უნგრეთში „დიორი ეტოსთან" მატჩის შემდეგ გამოფინეს ბანერი - „დვანი და დიცი საქართველოა!" ლაპარაკია სამაჩაბლოს სოფლებზე. ჰოდა, ასეთივე ტიპის პლაკატის გამოტანა სოჭის ოლიმპიადის გახსნისასაც შეიძლება, არა მგონია, იმაზე უარესი სანქცია დაგვიწესოს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, ვიდრე ბოიკოტისას. სამაგიეროდ, მთელი მსოფლიოს მასმედიას მოივლის ქართველთა სურათ-ვიდეოები და თავის მისიასაც შეასრულებს.

ნახევრადხუმრობით ერთ აზრსაც მოგახსენებთ: თუ შეფარვით გვინდა რუსების მოქმედებაზე პასუხის გაცემა, გახსნის ცერემონიალზე მოვიმარჯვოთ სანთებელები და ჩამოვიაროთ სტადიონის სარბენ ბილიკებზე. თუ ვინმე სოჭის ოლიმპიური ჩირაღდნის დაცინვას დაგვწამებს, ვუთხრათ: ვაპროტესტებთ წმინდა ცეცხლის სანთებელათი ანთებასო.

კიდევ უამრავი ხრიკის მოფიქრება შეიძლება...

■ ■ ■

ბოლოსთვის შემოვინახე მორაგბე მამუკა გორგოძის სიტყვები, რომელიც მან „ყველა სიახლის" ჟურნალისტ რატი შელეგიას უთხრა:

- თუ ომი იქნება, ვიომოთ! ბოიკოტი და მაიმუნობა კი ჩვენი საქმე არ არის.






ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტოპ-5 სტატისტიკა


ხოსეპ გვარდიოლა კარგი მასწავლებელი აღმოჩნდა

# ბაიერნში ტიკი-ტაკა ბარსაზე უკეთ ისწავლეს?

## და მაინც, ბარსა ჯერჯერობით საუკეთესოა

**ამბობენ, ხოსეპ გვარდიოლამ მიუნხენის „ბაიერნს“ ტიკი-ტაკა ასწავლაო. ასწავლა და თანაც ისე, რომ ახლა ბურთის ფლობის მაჩვენებლით (71 %) რეკორდმაისტერი ევროპის მოწინავე ლიგებში საუკეთესო მაჩვენებლის მფლობელია და თავად „ბარსას“ უსწრებს, თანაც მნიშვნელოვნად. თქვენს წინაშეა ევროპის ტოპ-5 ლიგის მიმდინარე მცირე სტატისტიკური ანალიტიკა...**

„ბეიერნთან“ ახლოს ისევ „ბარსელონაა“, ხოლო შემდეგ მოდის „პარი სენ-ჟერმენი“. რაც ყველაზე საოცარია, მე-4 ადგილზე არის გუნდი, რომელიც პრიმერა დივიზიონშიც კი ვერ ყოჩაღობს - „რაიო ვალეკანო“. მადრიდულ კლუბს უყვარს „ბურთის დაჭერა“ და ამ კომპონენტში ის „რეალსაც“ კი სჯობს, მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ბურთის გაგორება არაა.

ქვემოთ გთავაზობთ ევროპის მოწინავე ჩემპიონატების კლუბების რეიტინგებს სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით: კარში დარტყმები (საშუალოდ მატჩში), ბურთის ფლობა (პროცენტულად), პასების სიზუსტე (პროცენტულად) და მოგებული საჰაერო დუელების რაოდენობა (საშუალოდ მატჩში). სხვათა შორის, ბოლო მონაცემებით, ტოპ ათეულში 10-დან 7 კლუბი ბუნდესლიგიდანაა - ამის მიზეზი კი ისაა, რომ გერმანიაში ბურთი ჰაერში გაცილებით დიდხანსაა, ვიდრე სხვა ჩემპიონატებში. გერმანიაში „მეორე სართულზე“ ბრძოლაზე აქცენტს აკეთებენ.

საერთო რეიტინგით, რომელიც ამ და სხვა კატეგორიების ნაზავია, „ბარსელონა“ მიმდინარე ჩემპიონატებში მაინც საუკეთესო კლუბია. პრინციპში, 8-დან 8 მოგება, რაც კატალონიური კლუბის ყველა დროის რეკორდია და ბურთების სხვაობა 28-6-ზე ამაზე ნათლად მეტყველებს.

| კლუბების ტოპ-10. რეიტინგი | |
|---|---|
| 7,49 | ბარსელონა |
| 7,32 | რომა |
| 7,26 | ინტერი |
| 7,24 | დორტმუნდი |
| 7,24 | ნაპოლი |
| 7,21 | ატლეტიკო |
| 7,15 | ლევერკუზენი |
| 7,15 | ბაიერნი |
| 7,13 | ლივერპული |
| 7,12 | გლადბახი |

*უარესი შედეგი: სასუოლო (იტალია) 6,45*

| კლუბების ტოპ-10 კარში დარტყმები | |
|---|---|
| 23,9 | დორტმუნდი |
| 21,1 | რეალი |
| 19,4 | ბაიერნი |
| 18,7 | ტოტენჰემი |
| 18,6 | ბარსელონა |
| 18 | იუვენტუსი |
| 17,9 | ჩელსი |
| 17 | ლაციო |
| 16,6 | ინტერი |
| 16,3 | ატლეტიკო |

*უარესი შედეგი: ფრაიბურგი (გერმანია) - 8 დარტყმა თამაშში.*

| კლუბების ტოპ-10 ბურთის ფლობა (%) | |
|---|---|
| 71 | ბაიერნი |
| 67,8 | ბარსელონა |
| 63,5 | პსჟ |
| 62,9 | ვალეკანო |
| 62 | რეალი |
| 59,1 | მილანი |
| 58,8 | იუვენტუსი |
| 58,8 | მან. სიტი |
| 58,6 | ნაპოლი |
| 58,5 | ტოტენჰემი |

უარესი შედეგი: ლევანტე (ესპანეთი) - 37%

| კლუბების ტოპ-10 პასების სიზუსტე (%) | |
|---|---|
| 89,9 | ბარსელონა |
| 89 | ბაიერნი |
| 86,9 | ნაპოლი |
| 86,9 | პსჟ |
| 86,9 | იუვენტუსი |
| 86,8 | სუონსი |
| 86,4 | რეალი |
| 86,3 | რომა |
| 86,1 | გლადბახი |
| 86 | სიტი |

უარესი შედეგი: სოშო (საფრანგეთი) - 69,9%

| კლუბების ტოპ-10 მოგებული საჰაერო დუელები | |
|---|---|
| 27,1 | ჰამბურგი |
| 27 | სტოკი |
| 24,9 | ესპანიოლი |
| 24,6 | ლევერკუზენი |
| 24,1 | ნიურნბერგი |
| 23,9 | პარმა |
| 23,4 | ჰანოვერი |
| 23,4 | დორტმუნდი |
| 23 | ვერდერი |
| 22,6 | აუგსბურგი |

უარესი შედეგი: მონაკო (საფრანგეთი) - 9,3 მატჩში

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სავარაუდო ტრანსფერი

# პალოპი ბარსას ლენოს ურჩევს

ვინ შეცვლის **ვიქტორ ვალდესს** „ბარსელონაში“? **ანდრეს პალოპის** აზრით, კატალონიურმა გრანდმა „ლევერკუზენის“ 22 წლის გოლკიპერი **ბერნდ ლენო** უნდა გადაიბიროს. *„ლენო ყველანაირად შესანიშნავი მეკარეა და მე სიამოვნებით ვურჩევ „ბარსას“ შეფებს, რომ ბერნდის შეძენაზე სერიოზულად დაფიქრდნენ. „გლადბახის“ მეკარე მარკ-ანდრე ტერ შტეგენიც კარგია, მაგრამ ლენო მასზე უკეთესია,“* - აცხადებს ვეტერანი პალოპი sport.es-თან ინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ პალოპი „ლევერკუზენის“ მეორე მეკარე და ლენოს შემცვლელია.

**გოტფრიდ ლენცი**

● იუვენტუსი

# ანიელი პოგბას წასვლას არ გამორიცხავს

ბოლო დღეებში აქტიურად ვრცელდება ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა **პოლ პოგბამ** „იუვენტუსი“ დატოვოს და სხვა გუნდში გადაბარგდეს. არის ვარაუდი, რომ ტრანსფერი უკვე ამ ზამთარს შედგება. „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, პოლის გადაბირებით „რეალი“ და „მანჩესტერ სიტი“ არიან დაინტერესებულნი. შეგახსენებთ, რომ 20 წლის ფრანგი ნახევარმცველი მიმდინარე სეზონში შესანიშნავადასპარეზობს და სასტარტო შემადგენლობაში იმკვიდრებს ადგილს. პოლის შესაძლო წასვლაზე კომენტარი „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა **ანდრეა ანიელიმ გააკეთა** და ბევრისთვის მოულოდნელად, პოგბას შესაძლო წასვლა არ გამორიცხა:

*„შეიძლება თუ არა, რომ პოგბამ დაგვტოვოს? - გამორიცხული ნამდვილად არაა, რადგან პოლის გადაბირებით ევროპული ტოპ გუნდები არიან დაინტერესებულნი. წინადადებებს აუცილებლად განვიხილავთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. სამწუხაროდ, იტალიაში ჯერ კიდევ ფინანსური კრიზისია და ეს მაშინ, როდესაც ინგლისური, გერმანული, ესპანური და ფრანგული კლუბები ძლიერდებიან. შევხედოთ თუნდაც „მილანს“, რომელიც თავის დროზე ევროპული მონსტრი იყო, დღეს კი ზლატან იბრაჰიმოვიჩის და ტიაგო სილვას შენარჩუნება ვერ შეძლო. ეს სამწუხარო რეალობაა და სანამ ვითარება არ გამოსწორდება, კალჩოდან ვარსკვლავთა გადინება არ უნდა გაგვიკვირდეს“.*

„გაძეტა დელო სპორტი“ ვარაუდობს, რომ პოგბას სანაცვლოდ ევროპული გრანდები 40-50 მილიონ ევროს ჩამოდიან, ამ თანხის სანაცვლოდ კი ტურინულებს სწორედაც, რომ ულირთ ნიჭიერ ნახევარმცველთან განშორება - თანაც, ტურინულ გრანდს შუა ხაზში ნაკლებად უჭირს და პოგბაში აღებული თანხითაც შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერება. მოკლედ, პოგბას წასვლის ალბათობა მაღალია და ამაზე ანიელის კომენტარიც მოწმობს.

**ლაშა წიკლაური**


პოლ პოგბამ, შესაძლოა, „იუვენტუსი“ დატოვოს

● იტალია

# საინტერესო კვლევის შედეგები

## ვეტერანები პოზიციებს არ თმობენ, ბალოტელი გადაფასებულია, რასიზმი ყველას პრობლემაა


მარიო ბალოტელი ყველაზე გადაფასებულ ფეხბურთელად დაასახელეს

**„გაძეტა დელო სპორტმა“ სერია A-ს 50 ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი გამოარჩია და მათ რამდენიმე საინტერესო შეკითხვა დაუსვა - შედეგად, ინტერაქტიული შეკითხვებისგან შემდგარი კვლევა მივიღეთ, რომელთა შედეგებსაც ქვემოთ გაგაცნობთ...**

### ყველაზე სასურველი მწვრთნელი

გამოკითხული ფეხბურთელების უმეტესობამ, კერძოდ კი 32%-მა განაცხადა, რომ ყველაზე დიდი სიამოვნებით **ანტონიო კონტესთან** იმუშავებდნენ. მეორე ადგილი „ფიორენტინას“ დამრიგებელმა **ვინჩენცო მონტელამ** დაიკავა, მესამე პოზიციაზე კი „ინტერის“ მესაჭე **ვალტერ მაცარი** გავიდა. ლიდერთა შორის ვერ მოხვდა „მილანის“ დამრიგებელი **მასიმილიანო ალეგრი**, რომელსაც, როგორც ჩანს, ფეხბურთელები დიდად არ სწყალობენ.

### ყველაზე ძლიერი მცველი

კითხვა ასეც შეიძლება დაისვას: მცველი, რომელთანაც ყველაზე რთულია თამაში - გამოკითხულთა უმრავლესობამ, კერძოდ, 44%-მა არჩევანი **ჯორჯო კიელინიზე** შეაჩერა, რაც გასაკვირი ნამდვილად არ არის. მეორე პოზიცია **ანდრეა ბარძალიმ** დაიკავა, ხოლო მესამეზე **პაოლო კანავარო** მოხვდა „ნაპოლიდან“. ამ ფონზე, გასაკვირია, რომ კანავაროს არასდროს უთამაშია იტალიის ეროვნულ ნაკრებში, **რაფაელ ბენიტესის** ხელში კი „ნაპოლის“ ძირითადი შემადგენლობიდანაც ამოვარდა.

### საუკეთესო შემტევი

აქაც იგივე ფორმით შეიძლება კითხვის დასმა: შემტევი, რომლის განეიტრალება ყველაზე რთულია - რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სამეულში ვერ მოხვდა **მარიო ბალოტელი** და თუ სად მოხვდა „მილანის“ ფორვარდი, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ყველაზე ძლიერ შემტევად **ფრანჩესკო ტოტი** დასახელდა, შემდეგ **ანტონიო დი ნატალე**, მესამე ადგილი კი **მიროსლავ კლოზემ** დაიკავა. როგორც ხედავთ, კლასს ასაკი ვერას აკლებს.

### გადაფასებული ფეხბურთელები

ფეხბურთელები, რომლებიც ზედმეტად რეკლამირებულნი არიან და მათ შესაძლებლობებზეც გადამეტებული წარმოდგენა აქვთ... აი აქ მარიო ბალოტელიმ პირველობა არავის დაუთმო, მეორე ადგილზე **მაურო იკარდი** გავიდა „ინტერიდან“, ხოლო მესამეზე **ესეკილ სკელოტო** „სასუოლოდან“. ბალოტელის რა გითხრათ და აი, იკარდის კი მართლაც ბევრი აქვს დასამტკიცებელი...

### ყველაზე ხელისშემშლელი...

ის, რაც ყველაზე მეტად უშლით სერია A-ში მოასპარეზე ფეხბურთელებს თამაშში ხელს - ფეხბურთელთა აბსოლუტურმა უმეტესობამ რასისტული შეძახილები დაასახელა და იქვე დასძინეს, რომ ეს პობლემა თითქმის ყველა ქალაქში და ყველა სტადიონზე დგას. მეორე ადგილზე უხარისხო მინდორი, ხოლო მესამეზე ლაზერები გავიდა.

**ლაშა წიკლაური**

● ინტერი

# მილიტო ისევ დაშავდა

„ინტერის“ გუშინდელ ვარჯიშზე **დიეგო მილიტომ** მორიგი ტრავმა მიიღო და ექიმთა ხელში გადაინაცვლა. შეგახსენებთ, რომ 34 წლის არგენტინელი ბოლო ხანს ტრავმებმა გატანჯეს, რის გამოც დიდი დრო გაუცდა. დიეგო ახლახან გამოჯანმრთელდა და მისმა ტრავმამ „ინტერის“ ბანაკში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მილიტოს გამოკვლევას დღეს ჩაუტარებენ და გაცხადდება, რამდენ ხანს მოუწევს უქმად ყოფნა. ამ თემაზე კომენტარი „ნერაძურის“ მთავარმა მწვრთნელმა“ ვალტერ მაცარიმ გააკეთა:

*„დიეგო ერთ-ერთ თანაგუნდელს შეეჯახა და ვარჯიშის გაგრძელება ვერ შეძლო. ყველანი აღელვებულნი ვართ, რადგან ვიცით, როგორ ელოდებოდა გამოჯანმრთელებას და მოედანზე დაბრუნებას. დიდი იმედი მაქვს, რომ ტრავმა მსუბუქი იქნება და მილიტო მალევე დაუბრუნდება სანვრთნელ პროცესს“.*

**ლაშა წიკლაური**


დიეგო მილიტო თანაგუნდელს შეეჯახა და ვარჯიში ნადრევად შეწყვიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ახალგაზრდული ნაკრები

# გუგავას მორიგი ექსპერიმენტი




სულ რაღაც ათიოდ დღეში სლოვენიის დედაქალაქი ლიუბლიანა, კალათბურთელთა ევროპირველობის შემდეგ, მორიგ დიდ ტურნირს უმასპინძლებს – მსოფლიოს ჩემპიონატს ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის, სადაც ჩვენი ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით იასპარეზებს. მოგეხსენებათ, მთავარ მწვრთნელ **გია გუგავას** გადაწყვეტილებით, ამ გუნდმა ევროპის პირველობაზე სახეცვლილი შემადგენლობით იჭიდავა – მან აქცენტი იმ მომენტში ყველაზე უკეთ მომზადებულებზე გააკეთა და რაკი ახალი წესები რამდენიმე წონაში გაორების საშუალებას აძლევდა, ზოგან ორ-ორი მონაწილე წაიყვანა, ზოგიერთი წონა კი საერთოდ გამოტოვა. გუგავამ შემადგენლობა მსოფლიოს პირველობის წინაც გადაახალისა, თუმცა დაკომპლექტება ჯერაც არ დასრულებულა – გასარკვევია სწორედ იმ ორი წონის საკითხი, სადაც ევროპაზე მონაწილე არ გვყავდა – 55 და 66 კილოგრამი, სადაც ყველაფერი საკონტროლო შეხვედრების შემდეგ გაირკვევა. თუმცა მწვრთნელი წონის გამოტოვებას ვერც ამჯერად ასცდა – ახლა 60-ში არ გვეყოლება მონაწილე. არადა, ევროპაზე აქ ორი ათლეტით წარვსდექით, მაგრამ უმედლოდ დავრჩით — ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ვაჟა მარგველაშვილი** მეორე შეხვედრაში დამარცხდა, **ლუხუმ ჩხვიმიანი** კი მეხუთეზე გავიდა. ევროპის დარად, გუგავამ აქცენტი ამჯერადაც მედლის მოპოვების ყველაზე რეალურ კანდიდატებზე გააკეთა და ამჯერად ამ წონას გვერდი აუარა – ჩანს, მათი დონე არ აკმაყოფილებს. ჩხვიმიანზე ვერაფერს გეტყვით, მარგველაშვილს კი წონის შეცვლას ურჩევს და სარაევოში მის ნაგებასაც ბევრი დაკლებით ხსნის. აქედან გამომდინარე, მარგველაშვილის მსოფლიოზე წაყვანა გამორიცხული იყო.

გუგავამ სლოვენიაში წასაყვანად უკვე შეარჩია შემდეგი ფალავნები: **ლევან გუგავა, ფრიდონ გიგანი** (ორივე - 73), **ბექა დონღვანი** (81), **ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ტაველური** (ორივე - 90), **გურამ თუშიშვილი** (100), **ლევან მატიაშვილი, გიორგი ზაქარიაძე** (ორივე - +100). ამათგან ევროპის პირველობაზე მხოლოდ გიგანსა და დონღვანს არ უჭიდავიათ. ღვინიაშვილი და თუშიშვილი სარაევოში ჩემპიონები გახდნენ, მატიაშვილი მეორეზე გავიდა, გუგავა და ზაქარიაძე – მესამეზე. აღსანიშნავია, რომ გუგავასა და გიგანის დუეტი ჭაბუკთა ნაკრებიდან ერთად მოდის და ეს წყვილი, მგონი, წლეულს პირველად დაიშალა. კიდევ უფრო სასიამოვნოა, რომ ისინი ლამის მუდმივად ადიოდნენ კვარცხლბეკზე და მედლებს წყვილად იგებდნენ.

რაც შეეხება იმ ვაკანტურ ორ წონას, 55-ში პრეტენზიას ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ლერი ჭელიძე** და **გიორგი საჩალელი** აცხადებენ, 66-ში კი სამი პრეტენდენტია – საქართველოს ჩემპიონი უფროსებში **ტრისტან ფეიქრიშვილი, ანდრო ბერუაშვილი** და **გელა კელიხაშვილი**. გუგავა ორივე წონაში თითო კაცს თუ დააყენებს, რადგან სავალდებულო 10-კაციანი კვოტიდან 8 უკვე შერჩეული ჰყავს. საკონტროლო შეხვედრები 14 ოქტომბერს დაიწყება და ოთხ დღეს გასტანს ანუ ზუსტად იმდენს, რამდენსაც – მსოფლიოს პირველობა.

ჩვენი გუნდი ამჟამად კვლავ გორში, **გურამ პაპიტაშვილის** სახელობის დარბაზში გადის შეკრებას, სადაც ევროპირველობის წინაც ემზადებოდნენ. ოღონდ მაშინ მათთან ერთობლივ ვარჯიშზე თურქებიც იმყოფებოდნენ, ახლა კი მარტო ემზადებიან, სპარინგ-პარტნიორობას კი გორელი ძიუდოისტები უწევენ.

ნაკრები იქ შეკრებაზე 20 ოქტომბრამდე დარჩება, 21-ში კი სლოვენიაში გაფრინდებიან. მსოფლიოს ჩემპიონატი ლიუბლიანაში 23-27 ოქტომბერს ჩატარდება. პირველ დღეს ბიჭებიდან 55-60, გოგოებიდან კი 44-48 კილოგრამების წარმომადგენლები იჭიდავებენ. 24 ოქტომბერს ტატამზე 66-73-კილოგრამიან ბიჭებს და 52-57-კილოიან გოგონებს ვიხილავთ. ბოლო ორი დღე ასეა განაწილებული: 25-ში საასპარეზოდ 81-90-ის ბიჭებსა და 63-70-ის გოგონებს ვიხილავთ, 26-ში კი ზედა ორ-ორი უმძიმესი წონის გოგო-ბიჭები იჭიდავებენ. ეს ჩემპიონატი გამორჩეულია იმით, რომ პირველად ჩატარდება გუნდური პირველობა ახალგაზრდებში. 27 ოქტომბერი სწორედ ამ შეჯიბრებას დაეთმობა.

**ირაკლი თავაძე**

ალპინიზმი



# იუბილე, მუზეუმი, ბოლდერინგი

ქართული ალპინიზმი იუბილარია - 90 წელი გავიდა 1923 წელს მყინვარწვერზე განხორციელებული პირველი და ფუძემდებლური ასვლიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით გუშინ, 10 ოქტომბერს, ვერის ბაღში მდებარე ალპურ კლუბში საქართველოს მთამსვლელთა მუზეუმი გაიხსნა და ბოლდერინგში მეკლდეურობის შეჯიბრება ჩატარდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, მთამსვლელობის ეროვნული ფედერაციის, მთამსვლელობის ფედერაციის და მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით ქართული სპორტული ალპინიზმის 90 წლისთავი ღირსეულად აღინიშნება. ქართული ალპინიზმის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დაგეგმილია ღონისძიებები თბილისსა და სტეფანწმინდაში.

მუზეუმის გახსნა და ბოლდერინგში მეკლდეურების შეჯიბრებაც 90. წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი, მისი** მოადგილე **თამაზ თევზაძე**, ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი** და მათთან ერთად ვეტერანი და მოქმედი მთამსვლელები, ასევე მთამსვლელთა ფედერაციის წარმომადგენლები დაესწრნენ. სტუმრებმა ფოტო-გამოფენა დაათვალიერეს, შემდეგ კი ბოლდერინგში ჩატარებულ ტურნირს დაესწრნენ.

წყალბურთი

# ნაკრები და ჰანოვერი დაწინაურდნენ



ჰანოვერი (გერმანია) 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები თავისი ქვეყნის პირველობისთვის მოსამზადებლად თბილისს ეწვია. ქართველ თანატოლებთან ერთობლივი წვრთნის შემდეგ ისინი საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" ჩვენებურთა ტურნირში ჩაებნენ. შეჯიბრებაში ექვსი გუნდი მონაწილეობს. უკვე გაიმართა ორი ტურის შეხვედრები. ასპარეზობის პირველ დღეს გერმანელებმა 14 ბურთის უპირატესობით (19:5) სძლიეს „ივერიის" ჭაბუკთა გუნდს. 1998-2000 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს ნაკრებმა „ლიგამუსს" აჯობა - 12:9, ხოლო ქუთაისმა „არენა" დაამარცხა - 12:8.

გუშინ მეორე ტურის პაექრობები ასე დამთავრდა: ქუთაისი-„ჰანოვერი" 3:18, „ლიგამუსი"-„არენა" 14:3, ნაკრები-„ივერია" 9:5.

**დღეს ითამაშებენ**

**დილით.** „ივერია"-„ქუთაისი", „ლიგამუსი"-„ჰანოვერი", ნაკრები-„არენა". **სალამოს.** „ქუთაისი"-„ლიგამუსი", „ივერია"-„არენა", ნაკრები-„ჰანოვერი".

**ვაჟა დანელია**

მშვილდოსნობა

# ჭაბუკთა კვარტეტი ჩინეთში

**გუშინ საღამოს ჭაბუკ მშვილდოსანთა ნაკრები პირდაპირი რეისით ჩინეთში გაფრინდა, სადაც 13-20 აგვისტოს, ქალაქ ვუქსში თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებს.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებითა და დიდი მხარდაჭერით, იქ ოთხი სპორტსმენი გაემგზავრა – **ანა დუმბაძე, ნინო ჯვარშეიშვილი, ვლადიმერ დოლიძე** და **დავით მიხელიძე**. ამათგან გუნდის ყველაზე პატარა წევრი, 14 წლის დუმბაძე ბათუმელია, დანარჩენები – თბილისელები.

ვუქსში შეჯიბრება ზეგ დაიწყება ოფიციალური ვარჯიშით, ჩვენებისთვის უმნიშვნელოვანესი დღე კი 18 ოქტომბერი იქნება, როცა კანდიდატებმა გაისად ჩინეთშივე, ოღონდ ნანჯინგში გასამართავი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების საგზურები უნდა მოიპოვონ. ეს ცალკე შეჯიბრებაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მსოფლიოს ჩემპიონატთან. თამაშების ლიცენზიას 17 მოწინავე ქვეყანა იღებს როგორც ბიჭებში, ასევე – გოგონებში. მისი რაოდენობა ლიმიტირებულია – ერთ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ლიცენზია. ბუნებრივია, ადგილმონაცვლეობის პრინციპი აქაც იმოქმედებს ანუ, ვთქვათ, პირველ-მეორე ადგილზე ერთი ქვეყნის წარმომადგენლები გავლენ, მაშინ ლიცენზიას პირველზე გასული მიიღებს, მეორე კი სარეიტინგო სიიდან ამოვარდება და მის ნაცვლად საგზური მესამეზე გასულს გადაეცემა.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# დღე პირველი არენაში

გუშინ სასპორტო კომპლექს „არენაში" დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობს. სასტარტო პაექრობებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზონის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ სტუ-ს პირველ ტაიმში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს სამტრედიელებმა - მხოლოდ ორი ბურთით წააგეს. შესვენების შემდეგ სტუდენტებმა იძალეს და გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება (41:34) ჩაიწერეს.

შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორი ბათუმი შესვენებამდე თბილისის „პეგასს" სამი ბურთით უგებდა - 15:12. მეორე ტაიმში უპირატესობა 10 ბურთამდე აიყვანა - 41:31. ზღვისპირელთაგან საუკეთესო იყო **ნიკოლოზ ჯორბენაძე**, რომელმაც 16-ჯერ აიღო მეტოქის კარი და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

1998-1999 წლებში დაბადებულთა ნაკრების წევრებმა, რომლებიც 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის სპეციალური პროგრამით ემზადებიან, არაფერი დაუთმეს თბილისის „იმედს", თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ - 30:35. ქუთაისელებმა თელაველებს აჯობეს - 30:26.

დღეს მეორე ტურში ითამაშებენ: თელავი - ბათუმი, სამტრედია - იმედი, პეგასი - ქუთაისი, ჭაბუკთა ნაკრები - სტუ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# სხვათა ღირსებას დაიცავენ

წელიწადს 20-26 ოქტომბერს როდოსზე (საბერძნეთი) მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც 52 ვაჟთა და 11 ქალთა გუნდი იასპარეზებს. სამწუხაროდ, მათ შორის ჩვენი გუნდები არ არიან, მაგრამ ელადური ბატალიები უქართველებოდ მაინც არ ჩაივლის. სომხეთის „მიკას" შემადგენლობაში ელინა დანიელიანთან, ლილით მკრტიჩიანსა და ინდოელ ჰარიკა დრონავალისთან ერთად **ლელა ჯავახიშვილიც** იასპარეზებს.

ვაჟთა ტურნირში როსტოვის კლუბის ლიდერია **ბაადურ ჯობავა**. იგი ივან ჩეპარინოვთან (ბულგარეთი), სერგეი ჟიგალკოსთან, სერგეი აზაროვსა (ორივე-ბელარუსი) და კიდევ ოთხ რუს მოჭადრაკესთან ერთად იბრძოლებს მედლებისთვის.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# მეოთხედფინალში


ეკატერინე გორგოძე

თბილისელი ჩოგბურთელი **ეკატერინე გორგოძე** წარმატებით ასპარეზობას განაგრძობს ანტალიის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). პირველ წრეში ესტონელი პოკრარის დამარცხების შემდეგ მე-8 ნომრად განთესილი ჩვენებური გუშინ ანა კლასენს (გერმანია) დაუპირისპირდა. პირველი ხელი გორგოძემ 6:4 მოიგო, მეორე კი უფრო იოლად დათმო - 3:6, სამაგიეროდ მე-3 სეტში შეძლო ძალების მობილიზება და ალემან მეტოქეს 6:4 სძლია. მეოთხედფინალში იგი ასპარეზობის რეიტინგფავორიტ მარტინა კუბიჩიკოვასთან (ჩეხეთი) გაარკვევს ურთიერთობას. ამ უკანასკნელმა, ასევე, დაძაბულ ორთაბრძოლაში აჯობა თანამემამულე ბარბორა სტეფკოვას - 3:6, 6:4, 6:3.

ამერიკული მაკონი ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან ტურნირს მასპინძლობს. მე-4 ნომრად განთესილმა თბილისელმა **ანა ტატიშვილმა** გუშინ მეორე შეხვედრაც მოიგო - ამჯერად კანადელი კაროლ ჟაო ჩამოიშორა გზიდან - 6:1, 4:6, 6:0. მეოთხედფინალში იგი ამერიკელ ნიკოლ გიბსს დაუპირისპირდება, რომელიც მე-2 წრეში თანამემამულე ალექსანდრა სტივენსონთან შეხვედრას 4:2-ს რომ იგებდა, მეტოქემ ტრავმის გამო ორთაბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო.

ვაჟა დანელია

# მარცხიანი დღე

ერევანში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი). გუშინ წყვილთა ნახევარფინალში სამი ქართველი გავიდა კორტზე, მაგრამ ფინალში გასვლა ვერც ერთმა ვერ მოახერხა: **მიხეილ ხმიადაშვილი** და **გიორგი ცივაძე** ჰოლანდიელ რეიტინგფავორიტებთან - ანტალ ვან დერ დუიმსა და ბოი ვესტერჰოფთან დამარცხდნენ - 2:6, 1:6, ხოლო ტიმურ სარბიევთან (სომხეთი) შეამხანაგებულმა **გიორგი ჯავახიშვილმა** მიხაელ ლიზერისა (ავსტრია) და მარკ მეიგელის (გერმანია) დუეტთან წააგო - 1:6, 1:6. ჩვენებურები ერთეულთა თანრიგს უფრო ადრე გამოეთიშნენ.

■ ■ ■

ყაზახეთის 10.000-იან ტურნირში ცდიდა ძალებს თბილისელი **ალექსანდრე მეტრეველი**. გუშინ მეოთხედფინალური პაექრობა მან ილია ივაშკასთან (ბელარუსი) დათმო - 5:7, 0:6. მეტრეველმა სწორედ ივაშკასთან ერთად წააგო წყვილთა პაექრობა მეოთხედფინალში ვლადიმირ კრუკისა (ბელარუსი) და იან საბანინის (რუსეთი) ტანდემთან - 4:6, 4:6.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# გორელი ლიჩელის გამარჯვება დუბაიში

**ამას წინათ დუბაიში გამართულ მე-12 ახალგაზრდულ საჭადრაკო ფესტივალზე, 14 წლის გორელი სპორტსმენი ლუკა ლიჩელი საუკეთესო აღმოჩნდა. გორისთვის ჭადრაკში მოპოვებული მიღწევა რომელ ასაკშიც უნდა იყოს, აღსანიშნავი თემაა და ამიტომაც ამ ჭაბუკს უკეთ გასაცნობად გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის ჭადრაკის სექციაში ვეწვიეთ. იქვე, მის ერთ-ერთ მწვრთნელ ოთარ დოლიძესაც ვესაუბრეთ.**


ლუკა ლიჩელი

ლიჩელი საქართველოში გამართული არაერთი შეჯიბრების გამარჯვებულია. მან წლეულსაც ფოთის (ნანა ალექსანდრიას სახელობის) და ბათუმის ტურნირები მოიგო. ცოტა ხნის შემდეგ კი დუბაის ტურნირის ორგანიზატორთა მიერ გამოგზავნილი მიწვევაც მიიღო. იქ საასპარეზოდ 145 სპორტსმენი იყო შეკრებილი. საქართველოდან ლიჩელის გარდა ქუთაისელი **გურამ კოკაია** მონაწილეობდა, რომელიც მეექვსე ადგილით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ გორელმა სპორტსმენმა შეძლო პირველობის მოპოვება. „ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა და, სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც პირველი ადგილის დაკავებაზე ფიქრი მიჭირდა. შეჯიბრების ფავორიტი 12-წლამდელთა შორის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი აზერბაიჯანელი **აბდულა გადიმბაილი** იყო, მე კი მეთერთმეტედ ვიყავი განთესილი. პირველი ტურიდანვე დიდი მონდომებით ჩავერთე პაექრობაში, ბოლომდე ლიდერობა არ დამიკარგავს და 8 ქულით ჩემპიონიც გავხდი. ამ შედეგით მომდევნო პოზიციებზე მყოფ ოთხ მოჭადრაკეს ნახევარი ქულით ვაჯობე" — გვითხრა ლუკა ლიჩელმა.

ლუკას თავიდანვე გორის სპორტსკოლის ჭადრაკის სექციის მწვრთნელი ოთარ დოლიძე ავარჯიშებს. ამჟამად კი მასთან ერთად **დავით მალალაშვილი** წვრთნის.

*„დუბაიში ლიჩელის წარმატებამ ძალიან გაგვახარა. ბუნებრივია, ეს დიდი სტიმულია სხვა სპორტსმენებისათვის, რათა გულმოდგინე ვარჯიშით მათაც იფიქრონ გამარჯვებებზე. მე ამჟამად გორსა და ქარელში ვამეცადინებ ბავშვებს. უმცროსი ასაკის წარმატებული მოჭადრაკე ქარელშიც გვყავს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონია 14-წლამდელთა შორის. პირად აღსაზრდელთა წარმატებებით დღესდღეობით საქართველოში საუკეთესო მწვრთნელთა შორის ვარ. გორის მუნიციპალიტეტისგანაც ვგრძნობთ მხარდაჭერას — ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ხელს გვიწყობენ. ლუკასთვის დუბაის ხარჯებიც მათ გაიღეს. ადრე მწირი დაფინანსება გვქონდა. სასიხარულოა, რომ ჭადრაკის სექციაში ბავშვების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება გორშიც და ქარელშიც. ეს კი ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომით და ჩვენი შრომით კარგ შედეგებს აუცილებლად მოიტანს"* - ამბობს ოთარ დოლიძე.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ანონსი

*ხვალ „ლელოში" წაიკითხავთ...*

ბევრს სმენია და წაუკითხავს ბუნების დიდი მგოსნის, ჩვენი სასიქადულო პოეტის ვაჟა-ფშაველას და მისი ძმის, ბაჩანას კრივობის ამბავი. თაობები იცვლება, ეს თემა კი მუდამ ცხოველ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში. მით უფრო თუ ვინმე ახალ სიტყვას იტყვის. და აი, სწორედ ამ თემის ახლებური გააზრება ელოდება ჩვენს მკითხველს „ლელოს" ხვალინდელ ნომერში.

მთავარი კითხვა კი ასე ჟღერს: გალახეს თუ არა სანკტ-პეტერბურგში ფშაველმა ძმებმა ვაჟამ და ბაჩანამ ამერიკის კონტინენტის ჩემპიონი კრივში ჯონ სალივანი, რომელიც ევროპაში ძალის საცდელად იყო ჩასული? ასე რომ...

„ლელოს" ხვალინდელ ნომერში გაეცნობით აგრეთვე შაბათის ნომრისთვის განკუთვნილ სხვა საინტერესო თემებს. გთავაზობთ კროსვორდს და ვიქტორინას, საჭადრაკო ამოცანის ამოხსნას...

თარიღები და მოვლენები

## 11-13 ოქტომბერი

**11. 1946.** თბილისის „დინამომ" საკავშირო თასის მეოთხედფინალში, მოსკოვში ადგილობრივ „დინამოს" 2:1 მოუგო. იმ წელს ჩვენმა დინამოელებმა ფინალში იასპარეზეს

**11. 1997.** ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პოლონეთს 3:0 სძლია

**11. 2000.** ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა იტალიასთან 0:2 წააგო

**11. 2006.** ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები იტალიასთან შინ 1:3 დამარცხდა

**11. 2008.** ფეხბურთში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები თბილისში კვიპროსს 1:1 დაუზავდა

**11. 2008.** ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ 2008 წლის საუკეთესო მწვრთნელად საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია** დაასახელა

**12. 2010.** საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რიგაში, ლატვიასთან 1:1 ითამაშა

**12. 1962.** დაიბადა **გოჩა ჩიქოვანი** - ფეხბურთი

**12. 1978.** დაიბადა **მანუჩარ კვირკველია** - ბ\რ ჭიდაობა

**13. 1948.** დაიბადა **ბათუ კევლიშვილი** - რაგბი

**13. 1949.** დაიბადა **ნანა ალექსანდრია** - ჭადრაკი

**13. 1963.** დაიბადა **კობა კურტანიძე** - ძიუდო. გარდაიცვალა 2005 წელს

**13. 1969.** დაიბადა **ომარ თეთრაძე** - ფეხბურთელი, მწვრთნელი

**13. 2003.** საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა თბილისში 17:13 დაამარცხა რუსეთის ნაკრები და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა

**13. 2004.** საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უკრაინასთან 0:2 დამარცხდა ქ.ლვოვში

**13. 2006.** „მილანის" ფან-კლუბის ასოციაციამ კახა კალაძე 2005-2006 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა

**13. 2007.** საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იტალიასთან 0:2 წააგო ქ. გენუაში

კალათბურთი. ქართველები უკრაინაში

# ფაცაძე... არა, ცინცაძე... უფრო სწორად, ფაცაცია

## ქართული დერბი გახსნით მატჩში



2009 წელს იტალიის ჩემპიონატი „კანტუ"-„ვირტუსის" მატჩით გაიხსნა. მაშინ ამ გუნდებში **მანუჩარ მარკოიშვილი** და **ვიქტორ სანიკიძე** ახალი გადასულები იყვნენ და ჩემპიონატის პირველივე დღეს ქართული დერბი შედგა. იგივე განმეორდა უკრაინაში - გუშინ „დნიპრო-აზოტმა" „დონეცკს" უმასპინძლა და 78:94 დამარცხდა. სასტარტო ხუთეულში ორი ქართველი იყო: დონეცკელთა მხარეს **გიორგი ცინცაძე**, დნიპროელთა შორის - **ლევან ფაცაცია.**

გიორგი შარშან უკრაინის ჩემპიონი გახდა და იქაურ ჩემპიონატში დასამტკიცებელი არაფერი აქვს, ლევანი კი ამერიკიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პირველად გავიდა საერთაშორისო საკლუბო ასპარეზზე და უკრაინის ძლიერ ჩემპიონატში თამაში მისი შესაძლებლობების კარგ ინდიკატორად უნდა იქცეს. მოვლენებს გავასწრებთ და დავწერთ, რომ ფაცაციამ იმაზე უკეთ დაიწყო, ვიდრე ზოგი მოელოდა. თავად განსაჯეთ: პირველ ტაიმში იგი იმდენად სასარგებლო იყო გუნდისთვის, რომ მწვრთნელი ქართველი ფორვარდის შეცვლას არც ფიქრობდა. მხოლოდ მე-17-წუთზე შეახსენა ლევანმა, რომ პირველი წუთიდან არ დაუსვენია და ცოტა ხნით სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

მან მეორე ტაიმშიც თითქმის შეუსვენებლად ითამაშა. საბოლოოდ კი მოედანზე 35:28 წუთი გაატარა. მასზე მეტი მხოლოდ „დნიპრო-აზოტის" გამთამაშებელმა **დონალდ სიმსმა** ითამაშა (39 წუთი) და 28 ქულა ჩააგდო. ლევანი დაცვაშიც მყარად იდგა (მასპინძელთა თავკაცი „დონეცკელთა" შესაჩერებლად უმეტესად ზონურ დაცვას იყენებდა) და მეტოქის ფარქვეშ ისევე თავისუფლად შედიოდა, როგორც „სოხუმში" თამაშისას. საბოლოოდ 11 ქულა (9-დან 4 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო), 4 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა.

რაც შეეხება გიორგი ცინცაძეს, მწვრთნელი არ ენდო - 13 წუთი ათამაშა. თუმცა დროის ამ მონაკვეთში 3 შედეგიანი გადაცემის, 2 ქულისა და 1 მოხსნის მოგროვება მაინც შეძლო. მეოთხე რაუნდში მოედანზე არ გამოჩენილა. იმასაც გეტყვით, რომ ამ მატჩში რეკორდი დაფიქსირდა - „დონეცკმა" სუპერლიგის ისტორიაში ერთი მატჩის მიხედვით ყველაზე მეტი, 37 პასი შეასრულა.

საფინალო ანგარიში დასაწყისში გითხარით და შეხვედრის მსვლელობაზე ვრცლად აღარ შევჩერდებით - მეორე ტაიმიდან „დონეცკმა" მცირე უპირატესობა მოიპოვა და საფინალო სირენამდე ხელიდან არ გაუშვია. დასაწყისში შეხვედრის კომენტატორმა ბევრი ილაპარაკა ქართველებზე: ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებში იყვნენ და პირველივე ტურში ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობენო. ერთ ეპიზოდში ცინცაძეს ფაცაციობა დააბრალა, ხოლო შემდეგ ორჯერ შეეშალა - ფაცაძე უტევსო.

კი დავწერეთ, ცინცაძეს მწვრთნელი არ ენდოო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „დონეცკს" 13 ოქტომბერს ვითიბი ლიგაზე პეტერბურგის „სპარტაკთან" პირველი საშინაო შეხვედრა ელის და შესაძლოა, მწვრთნელმა ცინცაძე ამ მატჩისთვის შემოინახა. „დნიპრო-აზოტი" კი მომდევნო თამაშს 20 ოქტომბერს „გოვერლასთან" ჩაატარებს (უკრაინის ჩემპიონატში).

ვაჟა სიმონიშვილი



ნოემბრის ტესტები

# სამოამ საბრძოლო რაზმი გამოაცხადა

**საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტებზე სამ უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნები“ კანადის, აშშ-სა და სამოას ნაკრებებს დაუპირისპირდებიან. განსაკუთრებით საყურადღებოა სამოელთა სტუმრობა თბილისში. ასეთი დონის ეროვნულ ნაკრებს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ჯერ არასდროს უთამაშია.**

რაგბის საერთაშორისო საბჭომ უკვე გამოაქვეყნა იმ მსაჯების სია, რომლებიც ნოემბრის ტესტების მატჩებს განსჯიან. 9 ნოემბერს საქართველოსა და კანადის ნაკრებების შეხვედრას სამხრეთაფრიკელი **ლოურენს ფან დერ მერვე** წარუძღვება. თამაში ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ერთი კვირის თავზე „ბორჯღალოსნები“ აშშ-ს ეროვნულ გუნდს რუსთავში დაუპირისპირდებიან. მატჩის არბიტრი ახალზელანდიელი **მაიკ ფრეიზერი** იქნება. სამოელებთან თამაშის რეფერი კი, ფრანგი **რომან პუატე** გახლავთ. ამ შეხვედრას ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ თბილისში გასამართ სანაკრებო შეხვედრებზე პირველად დაინიშნება ვიდეო რეფერი. კანადასთან მატჩში ამ ფუნქციას ინგლისელი **ჯეფ ვორენი** შეასრულებს, ამერიკელებთან ეკრანს თვალს იტალიელი **კარლო დამასკო** არ მოაცილებს, სამოასთან კი ვიდეო გამეორების საშუალების ნახვა ფრანგ **ერიკ გოზინს** ექნება.

ამასობაში სამოას ნაკრების მწვრთნელთა შტაბმა იმ მორაგბეთა სია გააცხადა, ვინც ნოემბრის ტესტებზე ევროპაში ითამაშებს. გუნდში რვა ისეთი მორაგბეა, რომლებიც ფრანგულ კლუბებში ასპარეზობენ. ესენია: **ოლე ავეი** (ბორდო), **ტიი პაულო** (კლერმონი), **კენსუს ჯონსტონი, ჯო ტეკორი** (ორივე-ტულუზი), **ვილიამუ აფატია** (აჟენი), **დენ ლეო** (პერპინიანი), **პიულა ფაასალელე** (კასტრი) და **პოლ ვილიამსი** (სტად ფრანსე).

ტესტებში არ ითამაშებენ **ალესანა ტუილაგი და სეილალა მაპუსუა**, რომლებიც იაპონიის ჩემპიონატში ასპარეზობენ. გუნდის ყველაზე გამოცდილი მოთამაშე კი კენსუს ჯონსტონია, რომელმაც ეროვნულ გუნდში 40 კეპზე მეტი მოიხვეჭა.

შეგახსენებთ, რომ სამოელები 9 ნოემბერს დუბლინში ირლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, 15 ნოემბერს „ფრანგი ბარბაროსების“ წინააღმდეგ ითამაშებენ. 23 ნოემბერს კი მსოფლიოს მოწინავე ათეულში შემავალ გუნდს თბილისში ვიხილავთ. „მებრძოლი სამოა“, როგორც ამ ქვეყნის ნაკრებს ჰქვია, 80,42 ქულით რეიტინგში მე-7 ადგილზეა.


კენსუს ჯონსტონი

### სამოას ნაკრები

**შერკინება:** ოლე ავეი, ტიი პაულო, კენსუს ჯონსტონი, საკარია ტაულაფო, ლოგოვი მულიპოლა, ჯეიმზ ჯონსტონი, ვილიამუ აფატია, ტეოფილო პაულო, დანიელ ლეო, პიულა ფაასალელე, ჯო ტეკორი, ფაატიგა ლამალუ, მაური ფაასავალუ, ოფისა ტრევირანუს, ჯეკ ლამი, ტაიასინა ტუიფუა, ფაიფილი ლევავე.

**უკანა ხაზი:** კან ფოტუალიი, ჯერემი სუა, ტუსი პისი, პატრიკ ფააპალე, ჯორჯ პისი, ჯონი ლეოტა, პოლ ვილიამსი, ისაია ტუიფუა, დავიდ ლემი, ალაპატი ლეიუა, სინოტი ვააულუ, ფაატონინა აუტაგავაია.

| ნოემბრის ტესტები |
|---|
| 9 ნოემბერი |
| საქართველო-კანადა |
| 16 ნოემბერი |
| საქართველო-აშშ |
| 23 ნოემბერი |
| საქართველო-სამოა |

საქართველოს ჩემპიონატი

# ორხელისუფლებიანობა უმაღლეს ლიგაში

**საქართველოს ჩემპიონატში პირველი წრის ნახევარი მიილია. ნიშანდობლივია, რომ სატურნირო ცხრილს სათავეში ისევ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი თბილისის „ლელო“ უდგას. მას ფეხდაფეხ მისდევს დიდი სარაგბო ტრადიციების მქონე ქუთაისის „აია“, რომელიც ბოლო რამდენიმე წელიწადია ქვეყნის წამყვანი გუნდების კოჰორტაში დაბრუნდა.**

„ლელომ“, მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი მორაგბე, მგეზავი **ლაშა ხმალაძე** აკლია, ნათლად გვიჩვენა სტარტზე განცდილი მოულოდნელი მარცხის შემდეგ, როგორ უნდა შეძლოს ძალების მობილიზება და სათანადო დონეზე თამაში. ლელოელებმა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონთან, თბილისის „ლოკომოტივთან“ მატჩში აჩვენა, რომ არა მარტო შეტევა, დაცვაშიც შესანიშნავად შეუძლია გარჯა.

მხოლოდ ერთი პრობლემაა. ბურთის ფეხით აუტში გადატანა საგრძნობლად მოიკოჭლებდა. რამდენიმე შემთხვევაში შესაძლებელი იყო გუნდს დერეფანში ბურთი მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში აეგდო. ამის ნაცვლად „ლელომ“ აუტი 22-მეტრიანი ზონის ხაზთან მოანოდა. ცხადია, ამით შეტევის სიმწვავეც და სისწრაფეც დაიკარგა.

ჩემპიონების იდენტური შედეგი აქვს ქუთაისის „აიას“. ქუთათურებმა ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგეს და ერთი წააგეს. ბოლო ხანს შესანიშნავად ათამაშდა „აიას“ უკანა ხაზი. **ბესიკ ხამაშურიძისა** და **კობა გიორგაძის** განვრთნილმა გუნდმა მე-5 ტურში შინ დამაჯერებლად დაამარცხა „არმაზი“ - 28:3. მასპინძლებმა სამი ლელო გაიტანეს და სამივე უკანახაზელების ანგარიშზეა. ცხადია, მათ გარჯას შერკინებაც ხელს უწყობს, რომელიც სეზონის წინ განცდილი დანაკლისის მიუხედავად, მაინც მძლავრად გამოიყურება და იოლად არავის არაფერს უთმობს.

ლიდერებს ოთხი ქულით ჩამორჩება ბოლნისის „ყოჩები“, რომელმაც სამწლიან კრიზისს თავი დააღწია და ისევ მოწინავეთა შორის დაბრუნდა. ამ გუნდს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი შემადგენლობით პირველად თამაშობს, კიდევ უფრო განვითარების, უკეთესი თამაშის ჩვენების პერსპექტივა აქვს.

მეხუთე ტურში ოდნავ შეფერხდნენ თბილისური გუნდები, „არმაზი“ და „ლოკომოტივი“. თუმცა მათი სათვალავიდან ამოგდება არაფრით შეიძლება. ორივე გუნდს მებრძოლი ხასიათი გამოარჩევს. ამასთან ერთად, თუ „ლოკომოტივს“ გამოცდილი **თემურ ბენდიშვილი** წვრთნის, „არმაზის“ სათავეში ახალგაზრდა და ამბიციური დამრიგებლები არიან.

პირველი გამარჯვება მოიპოვა მე-5 ტურში თბილისის „აკადემიამ“. ამ გუნდმა შინ უშუალო კონკურენტის, „ბათუმის“ დამარცხება შეძლო. აღსანიშნავია, რომ ჯერ მოგების გემო ბათუმელებთან ერთად არც რუსთავის „ხარებს“ გაუგია.

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 5 | 4 | 0 | 1 | +69 | 19 |
| 2. აია | 5 | 4 | 0 | 1 | +38 | 19 |
| 3. ყოჩები | 5 | 3 | 1 | 1 | +33 | 15 |
| 4. არმაზი | 5 | 3 | 0 | 2 | +15 | 14 |
| 5. ლოკომოტივი | 5 | 3 | 0 | 2 | -3 | 13 |
| 6. არმია | 4 | 2 | 1 | 1 | +27 | 11 |
| 7. ჯიქები | 5 | 1 | 2 | 2 | -2 | 10 |
| 8. აკადემია | 4 | 1 | 0 | 3 | -52 | 5 |
| 9. ბათუმი | 4 | 0 | 0 | 4 | -59 | 1 |
| 10. ხარები | 4 | 0 | 0 | 4 | -66 | 1 |

### VI ტური

**აია-ყოჩები, არმაზი-არმია, ჯიქები-ლელო, ლოკომოტივი-აკადემია, ბათუმი-ხარები.**


არმია-ჯიქები

ინტერვიუ ლევან დათუნაშვილთან


ლევან დათუნაშვილი

# ტესტებზე სამივეს უნდა მოვუგოთ

### დოსიე

**ლევან დათუნაშვილი**

**დაიბადა:** 18.01.1983 წელი
**სიმაღლე:** 196 სმ
**წონა:** 114 კგ
**ამპლუა:** მხტომელი
**თამაშობს:** ორიაკი
**ეროვნული ნაკრები:** 54 კეპი, 4 ლელო

**საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი ლევან დათუნაშვილი აგერ უკვე ცხრა წელიწადია საფრანგეთში ასპარეზობს. „ჩაქუჩამ“, როგორც მას მეგობრები ეძახიან, ამ დროის განმავლობაში მსოფლიოს თასის ორ გათამაშებაში მოასწრო თამაში და წესით, ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს, რათა ეროვნული ნაკრების ღირსება 2015 წელს ინგლისშიც დაიცვას.**
**ლევან დათუნაშვილი ამჟამად საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის „ორიაკში“ თამაშობს. ეს გუნდი ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა და ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის. საკლუბო კარიერისა და ნაკრების გეგმებზე სასაუბროდ ლევანს საფრანგეთში დავუკავშირდით.**

- წლევანდელი სეზონი ცუდად არ დაგვიწყია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ, შარშანდელთან შედარებით, კონკურენცია გაიზარდა. გუნდები საგრძნობლად მოღონიერდნენ. თანაც, რადგან გასულ სეზონში პლეი ოფში გავაღწიეთ და ნახევარფინალში ვითამაშეთ, ყველას მიაჩნია, რომ ფავორიტები ვართ და ჩვენ წინააღმდეგ ყველა გაათმაგებული ენერგიით თამაშობს.

**- უნდა ვივარაუდოთ, რომ, ისევე როგორც შარშან, გუნდის მიზანი ამჟამადაც პლეი ოფში გაღწევაა...**

- დიახ ასეა, რეგულარულ გათამაშებაში მინიმუმ მეხუთე ადგილზე უნდა გავიდეთ. მერე ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. გინდათ თუ არა პირველ დივიზიონში უნდა გადახვიდეთო, არავინ გვეუბნება.

**- რამდენად შესაძლებელია მიზნის მიღწევა იმ პირობებში, როცა გუნდი რამდენიმე მოთამაშემ დატოვა. ამ დროს „ლიონი“ ვარსკვლავებითაა სავსე...**

- „ლიონი“ მართლაც კარგი გუნდია, მაგრამ მარტო ის არ არის ჩვენი კონკურენტი. „აჟენი“, „ლა როშელი“, „პო“ ძალიან მაგარი გუნდებია და შესანიშნავად ასპარეზობენ კიდეც. ჩვენ ვარსკვლავები არ გვყავს, მაგრამ გუნდური სულისკვეთებით გამოვირჩევით და ამის ხარჯზე ვაღწევთ წარმატებას.

**- თქვენ უკვე მეორე სეზონია სულ ძირითად შემადგენლობაში ხართ და, ამასთან ერთად, ძალიან იშვიათად გცვლიან. არ დაიღალეთ?**

- რა დროს დაღლაა. წინ უმძიმესი თამაშები გველის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომდევნო ხუთი ტური. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ მატჩებში რამდენად წარმატებულად ვიასპარეზებთ. დაღლას რაც შეეხება. კვირაში ორი დღე გვაქვს გამოყოფილი დასასვენებლად და მაქსიმალურად ვცდილობ, ძალების აღსადგენად ნაყოფიერად გამოვიყენო. თანაც, აქ ძალიან კარგი პირობებია აღდგენითი პროცედურებისთვის.

**- პირობები ახსენეთ და საინტერესოა, რამდენად მყარი ფინანსური გარანტიები აქვს კლუბს სამომავლოდ?**

- კლუბს კარგი მომავალი აქვს. ახალი სტადიონი შენდება, რომელზეც პირველ თამაშს, სავარაუდოდ. მარტში გავმართავთ. პირველ დივიზიონში გადასვლაზე ჯერ არავინ ლაპარაკობს, მაგრამ ახალ სტადიონს, ალბათ, სწორედ მაგისთვის აშენებენ, რომ ელიტაში სათამაშოდ ყველანაირად მზად იყვნენ.

**- „ორიაკში“ კიდევ დიდხანს ითამაშებთ?**

- ამ გუნდთან შარშან ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ოღონდ, ხელშეკრულებაში წერია, რომ თუ პირველი დივიზიონის გუნდი მიმიწვევს, ხელი არ შემეშლება. ისე, მართალი გითხრათ, მეორე დივიზიონში თავს მშვენივრად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ.

**- საქართველოს ნაკრებს ნოემბერში სამი ძალიან მაღალი დონის მეტოქე ეყოლება ტესტ მატჩებზე. ხართ თუ არა გამოძახებული ეროვნულ გუნდში და რას ფიქრობთ აშშ-ს, კანადისა და სამოას ნაკრებების შესახებ?**

- ჯერ არავინ შემხმიანებია. არ ვიცი, გამომიძახებენ თუ არა. ნებისმიერ მეტოქესთან ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი პატივია. მით უმეტეს აშშ-ს, კანადისა და სამოას ნაკრებებთან. პირველი ორი ძალიან ძლიერი გუნდია, სამოა კი მსოფლიოს ელიტაში შედის, მსოფლიოს რეიტინგში მეშვიდე ადგილზეა. თუმცა ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. ნოემბერში სამივეს უნდა მოვუგოთ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. საკონტროლო მატჩები


მაიამი ჰიტი

# ფავორიტი მაიამია, შემდეგ ჩიკაგო და ოკლაჰომა

ამერიკელმა ბუკმეიკერებმა გამოაქვეყნეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალი სეზონის ფსონები, რომლის მიხედვითაც, 2013-14 წლების სეზონში მთავარ ფავორიტად „მაიამი ჰიტი" მიიჩნევა. **ერიკ სპოელსტრას** გუნდის ჩემპიონობა ორი ერთთან არის შეფასებული.

ბუკმეიკერთა აზრით, ჩემპიონობის სხვა პრეტენდენტთა შორის უფრო მაღალი შანსები გააჩნიათ „ჩიკაგო ბულზსა" და „ოკლაჰომა-სიტის". შემდეგ მოდიან „კლიპერსი, „ჰიუსტონი", „ინდიანა" და „ბრუკლინი".

საინტერესოა, რომ შარშანდელი ფინალისტი „სან ანტონიო სპურსი" წინასასეზონო ფსონების მიხედვით მხოლოდ მერვე ადგილზეა.

სრულად ბუკმეიკერთა ფსონები ჩემპიონობაზე ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| მაიამი | 2/1 |
| ჩიკაგო | 8/1 |
| ოკლაჰომა | 8/1 |
| კლიპერსი | 9/1 |
| ჰიუსტონი | 10/1 |
| ინდიანა | 10/1 |
| ბრუკლინი | 10/1 |
| სან ანტონიო | 12/1 |
| გოლდენ სტეიტი | 16/1 |
| ნიუ იორკი | 22/1 |
| მემფისი | 28/1 |
| ლეიკერსი | 33/1 |
| დალასი | 50/1 |
| დენვერი | 50/1 |
| კლივლენდი | 66/1 |
| დეტროიტი | 75/1 |
| მინესოტა | 100/1 |
| ნიუ ორლეანი | 100/1 |
| ვაშინგტონი | 100/1 |
| ატლანტა | 150/1 |
| ბოსტონი | 150/1 |
| პორტლენდი | 150/1 |
| ტორონტო | 150/1 |
| იუტა | 150/1 |
| მილუოკი | 250/1 |
| ფილადელფია | 300/1 |
| ფინიქსი | 300/1 |
| საკრამენტო | 300/1 |
| შარლოტი | 500/1 |
| ორლანდო | 500/1 |

**პორტლენდი-ფინიქსი 98:104**

20:28, 31:28, 16:27, 31:21

პ: ლილარდი (19+4 პასი), გრაბე (14), ბარტონი (13), ოლდრიჯი (10+6 მოხსნა).

ფ: დრაგიჩი (19+5 პასი), მარკუს მორისი (15+7 მოხსნა), ფრაი (14).

**ტორონტო-მინესოტა 89:101**

22:28, 37:27, 16:28, 14:18

ტ: დეროზანი (17), გეი (11).

მ: ლავი (20+9 მოხსნა), პეკოვიჩი (12+8 მოხსნა), ბარეა (12), შვედი (10).

**ორლანდო-ნ. ორლეანი 95:99**

24:21, 23:20, 21:30, 27:28

ო: ვუჩევიჩი (17+9 მოხსნა), ჰარისი (17+9 მოხსნა), ნიკოლსონი (13), ჰარკლესი (11+3 დაფარება), ოლადიპო (10+5 მოხსნა+9 პასი+4 ჩაჭრა), ნელსონი (10), მაკსიელი (4+10 მოხსნა).

ნ-ო: დევისი (29+9 მოხსნა+4 დაფარება), რობერტსი (16), ანდერსონი (12+8 მოხსნა), ამინუ (10+5 მოხსნა).

**ბოსტონი-ნიუ იორკი 102:103**

17:20, 27:25, 21:34, 37:24

ბ: პრესეი (13+7 პასი), ბრედლი (12), ბაპი (12), ფავერანი (11+6 მოხსნა), უოლასი (10), გრინი (10).

ნ-ი: შამპერტი (18), ჰარდუეი (16), უორლდ პისი (13), ბარნიანი (12), ფელტონი (11+5 პასი).

**მემფისი-დალასი 90:95**

19:31, 21:20, 24:28, 26:16

მ: ლოუერი (17+10 მოხსნა+5 პასი), რენდოლფი (12+5 მოხსნა), კონლი (12), კალატესი (11+5 მოხსნა), დევისი (10+10 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (20+6 მოხსნა), ელისი (11+8 პასი), დალემბერი (11+7 მოხსნა), კარტერი (12).

**სან ანტონიო-ცსკა 95:93 (ო)**

27:26, 24:23, 27:14, 8:23, 9:7

ს-ა: მილსი (14), ჯინობილი (14+5 მოხსნა), დანკანი (10), პარკერი (6+5 პასი).

ც: პარგო (20+6 მოხსნა+5 პასი), უიმსი (16), ხრიაპა (12+7 მოხსნა+7 პასი), ფრიძონი (10+7 მოხსნა).

# მავნებელი ლებრონი


ლებრონი რეკლამაში

კვლევამ, რომელიც ჩაატარა ამერიკულმა გამოცემა Pediatrics-მა, აჩვენა, რომ აშშ-ის წამყვანი სპორტსმენები აქტიურად უწევენ პროპაგანდას არაჯანსაღ საკვებს.

როგორც ირკვევა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მთავარი ვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი** ყველაზე აქტიურად არის ჩართული ასეთი „მავნებლობების" რეკლამაში. და, რა თქმა უნდა, ამისთვის ზღაპრულ ჰონორარს იღებს.

ასე იმიტომ ხდება, რომ „მეფეს" კონტრაქტი აქვს „მაკდონალდსის" ქსელთან, აგრეთვე „კოკა კოლასთან".

ამ სიაში მეორე ადგილი უკავია **პეიტონ მენინგს** - ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავსა და „ინდიანაპოლის კოლტსის" ლეგენდას. ცნობისთვის, მენინგი „პეპსი კოლას" სახე გახლავთ. შემდეგ მოდიან ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი** და კალათბურთელი **კრის პოლი**. უილიამსი „ოგეოს" ორცხობილებს უწევს რეკლამას.

მეცნიერების აზრით, აშშ-სთვის, სადაც მძაფრად დგას ბავშვებსა და მოზარდებში სიმსუქნის პრობლემა, ეს მეტად უარყოფითი ტენდენციაა. სხვათა შორის, ჩატარებული კვლევის თანახმად, მავნებელი საკვების რეკლამებში ყველაზე ხშირად კალათბურთელები ჩნდებიან. ასე რომ, ხომ არ არის დრო NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** ამის გამოც დაიწყოს მოთამაშეების დაჯარიმება? მას და მის ორგანიზაციას კარგად ეხერხება ნებისმიერი სახის ფინანსური სასჯელის მოგონება.

ჩოგბურთი. ტურნირები

# როჯერს ლონდონი გვერდზე რჩება

ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** უახლოვდება 2013 წლის სეზონში საბოლოო კრახს. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „დიდი სლემის" ტურნირების 17-გზის ჩემპიონი ვერ მოხვდება წლის შემაჯამებელ ტურნირზე, სადაც აქამდე ზედიზედ 12-ჯერ ითამაშა.


მონფილსა ფედერერი მოიშორა

გუშინ, შანხაის მასტერსზე მერვედფინალური ეტაპის მატჩები გაიმართა. რვა მატჩიდან მხოლოდ შვიდი ჩატარდა - **ტომი ჰაასმა** ტრავმის გამო ვერ შეძლო **ხუან მარტინ დელ პოტროს** წინააღმდეგ კორტზე გასვლა და არგენტინელი უბრძოლველად მოხვდა მეოთხედფინალში.

რაც შეეხება როჯერ ფედერერს, ის ფრანგ **გაელ მონფილს** ხვდებოდა, რომელთანაც შვიდიდან ექვსი მატჩი ჰქონდა მოგებული. როჯერი ძალიან ახლოს იყო ორ სეტში დამარცხებასთან. პირველი სეტის წაგების შემდეგ, შვეიცარიელი მეორე პარტიაში 3:5 იყო ჩამორჩენილი, იგივე ანგარიშით აგებდა ტაი-ბრეიკს, მაგრამ ზედიზედ ოთხი ქულა აიღო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ ეს როჯერის დროებითი წარმატება აღმოჩნდა. მონფილსმა გადამწყვეტ პარტიაში მეოთხე გეიმში გააკეთა ბრეიკი და 5:1 დაწინაურების შანსიც ჰქონდა, მაგრამ ფედერერმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა მეტი ვერ შეძლო და ორი საათი და ცხრა წუთის ბრძოლის შემდეგ წააგო - 4:6, 7:6(5), 3:6.

მონფილსმა მაყურებელს მეოთხედფინალში ტრადიციული დაპირისპირების ხილვის საშუალება არ მისცა და ამ ეტაპზე თავად შეხვდება **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, რომელთანაც რვიდან რვა მატჩი აქვს წაგებული.

სერბს პრობლემა არ შექმნია იტალიელ **ფაბიო ფონინისთან** მატჩში. მან პირველი მოწოდებიდან ქულების 79 პროცენტი აიღო და არც ერთი ბრეიკპოინტის შანსი არ მისცა მეტოქეს. თამაში საათი და 10 წუთი გაგრძელდა და ჯოკოვიჩმა თავისი მოგებების სერია ცხრა მატჩამდე აიყვანა.

ფონინიმ კი თავი იმით უნდა დაიმშვიდოს, რომ ის სეზონს საუკეთესო ოცეულში დაასრულებს და პირველი იტალიელი გახდება 1978 წლის შემდეგ, ვინც ამას გააკეთებს. გარდა ამისა, ფაბიო პირველი იტალიელია ისტორიაში, რომელმაც სეზონში მილიონზე მეტი ჰონორარი გამოიმუშავა.

რაც შეეხება ფედერერს, მონფილსთან წაგებიდან 45 წუთის შემდეგ, შვეიცარიელი კიდევ ერთხელ დაბრუნდა ცენტრალურ კორტზე მორიგი მატჩის წასაგებად. მისმა და **ჟე ჟანგის** წყვილმა 1:6, 6:1, 8:10 წააგო **ივან დოდიგისა** და **მარსელო მელოს** დუეტთან.

■ ■ ■

**რაფაელ ნადალმა** სეზონში 71-ე მატჩი ჩაატარა და 67-ე მოგებას მიაღწია. მან პირველ სეტში მასტერკლასი ჩაუტარა არგენტინელ **კარლოს ბერლოკს** - 19 „ვინერსი" და მხოლოდ ოთხი უნებლიე შეცდომა ჰქონდა და ბადესთან 11-დან 9 ქულა აიღო. მეორე სეტში არგენტინელმა ბრძოლა გაუმართა ესპანელს, 3:3-ზე ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, ტაი-ბრეიკზე კი 5:3 იყო დაწინაურებული, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტში ორმაგი შეცდომა დაუშვა და ნადალმა მატჩი საათსა და 50 წუთში დაასრულა.

რაფა შემდეგ ეტაპზე შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას** შეხვდება, რომელმაც გუშინდელი დღის შემდეგ, ჩემპიონთა რბოლაში გაუსწრო როჯერ ფედერერს და მეშვიდე ადგილზე დამკვიდრდა.

გუშინდელი დღის კიდევ ერთი სენსაცია იყო **დავიდ ფერერის** მარცხი გერმანელ **ფლორიან მაიერთან**, თუმცა ესპანელს გარანტირებული აქვს წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაში და შედარებით იოლად გადაიტანს ამ მარცხს, რასაც ვერ ვიტყვით **ტომაშ ბერდიხზე** - მას ჯერ არ აქვს გარანტირებული ლონდონი და ამ მხრივ, გუშინ ორსაათნახევრიან თრილერში მტკივნეული მარცხი იწვნია **ნიკოლას ალმაგროსგან** - 7:6, 3:6, 6:7.

**1/8 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:3, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:1, 7:6(5); **ფლორიან მაიერი (გერ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 3) 6:4, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 15)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 4) 6:7(6), 6:3, 7:6(4); **გაელ მონფილსი (საფ)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 5) 6:4, 6:7(5), 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-ტომი ჰაასი (გერ, 11) უარი; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7)**-კეი ნიშიკორი (იაპ, 12) 7:6(5), 6:0; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 8)**-მილოშ რაონიჩი (კან, 10) 7:6(2), 6:4.

**1/8 ფინალი**

ჯოკოვიჩი (1)-მონფილსი; ფ. მაიერი-ცონგა (7); დელ პოტრო (6)-ალმაგრო (15); ვავრინკა (8)-ნადალი (2).

# ესპანეთი მოიას ჩააბარეს


კარლოს მოია

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კარლოს მოია** დევისის თასზე ესპანეთის ნაკრების კაპიტნის პოსტზე **ალექს კორეჩას** შეცვლის.

ეს ინფორმაცია გუშინ გავრცელდა. კორეჩას კონტრაქტი ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციასთან ამ წლის ბოლომდეა გაფორმებული. მისი ხელმძღვანელებით ესპანელებმა 2012 წელს ფინალამდე მიაღწიეს, სადაც 2:3 დამარცხდნენ ჩეხეთთან, წელს კი პირველი რაუნდიდან გამოეთიშნენ ბრძოლას.

*„დღევანდელი დღე ძალიან საინტერესო იყო. როგორც პირადი, ასევე პროფესიული თვალსაზრისით"*, - დაწერა თავის ტვიტერზე მოიამ".

1998 წელს, მოია და კორეჩა როლან გაროსის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ გამარჯვება კარლოსმა მოიპოვა. 2004 წელს, მოიამ ესპანეთის ნაკრებს დევისის თასის ფინალში გადამწყვეტი ქულა მოუტანა.

# აზარენკა ყველაზე ძვირია

მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჩოგბურთელია საპრიზო თანხებისა და კორტზე გატარებული დროის შეფარდების მიხედვით.

24 წლის აზარენკამ, რომელმაც ამ სეზონში 49-დან 42 მატჩი მოიგო, 5 822 165 დოლარი გამოიმუშავა, ანუ 70 869 დოლარი თითო სეტის (სულ 83 პარტია) სანაცვლოდ.

ამ მაჩვენებლით აზარენკამ გაუსწრო მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ამერიკელ **სერენა უილიამსს** (59 882 დოლარი სეტისთვის) და ესპანელ **რაფაელ ნადალს** (62 210), აგრეთვე სახელოვან გოლფისტს **ტაიგერ ვუდსს** (ითვლება საათობრივი თამაში).


ვიქტორია აზარენკა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომოტოსპორტი

# უქმეების ანონსი

მომავალ უქმეებზე ავტომოტოსამყაროში ორი გამორჩეული მოვლენაა - იაპონიის გრანპრი ფორმულა 1-ში და მალაიზიის ეტაპი მოტოგრანპრიში.

„დიდ ცირკში" გრძელდება აზიური ტურნე და ახლა, პილოტებმა იაპონიაში გადაინაცვლეს. ბევრ პილოტს უყვარს „სუძუკას" ტრასა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას აქვს იქ მოგების შანსი. **სებასტიან ფეტელი** არავის შანსს არ უტოვებს და გუშინდელ ნომერში გვეწერა, რომ გერმანელს უკვე იაპონიაში აქვს ტიტულის განაღდების შესაძლებლობა. სწორედ ეს არის მომავალი ეტაპის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა.


ფეტელი ყველას უსწრებს

**იაპონიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** სუძუკა (იაპონია)

**წრის სიგრძე:** 5 807 მ

**წრის რეკორდი:** 1:31,540 (კიმი რაიკონენი, 2005)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (Red Bull) - 272 ქულა
2. ალონსო (Ferrari) - 195
3. რაიკონენი (Lotus) - 167
4. ჰემილტონი (Mercedes) - 161
5. უებერი (Red Bull) - 130
6. როსბერგი (Mercedes) - 122
7. მასა (Ferrari) - 89
8. გროსჟანი (Lotus) - 72

**უქმეების განრიგი**

11 ოქტომბერი, 05:00 - I პრაქტიკა
11 ოქტომბერი, 09:00 - II პრაქტიკა
12 ოქტომბერი, 06:00 - III პრაქტიკა
12 ოქტომბერი, 09:00 - კვალიფიკაცია
13 ოქტომბერი, 10:00 - რბოლა

■ ■ ■

მოტოგრანპრიში მალაიზიის ეტაპი - ბოლო შანსია **ხორხე ლორენსოსთვის** არ ამოვარდეს საჩემპიონო რბოლიდან. ამ ეტაპს წინ საინტერესო მოვლენები უძღოდა. ჩემპიონატის ორგანიზატორები განიხილავდნენ წინა ეტაპის ინციდენტს, როცა **მარკ მარკესი** შეეჯახა თანაგუნდელ **დანი პედროსას**. იყო ვარაუდი იმისა, რომ მარკესს დასჯიდნენ და მალაიზიაში სასტარტო ბილიკის ბოლო რიგში დააყენებდნენ, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერი ამ მკაცრ სასჯელს გადაურჩა.

„ჰონდას" პილოტმა ერთი საჯარიმო ქულა მიიღო და ახლა, 2013 წლის სეზონში სამი ასეთი გაფრთხილება დაუგროვდა. წესების თანახმად, თუ პილოტი ოთხ ასეთ საჯარიმო ქულას მიიღებს, შემდეგ რბოლაში მას ბოლო ადგილიდან მოუწევს სტარტის აღება. შვიდი საჯარიმოსთვის პიტ-ლეინიდან დაიწყებს რბოლას, ათი გაფრთხილებისთვის კი ეტაპს გამოტოვებს.

სხვათა შორის, მარკესის ინციდენტის გამო, „ჰონდამ" კონსტრუქტორთა თასზე 25 ქულა დაკარგა, რის გამოც, მისი უპირატესობა „იამაჰასთან" ერთ ქულამდე შემცირდა.

**მალაიზიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** სეპანგი (მალაიზია)

**წრის სიგრძე:** 5 548 მ

**წრის რეკორდი:** 2:02,108 (კეისი სტოუნერი, 2007)

**საერთო ჩათვლა**

1. მარკესი (Honda) - 278 ქულა
2. ლორენსო (Yamaha) - 239
3. პედროსა (Honda) - 219
4. როსი (Yamaha) - 185
5. კრატჩლოუ (Yamaha) - 156
6. ბრადლი (Honda) - 135
7. ბაუტისტა (Honda) - 125
8. დოვიციოზო (Ducati) - 112

**უქმეების განრიგი**

11 ოქტომბერი, 05:55 - I პრაქტიკა
11 ოქტომბერი, 10:05 - II პრაქტიკა
12 ოქტომბერი, 05:55 - III პრაქტიკა
12 ოქტომბერი, 10:10 - კვალიფიკაცია
13 ოქტომბერი, 12:00 - რბოლა

ჰოკეი

# ლეგენდა ჰოკეიში დაბრუნდა

ლეგენდარულმა რუსმა ჰოკეისტმა, 43 წლის **სერგეი ფიოდოროვმა** კარიერის განახლება გადაწყვიტა. მან უკვე გააფორმა კონტრაქტი მოსკოვის ცსკა-სთან, რომლის გენერალური მენეჯერიც თავად გახლავთ. ხელშეკრულება ძალაში ამ სეზონის ბოლომდე იქნება.

ფიოდოროვმა განაცხადა, რომ მისი გადაწყვეტილება უკავშირდება ცსკა-ში არსებულ საკადრო სირთულეებს. ამ მომენტისთვის, არმიულ კლუბში შვიდი ჰოკეისტი ვერ თამაშობს ტრავმის გამო.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა აქტიური კარიერა 2012 წლის მაისში დაასრულა. მაშინ ის მაგნიტოგორსკის „მეტალურგში" თამაშობდა. მან კარიერის დიდი ნაწილი NHL-ში გაატარა, სადაც „დეტროიტის", „ანაჰაიმის", „კოლამბუსისა" და „ვაშინგტონის" ღირსებას იცავდა. „დეტროიტთან" ერთად მან სამჯერ მოიგო სტენლის თასი.

სსრკ-ის ნაკრებთან ერთად, ფიოდოროვმა 1989 და 1990 წლებში მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, 2008 წელს კი იგივე რუსეთთან ერთად გააკეთა.


სერგეი ფიოდოროვი

ოლიმპიზმი



# სოჭს ნორვეგია დაიპყრობს

კომპანია Infostrada Sports-ის ანალიტიკოსები გარკვეული გამოთვლების შედეგად იმ აზრამდე მივიდნენ, რომ სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაზე ნორვეგიის ნაკრები 37 მედალს მოიგებს და მედლების ჩათვლაში გამარჯვებული გახდება. ნორვეგიელი სპორტსმენები 15 ოქროს, 12 ვერცხლსა და 10 ბრინჯაოს აიღებენ. ყველაზე მეტ მედალს ოლიმპიადის ფავორიტები ბიატლონსა და სათხილამურო რბოლაში მოიპოვებენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე აშშ-ის ნაკრები გავა 28 მედალით (14 ოქრო, 8 ვერცხლი, 6 ბრინჯაო). ანალიტიკოსები მესამე ადგილს კანადის ნაკრებს აძლევენ - 35 მედალი (11 ოქრო, 12 ვერცხლი, 12 ბრინჯაო).

რაც შეეხება მასპინძელ რუსეთის ნაკრებს, Infostrada Sports-ის შეფასებით ამ გუნდს მოკრძალებული მეცხრე ადგილი ერგება 17 მედლით (5 ოქრო, 5 ვერცხლი, 7 ბრინჯაო).

ამბები

**კალათბურთი**

## ბატუმს ტვინი შეერყა

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" მსუბუქმა ფორვარდმა **ნიკოლა ბატუმმა** ვარჯიშზე ტვინის შერყევა მიიღო. ფრანგი კალათბურთელის აღდგენითი პროცესის ვადების შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი, მაგრამ ის ნამდვილად გამოტოვებს შეხვედრას „ფინიქსის" წინააღმდეგ.

ბატუმი ვარჯიშზე შეეჯახა მცველ **უილ ბარტონს** და შეავსო „პორტლენდის" ლაზარეთი, რომელშიც შედიან **ლამარკუს ოლდრიჯი, მო უილიამსი, ირლ უოტსონი** და **სი ჯეი მაკოლუმი**.

**ფორმულა 1**

## მაკლარენი 2014 წელს როტაციას მიმართავს

„მერსედესის" შეფმა **როს ბრაუნმა** განაცხადა, რომ თუ 2014 წლის კალენდარში 22 ეტაპი დარჩება, მაშინ მისი გუნდი ბოქსებში მომუშავე ინჟინრებისა და მექანიკოსების როტაციას დაიწყებს. ბრაუნს მიაჩნია, რომ ასეთი რაოდენობის რბოლების პირობებში, ტექნიკურ პერსონალს აუცილებლად დასჭირდება შეცვლა.

გერმანული საჯინიბოს ბოსმა განაცხადა, რომ მისი გუნდი უკვე ამ სეზონში მუშაობდა იმაზე, რომ პიტ-სტოპებისას მექანიკოსების როტაციის საშუალება ჰქონოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2014**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| ხორვატია-ბოსნია | 0:2 |
| ჩერნოგორია-პორტუგალია | 1:2 |

**ევრო 2014**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| სან მარინო-ინგლისი | 0:4 |
| უნგრეთი-ავსტრია | 0:2 |
| ესპანეთი-ბოსნია | 3:2 |
| ხორვატია-ლიხტენშტაინი | 4:0 |
| ნორვეგია-აზერბაიჯანი | 1:3 |
| პორტუგალია-ისრაელი | 3:0 |
| ყაზახეთი-ბელარუსი | 1:2 |
| სომხეთი-საფრანგეთი | 1:4 |

**ევრო 2014**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| იტალია-ლიხტენშტაინი | 5:0 |
| ისრაელი-დანია | 1:3 |
| უკრაინა-ესტონეთი | 3:1 |
| რუსეთი-მალტა | 4:0 |
| რუმინეთი-სომხეთი | 1:1 |
| პოლონეთი-ლიტვა | 1:1 |
| ირლანდია-აზერბაიჯანი | 2:0 |
| ბოსნია-შვედეთი | 1:4 |
| საფრანგეთი-ისლანდია | 2:2 |
| ბელგია-ჩრ. ირლანდია | 2:0 |
| შოტლანდია-ლატვია | 1:1 |
| გერმანია-ბელარუსი | 2:1 |
| შვეიცარია-ანდორა | 4:0 |
| ინგლისი-სლოვენია | 1:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ტაილანდი-ბაჰრეინი | 1:0 |
| სინგაპური-ლაოსი | 1:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| კორკი-შელბურნი | 5:3 |

**ბულგარეთის თასი**

| | |
|---|---|
| ვიდიმა-ბეროე | 2:5 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიროიტი-ბრაუნშვაიგი | 73:49 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-ვაკერი | 27:20 |
| ვესპრემი-მოტორი | 44:27 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ვიტიაზი | 3:1 |
| ავტომობილისტი-აკ ბარსი | 2:3 (ბ) |
| ბარისი-დინამო (მ) | 4:3 (ბ) |
| იუგრა-ტორპედო | 4:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-სპარტა | 1:0 |
| სტიორნენი-რუსენბორგი | 4:3 |
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 3:2 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 2:5 |
| სტორჰამარი-ტიონსბერგი | 4:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-იოკერიტი | 1:0 |
| ტაპარა-პელიკანსი | 3:2 |
| ჰიფკ-ტპს | 4:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზლინი-პლზენი | 4:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ვეძიო-აიკ | 3:1 |
| ლულეა-ფერიესტადი | 2:1 |
| მოდო-ლინჩოპინგი | 4:3 |
| ფრიოლუნდა-ლეკსანდი | 1:2 |
| შელეფტეო-ჰვ 71 | 5:0 |
| ორებრო-ბრინასი | 3:2 (ო) |

**ჩოგბურთი**

**ATP. შანხაი**

| | |
|---|---|
| ნიშიკორი-ცონგა | 6:7, 0:6 |
| ფერერი-ფ. მაიერი | 4:6, 3:6 |
| მონფილსი-ფედერერი | 6:4, 6:7, 6:3 |
| ალმაგრო-ბერდიხი | 6:7, 6:3, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-ფონინი | 6:3, 6:3 |
| ნადალი-ბერლოკი | 6:1, 7:6 |
| რაონიჩი-ვავრინკა | 6:7, 4:6 |

**WTA. ლინცი**

| | |
|---|---|
| პიტერი-ციბულკოვა | 0:6, 1:6 |
| ფოგელი-კნაპი | 4:6, 6:2, 7:5 |
| მეირი-ზანევსკა | 6:1, 6:7, 6:4 |
| სტივენსი-პეტკოვიჩი | 7:6, 4:6, 6:3 |
| კადანტუ-კერბერი | 1:6, 0:6 |

**WTA. ოსაკა**

| | |
|---|---|
| ჟანგი-კისი | 4:6, 0:6 |
| დოი-დატე | 7:6, 6:4 |
| მლადენოვიჩი-ჟენგი | 7:6, 2:6, 0:6 |

TV პროგრამა

**11 ოქტომბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იუვენტუსი-გალათასარაი.
**12:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დნიპრო-ფიორენტინა.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ფრაიბურგი-აინტრახტი.
**16:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სუონსი-სენტ გალენი.
**18:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ცსკა-პლზენი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-უნგრეთი (LIVE).
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**01:00** არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი.
**03:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-პერუ (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რეალი-კოპენჰაგენი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. მაიამი-მემფისი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-ედინბურგი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ხიმნასია-ველეს სარსფილდი.
**22:00** NBA ACTION.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. მაიამი-ბოსტონი.
**01:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. საუკეთესო დამცველები - გერი პეიტონი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 20 | (მზე) |
| ქუთაისი | 15 | 28 | (მზე) |
| ბათუმი | 13 | 26 | (მზე) |
| ფოთი | 13 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 11 | 27 | (მზე) |
| გორი | 8 | 23 | (მზე) |
| თელავი | 6 | 22 | (მზე) |
| სიღნაღი | 6 | 21 | (მზე) |
| ბაკურიანი | -2 | 17 | (მზე) |
| ბორჯომი | 0 | 23 | (მზე) |
| მესტია | -1 | 20 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2507 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6636 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6521 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1415 |

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**სტ. ლუისი-ჩიკაგო 3:2**

1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტარასენკო-2 (ბერგლუნდი-2), 1:1 პ. კეინი-3 (შარპი-1, ტეივზი-2), 2:1 ბეკსი-2 (პიეტრანჯელო-4, ოში-1), 2:2 ტეივზი-1 (პ. კეინი-1, შარპი-2), 3:2 სტინი-3 (პიეტრანჯელო-5, ბოუმისტერი-2).

**კალგარი-მონრეალი 3:2**

2:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 მონეჰანი-3 (სტემპნიაკი-3), 2:0 ბაერტში-1 (მონეჰანი-2), 3:0 გლენკროსი-2 (ვიდემანი-1, ჰუდლერი-3), 3:1 საბენი-1 (პასიორეტი-1, მარკოვი-1), 3:2 ელერი-4 (გალჩენიუკი-5, საბენი-2).

**ლოს ანჯელესი-ოტავა 4:3 (ო)**

3:0, 0:1, 0:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ბრაუნი-1, 2:0 ჯ. კარტერი-3 (მ. რიჩარდსი-2), 3:0 ბრაუნი-2 (ჯ. კარტერი-1, კოპიტარი-3), 3:1 პაგო-1 (კონდრა-1, კორვო-1), 3:2 რაიანი-1 (ე. კარლსონი-1, ფილიპსი-1), 3:3 მ. მიხალეკი-1 (კორვო-2, რაიანი-2), 4:3 ჯ. კარტერი-4 (მ. რიჩარდსი-3, კოპიტარი-4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ლენოქსი 100 მილიონისთვის ბრუნდება?

ლეგენდარული ბრიტანელი მოკრივე **ლენოქს ლუისი** მზად არის 100 მილიონი დოლარის ოდენობის ჰონორარის სანაცვლოდ დაბრუნდეს პროფესიულ რინგზე და შეხვდეს ძმები **კლიჩკოებიდან** ერთ-ერთს. ამ ინფორმაციას ბრიტანული გაზეთი "დეილი მეილი" ავრცელებს.

გასულ უქმეებზე ლენოქსი მოსკოვში იმყოფებოდა და იქ **ვლადიმერ კლიჩკოსა და ალექსანდრ პოვეტკინის** შეხვედრას დაესწრო. სწორედ მაშინ რუსმა პრომოუტერებმა ბრიტანელს 50 მილიონი დოლარი შესთავაზეს ძმები კლიჩკოებიდან ერთ-ერთის წინააღმდეგ შეხვედრისთვის. ლუისი არ დაიბნა და განაცხადა, რომ მისი დაბრუნება ორჯერ ძვირი ღირს.

*"ეს არის ჩემი ფასი. თუ ის შესრულდება, ჩათვალეთ, რომ მოლაპარაკებების სტადიაში ვიმყოფებით. ვთქვი, რომ შემიძლია ოპტიმალური ფორმის ექვს თვეში აღდგენა. ამისთვის წინასწარი მომზადება მჭირდება"*, - განაცხადა ლენოქსმა.

*"როცა წინა ჯერზე მთავაზობდნენ კარიერის განახლებას, გამოვაცხადე, რომ 50 მილიონი იქნებოდა საჭირო ჩემი რინგზე ასაყვანად. ახლა, სიტუაცია შეიცვალა, უნდა გავითვალისწინო ჩემი ასაკი და დავაწესო ფასი იმაზე, რომ საბოლოოდ გავიდე პენსიაში წაუგებელი ჩემპიონის რანგში. ეს 100 მილიონი დოლარი ღირს"*, - დაამატა ბრიტანელმა.

შეგახსენებთ, რომ 2003 წელს ლუისი **ვიტალი კლიჩკოს** შეხვდა და მოიგო ის ბრძოლა, რადგან მსაჯებმა შეაჩერეს შეხვედრა უკრაინელის წარბის გასკდომის გამო. მაშინვე იმ ბრძოლის შემდეგ, ბრიტანელმა კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.



ლენოქს ლუისი

# კლიჩკომ პენეტიერი დანიშა

ამერიკელმა მსახიობმა **ჰეიდენ პენეტიერმა** დაადასტურა, რომ დაინიშნა უკრაინელ მოკრივე **ვლადიმერ კლიჩკოზე**.

ერთ-ერთი სატელევიზიო შოუს დროს, პენეტიერმა ბრილიანტის ნიშნობის ბეჭედი აჩვენა წამყვანს. 24 წლის მსახიობმა აღნიშნა, რომ ქორწილის თარიღი ჯერ ცნობილი არ არის.

უკრაინელი და ტელესერიალ "გმირების" ვარსკვლავი 2009 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს.

■ ■ ■

ამასობაში, ვლადიმერ კლიჩკო **ალექსანდრ პოვეტკინის** დამარცხების შემდეგ, მორიგ მეტოქეზე ალაპარაკდა. უკრაინელმა აღნიშნა, რომ მისთვის საინტერესო იქნება ამერიკელ მძიმეწონოსან **დეონტე უაილდერთან** ბრძოლა.

*"არსებობს ძლიერი, ჯანმრთელი აფროამერიკელი. მას დეონტეი უაილდერი ჰქვია. მისი სიმაღლეა 2 მეტრი, გაშლილი ხელების სიგრძე – 213 სანტიმეტრი. პროფესიულ რინგზე მან 29 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო. ამა წლის აგვისტოში მან ნოკაუტში გაგზავნა სერგეი ლიახოვიჩი. მიმაჩნია, რომ მასთან შეხვედრა საინტერესო იქნებოდა. სხვა საკითხია, რომ უაილდერს მაღალი რეიტინგი არ აქვს"*, - ამბობს კლიჩკო.



ვლადიმერი და ჰეიდენი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ტელ: **238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44**; ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**